

მიხედვები მინსს; მინს დაგეპურებით და გაფარმობით თქვენ!

+ 2020-2

Agro News.ge
New მეცნიერებელი

მარკეტინგი სამართებლი

ISSN 1987-8729



9 771 987 872 003

სამართებლი-სამცორეო ჟურნალი

№2 (82), თებერვალი, 2018

ფენიცინი



ინოვაციით
მოგვაქვს სარგებელი

BASF
The Chemical Company

ფენიცინი უნიკალური
ტექნოლოგიით
დაგზადებული
პრეპარატი, რომელიც
საერთაშორისო
ჩაზარზე დაიმავიდრა
ადგილი, როგორც
ერთ-ერთია საუკეთესო
ინსექციციების
პროცესისაში
დეზინსესის და
საყოფაცხვრებო
პირობებში
გაღალაფეხტური
გამოყენებისათვის.
განსაკუთრებით
მიმდევალოვანია,
რომ იგი უსაფრთხოა
და უნულ სივრცეში.

შპს „აგროვიტა“
გერმანული კომპანია
BASF-ის პარტნიორი
საქართველოში

თბილისი,
ნერეთლის გამზ. 116,
ტელ/ფაქსი: 2 341 678;
მობ.: 599 330 763,
597 170 701, 597 170 706,
597 170 703
ელ.ფოსტა: agrovitae@gmail.com
www.agrovita.com

გამოიცვეთ ჟურნალი



ებრუნული სახელმწიფო

ერთი ცლით ჟურნალზე ხელმოწერის ღირებულება

შეადგენს 24 ლარს,
ნახევარი ცლით – 12 ლარს.

ხელმოწერის გაფორმება შესაძლებელია პრესის
გავრცელების სააგენტოების მიზანზეთ:

„ელვა ჯი“ (ტელ.: 577 99 16 51; (032) 238 26 73; (032) 238 26 74);
ან

ჟურნალ „აგრარული საქართველოს“ რედაქციაში.

მისამართი:

თბილისი, გორგასლის ქ.№51,

ტელ.: 599 16 18 31.

ელ.ფოსტა: agroasca@gmail.com

ნომერი თავისითავთ:



ახალი აგრარული
საქართველო

AKHALI AGRARULI SAQARTVELO

(New Agrarian Georgia)

ყოველთვიური სამეცნიერო-
საინფორმაციო ჟურნალი.

Monthly scientific-informative magazine

თებერვალი, 2018 ნელი.

№2 (82)

სარედაქციო კრიტიკა:

შოთა მაჭარაშვილი (მთ. რედაქტორი),
ნუტეარ ებრა ებრა ჯანიშვილი,
მიხეილ სოხიაძე, თამარ სანიოძე, რუსულან
გვაგაშვილი (კრისტალტექნიკი), ოქრი ნოზაძე,
ნოდარ ბრავაძე, ბექა გრიშვილი,
გიორგი ბარიაშვილი (მეცნიერება-
მეცნიერების რედაქტორის რედაქტორი),
ლავით ბარიაძე (რედაქტორი),
თამარ გაგაშვილი (მდგლ. კურს. რედაქტორი).
editor of English version Tamta Gugushvili

სამეცნიერო საბჭო:

აჯაღმეციონები, ბეცინიერებათა
დოქტორები, პროფესორები:
რევაზ მახარიძები (თავმჯდომარე),
გურამ ალექსიძე, ზაურ ფუტკარაძე,
ნოდარ ჩხალტიშვილი, ნუტეარ ებანოძე,
პატარ კოლეაშვილი, გლეგვად შაფაშვილი,
შოთა ჭალაგანიძე, ზევად ბრეგვაძე,
ელგუჯა გვაგუშვილი, გოგოლა მარგველაშვილი,
ანგ გულაძე, ლევან უჯამაჯურიძე,
ზაურ ჯულუხიძე, ზურაბ ჯონჯიაძე,
ქრისტი კახნიაშვილი, ადოლ
ტევშელაშვილი, ნატო კაკაბაძე,
კუკურია ქერა, კასა ლაშები, ჯებალ კაციტაძე,
ნუტეარ მებარიშვილი, ნიკოლოზ ზაქაშვილი,
მიხეილ ჭავჭავაძე, დავით ბოსტაშვილი,
ოსმეგ სარჯველაძე, ნუტეარ სარჯველაძე,
თენგიზ ქურაშვილი, ანატოლი გორიგაძე,
ლევან თორთლაძე, ზურაბ ლოლაძე,
კობა კობაძეძე.

დააყადონა გიორგი მასურაძემ

უურნალი ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის პრინციპით.

The journal acts in accordance with the principles of free press.
© საერთო უფლება დაცულია.
All rights reserved.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
„ივერიიკი“
(ციფრული ბიბლიოთეკა)

www.dspace.nplg.gov.ge

ახალი აგრარული საქართველო
დაბიბჭდა შპს „გამიმცემლობა გრიფონში“

გამოცემები:

„აგრარული სექტორის
კომპანიების ასოციაცია“ (ასკა);
Association of Agrarian Sector Companies (ASCA).
საქართველოს რეგიონული კუნიმიცური
პრიორიტეტების კვლევითი ცენტრი „რეგიონიკა“;
Regionica — Georgian Research Center for Regional
Economic Priorities.

რედაქციის მისამართი:

თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53
ტელ/�ონ: +995 (032) 2 90-50-00

599 16-18-31

Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53

www.agronews.ge

ელ-ფოსტა: agroasca@gmail.com



4

მეთასლების განვითარების
გზები

მოგეხსენებათ, 140 ათასი ჰექტარი
ხორბლის ფართობი რომ დაითესოს,
30-35 ათასი ტონა თესლია საჭირო.



9

აზიურ ფაროსანასთან პროდუქა
საყოფასერვაციის პირობებში -
მაღალაუდის მიერთები - ფადონა

23

დედა ფუტკის განაყოფირება,
მაგლების თავშეყრის ადგილი
[DCA-მთა]

შეჯვარების შემდეგ მამლები იხო-
ცებიან. დედა ფუტკარი სკამი ბრუნ-
დება „შეჯვარების ნიშნით“, მამალი
ფუტკის ენდოფალოსით, რაც ბო-
ლო მამლისგან მოყვება, რათა სპერ-
მა გზაში არ გადმოელვაროს.

შურალი „ახალი აგრარული საქართველო“ რეცენირებულია 2009 წლიდა.
სამაცნიერო სტატიის მოცულობა ინტენსური რეზიუმეს და
გამოყენებული ლიტერატურის თანხლავით არ უნდა აღიმატოვოდეს
1,5 მცნივდალით, სილიცია 12 ზომის შრიცვით ნაბეჭდ თაბახის
7 (ვერც) გვრცელდეს.

ჩვენი რეკვიზიტები:

არასამერიკული (არაკომერციული) იურიდიული პირი
(უურნალ „ახალი აგრარული საქართველოს“ გამომცემელი)
„აგრარული სექტორის კომპანიების ასოციაცია“
ს/ს 404856483
ს/ს „ბაზისბანკი“ BASGE22(220101956)
ა/ს GE23BS0000000034536405
მის: თბილისი, გორგასლის ქ. 51

ქორავასის არობების
მიმღებარების არღიბების
შეფასებისთვის

ჩაის კლასიფიკაციის აღდგენა-
რების განვითარების არარული ჩაის
მიმღებარების აღდგენი

14

სამ საუკუნეს საქართველოში
„ევენის ლონეს“ აღარ
გამოიხატი

16

„ივარის ვანესები“ -
ახალგაზრდა ივარი გარიბე
საოჯახო ტრადიციას
გიზესშიც ისავას

18

ლაზარის სეივი -
თანამედროვე ტექნოლოგია
გაურიცემელობაში

24

გიდათ, ისოდათ მატი
ფუტკარსა და გაფუტკარაზე?

29

როცა გარეთ თოვდება
სათბურში კი სითბო,
გაზაფხული და სამარი
სურცელი - ირა სახორცი

30

საძოვრის გაღანცერის
მოვლის ტექნოლოგია

32

გაეთი კითხვა ვათარისართან?

33

გაეთი კითხვა აგროცომითან?

34

დილი მაცნერი და ამაგდარი
ეადაგოგი

მეთესლეობის განვითარების გზები



რაც არ უნდა კარგი ჯიში ან ჰიბრიდი იყოს, თუ მისი მეთესლეობა სწორად არ იქნება დაგეგმილი, ის ძალიან სწრაფად გაქრება ნარმოებიდან, რისი უამრავი მაგალითი არსებობს.

მეთესლეობა მეცნიერების დარგია, რომლის ძირითად ამოცანას ჯიშთა გამოცდისა და ჯიშთა განახლებისათვის მაღალხარისხოვანი სათესლე მასალის გამრავლება შეადგენს. მეთესლეობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ჯიშის ჯიშობრივი ნიშანთვისებების შენარჩუნება და მისი შემდგომი გაუმჯობესება. მოსავლიანობის გაზრდის ღონისძიებათა კომპლექსში მაღალხარისხოვანი ჯიშიანი თესლი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეოლია.

მეთესლეობის მეცნიერულად სწორი წარმართვა გენეტიკურ კანონზომიერებათა გამოყენებას, გავრცელებადი ჯიშებისა და ჰიბრიდების ბიოლოგიურ ცოდნას ეფუძნება. მაღალი სათესი ლირსებისა და უხვმოსავლანი, ჯიშიანი თესლის მიღება მხოლოდ და მხოლოდ მინათმოქმედების მაღალი კულტურის პირობებში, მეცნიერულად დასაბუთებული აგრონესების დროული და კომპლექსური გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელი.

მეთესლეობის განვითარება მაღალორგანიზებული ღონისძიებაა. სამწუხაროდ, თანამედროვე პირობებში დარღვეულია ჯიშთა ცვლასა და ჯიშთა განახლებას შორის კავშირი. აქედან გამომდინარე, აუცილებელია შემუშავდეს მეთესლეობის ახალი სისტემა.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვეული კვეყანაში 90-იანი წლებიდან მოყოლებული სოფლის მე-

ურნეობის სხვა დარგებთან ერთად მეთესლეობის დარგიც თანდათანობით იგნორირებული იქნა და ბოლოს მთლიანად დაიშალა და განადგურდა, როდესაც საბოლოოდ გაიყიდა მინათმოქმედების ინსტიტუტი და მასში შემავალი საცდელი სადგურები. პირადად მივწერე წერილი ყოფილ პრეზიდენტს, სადაც ვწერდი: „კარგი ბატონო, თუ მაინცდამაინც უნდა გაიყიდოს საცდელი ბაზები, სადაც ხდებოდა (დარაიონებული) გავრცელებადი ჯიშების და ჰიბრიდების პირველადი და შემდგომი რეპროდუქციის თესლის წარმოება, მაშინ გამოიძენოს ისეთი ინვესტორი, რომელიც საცდელ ბაზებს შეუნარჩუნებს პროფილს. ასეთი მიდგომა მომგებიანი იქნებოდა ქვეყნის თვითსაც და ინვესტორისათვის, რადგანაც მეთესლეობა საჭირო და მომგებიანი დარგია“. თუ ვინმე დაინტერესდებით, მიბრძანდით და ნახეთ, რა მდგომარეობაშია დღეს მინათმოქმედების ინსტიტუტის ტერიტორია და შენობა-ნაგებობანი, ვის ხელშია კახეთის საცდელი სადგური, რა მდგომარეობაშია ავაგამეთის საცდელი სადგური, წყალტუბოს საცდელი სადგური და სხვა. ქვეყანაში ასეთი 13 საცდელი სადგური მოქმედებდა, რომელიც გაჩანაგდა, განადგურდა და დაკარგა ფუნქცია. ამავე პერიოდში გაუქმდა ჯიშთა გამოცდის სადგურები და კანონი მეთესლეობის შესახებ. ბოლო 20-25 წლის განმავლობაში ქვეყანაში მეთესლეობის კუთხით სრული ქაოსი და განუკითხობა შეიქნა - ვის რა ჯიში შემოაქვს, ვინ რას თესავს, გაუგებარია. განუკითხობა დღემდე გრძელდება. მაგალითისთვის განვიხილოთ სტრატეგიული კულტურის

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა თანამედროვე, უსვეოსავლიანი ჰიბრიდის გამოვანას და თარმოვაგაში დანერგვას სრულის მიურნეობის აროდულფილობის და სარისხის გაზრდაში უდიდესი მნიშვნელობა ინიციატივა, რაზეც გადამზრდებოდებოდა მეთესლეობის სწორად დაგაგმილი სისტემა ასრულებს.

- საშემოდგომო ხორბლის მეთესლეობის საკითხი, თუ რა მდგომარეობა გვაქვს ამ სფეროში.

დღევანდელი მონაცემებით, რომელიც დაზუსტებას მოითხოვს, ქვეყანაში საშემოდგომო ხორბალი შეიძლება დაითესოს 120-დან 140 ათას ჰექტარამდე. იყო პერიოდი, როდესაც ხორბალი 200-216 ათას ჰა-ზე ითესებოდა, მთლიანად კი თავთავიანი კულტურები 300 ათასი ჰექტარი (ქერი, შვრია, ჭვავი და სხვ.) ითესებოდა.

ამით იმის თქმა გვინდა, რომ აღნიშნული ფართობები უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი კონდიციებული თესლით და ქვეყანაში მეთესლეობის სისტემა გამართულად მუშაობდა. დავანებოთ თავი იმას, რაც იყო, ვილაპარაკოთ დღევანდელ მდგომარეობაზე.

მოგეხსენებათ, 140 ათასი ჰექტარი ხორბლის ფართობი რომ დაითესოს, 30-35 ათასი ტონა თესლია საჭირო. ბუნებრივად ისმება კითხვა, სად არის ამ რაოდენობის თესლი, ვინ ანარმობს, საიდან შემოდის, რა ჯიშებია და რა ითესება, ვინ უნევს ამას მონიტორინგს, რა რაოდენობის თანხა გაედინება ქვეყნიდან?

მისასალმებელია, რომ ქვეყანაში აღდგა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, ჯიშთა გამოცდის სამსახური, რომელიც აღბათ ეტაპობრივად დაარეგულირებს ადგილობრივი და შემოტანილი ჯიშების ვარგისიანობის საკითხს. ასევე მისასალმებელია, რომ შეიქმნა კანონი სავალდებულო სერთიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების გასავრცელებლად დაშვე-

ბისა და მეთესლეობის შესახებ. კი ბატონი, ქვეყანაში შეიქმნა კანონი მეთესლეობის შესახებ, მაგრამ აქვე ისმის კითხვა: ვართ მზად იმისათვის, რომ კანონი რეალურად ამოქმედდეს და პრაქტიკული შედეგი მოიტანოს?

როგორ შეიძლება საკითხისადმი
ასეთი მიღებომა. არის კანონი, ამით
ყველაფერი მოგვარებულია და ვი-
საც უნდა, იმან ანარმონს თესლი.
ჩემი აზრით, ეს მცდარი შეხედულე-
ბაა. თესლის წარმოება ყველგან და
ყველას არ შეუძლია, ის სპეციფიუ-
რი დარგია და მის წარმოებას ცოდნა
სტარტება.

როგორ გვგონია, ფერმერს ეყოფა
იმის ცოდნა ან კომპეტენცია, ან აქვს
მას იმის დრო და საშუალება, რომ
ამა თუ იმ ჯიშის პირველადი თესლი
აწარმოოს!?

ତିର୍ଯ୍ୟକେଲାଏଇ ମେତେସଲ୍ଲେଗୋଡିଳେ ନାର-
ମନ୍ଦିରବା – ଏହି ମେଚିନୀଏର୍ଯ୍ୟବାବା. ଏକେଇଥାନ୍ତିରୁ ଗା-
ମନମଧ୍ୟନିନାର୍ଜୁ, ରା ତକ୍ଷମା ଉନ୍ଦରୁ, କୃପ୍ୟାନାଶି
ଅଫିଲ୍ଲମଦରିଗୁ ଓ ଶେମର୍ତ୍ତାନିଲୀ ଗାଵ-
ରତ୍ୟାଲ୍ଲେବାଏଇ ଜିମ୍ବେଦିଲେ ଓ ତିର୍ଯ୍ୟକେଲାଏଇ
ବିଶ୍ଵାସିତ ତିର୍ଯ୍ୟକେଲାଏଇ ମେତେସଲ୍ଲେଗୋଦିଲେ ଉନ୍ଦରୁ
ଅନନ୍ତମନୋସ ଓ କୃମରଦିନାଚିଠିଲେ ଉନ୍ଦରୁ
ଉନ୍ନେଷ୍ଟିକୁ ସମ୍ଭାବିତ ମେଚିନୀଏର୍ଯ୍ୟବାବା
ମନିନୀତିର୍ଯ୍ୟକେଲାଏଇ ଅର୍ପେଖୁଲି ଆଲ୍ଲାଏଇ
ଶୈଖମନିଲୀ ସାମେଚିନୀଏର୍ଯ୍ୟକୁ କୁଲ୍ଲେବାବିତ
ଉନ୍ନତିର୍ଯ୍ୟକୁ ଆମିଲେ ଗାନ୍ଦିଶାବନରତ୍ୟାକୁପିଲ୍ଲେବାଏଇ
ସାମେଚିନୀଏର୍ଯ୍ୟକୁ କୁଲ୍ଲେବାବିତ ଉନ୍ନତିର୍ଯ୍ୟକୁ ଗା-
ର୍ଥିନୀବା କୃପ୍ୟାନାଶି ସାମ୍ଭାଲେବାବା. ର୍କ୍ଷଗିନୋଦିଲେ
ମିଠ୍ୟେଦିଗୁଠି ଅର୍ପେଖୁଲି ସାପଦ୍ଧାଲୀ କାହିଁ-
କି ସନ୍ତୋଷିତ ତିର୍ଯ୍ୟକେଲାଏଇ ମେତେସଲ୍ଲେଗୋ-
ବାବି ନାରମନ୍ଦିରବାବା କୁତ୍ତିବାବିତ ଉନ୍ଦରୁ
ଓ କାହିଁକିମାତ୍ରା ନାରମନ୍ଦିରବାବା ଅଫିଲ୍ଲମଦରିଗୁ
ଅଫିଲ୍ଲମଦରିଗୁ ମେଚିନୀଏର୍ଯ୍ୟବାବା କାହିଁକିମାତ୍ରା

ამ მხრივ სამეცნიერო-კვლევით
ცენტრს სჭირდება მხარდაჭერა
მთავრობის მხრიდან. სამეცნიერო-
კვლევით ცენტრში უნდა შეიქმნას
პირველადი მეთესლეობის სამსახუ-
რი, რომელიც იმუშავებს ეტაპობრი-
ვად არამარტო თავთავიანი კულტუ-
რების პირველად მეთესლეობაზე,
არამედ სხვა კულტურულ ბზრებს, რო-

გორიცაა მარცვლეული, მარცვლო-
ვან-პარკოსანი, მრავალწლოვანი და
ერთნოვანი. საკედი ბალახების და
ბოსტნეულ-ბალჩეული კულტურე-
ბის პირველად მეთესლეობებზე მუ-
შაობის ასეთი მიმართულება სამეც-
ნიერო-კვლევითი ცენტრის სისხლ-
ხორცეული საქმეა, ხოლო შემდგომი
სამრეწველო მეთესლეობის განვითა-
რება, მისი წარმოება უნდა ხდებოდეს
წინასწარ შერჩეულ კერძო თერმულ
მეურნეობებში (ელიტიდან I-II-III რეპ-
როდუქტიდან).

მეთესლეობის პროგრამის განსახორციელებლად ნიადაგურკლიმატური პირობების გათვალისწინებით რეგიონების (ზონების) მიხედვით უნდა შეირჩნენ ფერმერები, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს და აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნებს:

ფერმერს საკუთრებაში უნდა ჰქონდეს სულ მცირე 100 ჰა სახნავი მიწა;

გააჩნდეს სასაწყობო მეურნეობა;

სასურველია ჰქონდეს მარცვალ-საწმენდი, თესლის დამაკალიბარებელი დანადგარი (პიტკუსი), თესლის შესაწამლი აპარატი და სხვა საჭირო ინვენტარი.

ასეთი ფერმერების შერჩევა უნდა
მოხდეს სამინისტროსა და სამეცნიე-
რო-კვლევითი ცენტრის სპეციალის-
ტების მონაწილეობით, რომელიც
მეთესლეობის პროგრამის მიმდინა-
რეობას, გასატარებელი აგროტექნი-
კური ღონისძიებების დაცვას თესვი-
დან მოსავლის აღებამდე გარკვეული
პერიოდის განმავლობაში (2-3 ნ.) გა-
უწავს მთავრობულ ასხმარებას.

ზონების მიხედვით შერჩეულ სპეციალიზებულ მეთესლეობის ფერმერულ მეურნეობებში, მეთესლეობის წარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე, თავთავიანი კულტურების გარდა პარალელურად განვითარდება

მარცვლეული, მარცვლოვან-პარკო-
სანი, მრავალწლოვანი და ერთწლო-
ვანი საკვები ბალახების და ბოსტნე-
ულ-ბაღებული კულტურების მეთეს-
ლეობაც.

მეთესლეობის განვითარებას აუცილებლად სჭირდება მოეწყოს თესლბრუნვა, რის შედეგადაც ეტაპობრივად ამაღლდება ნიადაგის ნაყოფიერება, მინათმოქმედების კულტურა, შესაბამისად გაიზრდება მოსავალი და პროდუქციის ხარისხი. რეგიონებში ასეთი სანიმუშო ფერმერული მეურნეობის შექმნა გადამდები იქნება სხვებისთვისაც, რომლებმაც აუცილებელი არ არის ანარმონო თესლი, ჩვეულებრივი თესლბრუნვის პირბებში უნდა განავითაროს თავისი მეურნეობა. ასეთ შემთხვევაში უფრო ადვილად მოხდება მცირე მინის ფერმერების გაერთიანება, კოოპერატივების ჩამოყალიბება და სხვა. რატომ არ შეიძლება მეთესლეობის განვითარების კუთხით ამუშავდეს ისეთივე პროექტი, როგორიცაა დანერგე მომავალი, რომელიც წარმატებით მიმდინარეობს ქვეყანაში?

ამიტომ გთავაზობთ გასავრცელებელი (დარაიონებული) უხვმოსავლიანი თესლის ადგილზე წარმოებას. ჩვენთან ამის გამოყდილება არსებობს და თუ სახელმწიფოს სურვილი და ნება იქნება, ქვეყანა სავალუტო რეზერვებსაც დაზოგავს, ადგილობრივ წარმოებასაც განავითარებს, ახალგაზრდა სპეციალისტებსაც გაზირდის და ასობით მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილებსაც შექმნის.

ამ საქმის დაწყება და ბოლომდე
მიყვანა რეალურია, მეტიც, აუცილე-
ბელიცაა, მით უმეტეს მაშინ, როცა
ქვეყანაში შეიქმნა სოფლის მეურ-
ნეობის სამინისტროსთან არსებუ-
ლო, სამინისტრო-კომისიი კანკრი





ჯიშთა გამოცდის სამსახური, გვაქვს კანონი სერთიფიცირებისა და მეთებლეობის შესახებ.

ბატონებო, პატივცემული მკითხ-
ველო, არავინ გამიგოს ისე, თითქმს-
და ვინმეს ჭკუას ვარიგებდე, ან ახალ
ველოსიპედს ვიგონებდე. მეთესლე-
ობა დიდი ხნის დავიწყებული, თავის
დროზე უგუნურად გაჩანაგებული
დარგია, რომელსაც ალდეგენა სჭირ-

დება და დღეს ქვეყანას ამის გაკეთების საშუალება აქვს.

საქართველო მცირებინიანი ქვეყანაა, სადაც შესაძლებელია დაითესოს 120-დან 140 ათას ჰექტარამდე თავოთვანი კულტურები. საშუალო მოსავლიანობის პირობებში შესაძლებელია 360-დან 450 ათას ტონამდე მარცვლის მიღება, რაც მოთხოვნილების 50-დან 60%-ზე მეტს შეიადგინს.

2017 წელს საქართველო მეცნიერებებისა და მეცნიერებების ქვეყნად იქნა აღიარებული მსოფლიოში, რაც მისასალმებელია და ვულოცავ დარგში მომუშავე ყველა სპეციალისტს დიდ აღიარებას, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ასევე ხორბლის წარმოშობის ქვეყნადაც ითვლება, რასაც მოვლა-პატრონობა სჭირდება.

რა აზრი აქვს ქვეყანაში ჯიშთა გა-

မြန်မာပြည်တော်လွှာများကို အသုတေသန ပြန်လည်ဖော်လေ့ရှိခဲ့သူများ မြန်မာနိုင်ငံ၏ ပြည်တော်လွှာများ အတွက် အမြတ်ဆုံး ပြန်လည်ဖော်လေ့ရှိခဲ့သူများ ဖြစ်ပါသည်။

ფერმერებს, რომლებსაც სურვილი
გაუჩნდებათ აწარმოონ გასავრცე-
ლებლად რეკომენდებული (დარაი-
ონებული) ჯიშების და ჰიბრიდების
თესლი, გთხოვთ, გამოგვეხმაუროთ
და დაგვიკავშირდეთ ტელეფონზე:
595 94 12 12.

କାନ୍ତିଲୀ ଅମ୍ବାଲୀଙ୍ଗାଳୀ,
ଶ୍ରୀପଟ୍ଟିଲୀର ମେଘରନ୍ଦ୍ରାମୁଖିର ମେଘବନ୍ଦୀରେବା-
ତା ଧର୍ମପାତ୍ରରୀ, ସାମ୍ବନ୍ଦୀରାମ-କୁଳୀଙ୍କା-
ତି କୁଣ୍ଡଳିରୀ ମହାଵାରୀ ବାରାନ୍ଦିମୀ

ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ ମହାନାଳିତାର ପଦିତା

კომპიუტერული სამუშაოების მიმღები განვითარების კოლეგიუმის განვითარების და მოწვევის სამსახური

საქართველოსათვის არსებულ
ისტორიულ პერიოდში უაღრესად
მნიშვნელოვანია პროგრესული სო-
ციალურ-ეკონომიკური სისტემუ-
რი ცვლილებები (რეფორმები), რაც
კონპერაციის მრავალმხრივი ფორ-
მების გამოყენებით შექმნის რეგიო-
ნებში მოსახლეობის მასობრივი და-
საქმების, ეროვნული პროდუქციის
მოცულობის ინტენსიური ზრდის სა-
შუალებას და უზრუნველყოფას განვი-
თარების გრძელვადიან პერსპექტი-
ვაზე ორიენტირებული სოციალურ-
ეკონომიკური გარემოს ფორმირებას.
მსოფლიო გამოცდილება ადასტუ-
რებს, რომ მოსახლეობის სამეცნარმეო
გააჭტიურება და მისი შემოსალების

ინტენსიური ზრდა ყველაზე უკეთ შე-
საძლებელია კოოპერაციული სექტო-
რის აქტიური მხარდაჭერით.

საქართველოს აგრარული სექტორის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, რაც ძირითადად დაკავშირებულია 800 000-მდე მცირემინიანი ფერმერის მცირემასშტაბიან სამეურნეო საქმიანობასთან, მხოლოდ კომპერაციული, ანუ ეკონომიკური და სოციალური სოლიდარობის სისტემის ხელშეწყობით არის შესაძლებელი რეგიონებში სიღარიბის დაძლევისა და ჯანსაღი საშუალო ფენის ჩამოყალიბების რთული პროცესის განხორციელება.



აღნიშნული საკითხის სისტემური გადაწყვეტა ხელს შეუწყობს რეგიონებში ძლიერი კოოპერაციული გაერთიანებების ჩამოყალიბებას, მეურნეობრიობისათვის საჭირო პირობების შექმნას, მოსახლეობის აქტივობის ამაღლებას, სამეურნეო საქმიანობაში მათ მასიურ ჩართულობას, აღნარმოების მასტებების გადიდებას და კონკურენტული გარემოს ფორმირებას, რაც საბოლოო ანგარიშით ქმნის მყარ გარანტიებს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრისათვის.

ცივილიზაციულ სამყაროში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია წარმოადგენს თავისუფალ მეწარმეთა ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომლისთვისაც დამახასიათებელია მართვის დემოკრატიული ფორმა, სადაც მოქმედებს არჩევითობაზე დაფუძნებული მმართველობითი სისტემა პრინციპით „ქვევიდან – ზევით“, რაც საფუძველშივე გამორიცხავს მმართველი აპარატის ბიუროკრატიზაციას. ამიტომ კოოპერაციულ პრინციპზე დამყარებულ საწარმოო ურთიერთობებს განსაკუთრებული და შეუცვლელი ადგილი უჭირავს ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში და მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვისობრივად ახალ დონეზე გადასვლაში.

კოოპერატივი არის მრავალგანზომილებიანი გაერთიანება, რომელიც ქმნის მაკრო და მიკროეკონომიკურ სიმძლავრებს ქვეყანაში. მისი წარმატება აისწენება გაუმჯობესებული ეკონომიკური და სოციალური გარემოთი. ძლიერი კოოპერაციული სისტემა ახორციელებს ბაზარზე მაკრო-ეკონომიკურ სტაბილიზაციას პროდუქციის ხარისხის, უზნებლობის, მიკვლევადობის და მდგრადი ფისკალური და მონეტარული ბალანსის სახით, მიგრაციის შეჩერებას, სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მყარი და სტაბილური საწარმოო ფაქტორების დამკვიდრებას, აგრო-ეკოლოგიური და ბიოლოგიური წარმოების დაცვას და ინოვაციური ტექნოლოგიების დაწერგვას.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს ასევე გააჩნიათ შიმშილის და სიღარიბის დაძლევის საუკეთესო პლატფორმა. ეს სისტემა ზრდის

სასურსათო უსაფრთხოებას მცირებინიან და დაბალშემოსავლიან რეგიონებში და აუმჯობესებს მარგინალური და მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობას სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. იგი ასევე ქმნის საუკეთესო პლატფორმას ახალგაზრდა ფერმერთა და კოოპერატივ-ქალთა ჩართულობისთვის ეკონომიკურ საქმიანობაში.

ვა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს და მათი განვითარების მხარდამჭერი ინსტიტუტების გაძლიერებას განსაკუთრებული როლი უნდა მიენიჭოს.

კოოპერაცია და

აგროსამრეცველო ინტეგრაცია

თანამედროვე საბაზო ეკონომიკის პირობებში კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების აუცილებელ პირობას ერთის მხრივ – ტექნიკურ-ტექნოლოგიური, ორგანიზაციულ-მმართველობითი და ეკონომიკური ერთობა, ხოლო მეორეს მხრივ – წარმოების, დამზადების, ტრან-



ნმინდა ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად დიდი როლი გააჩნია სოფლად ცხოვრების და განვითარების მოტივაციის გაძლიერებაში და მიგრაციის პროცესის შეჩერებაში. სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში (მაგალითად იაპონია, ისრაელი) კოოპერატივების ფორმირება ხდება უპირატესად ტერიტორიული (სოფელი, თემი) ნიშნით.

კოოპერირების გარეშე მცირებულების მეურნეობების არსებობა უკეთეს შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ დაბალტექნოლოგიურ დონეზე, რაც საბოლოო ჯამში ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს მათ სამეწარმეო განვითარებას. თუნდაც მხოლოდ ამ გარემოებიდან გამომდინარე ცხადია, რომ მიმდინარე პერიოდში აგროსამრეწველო ინტეგრაციის ეფექტური მოდელის და ერთიანი საწარმოო ციკლის (დირექტულებათა ჯაჭვის) შექმნის კუთხით, სხვადასხ-

სპორტირების, შენახვისა და გადამუშავების პროცესების უწყვეტობა წარმოადგენს, რაც შესაძლებელია მასტებური, მსხვილი, ან კოოპერაციული წარმოების პირობებში.

ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში აგრარული სექტორის ფუნქციონირების ეკონომიკური ანალიზი წათლად წარმოაჩენს ქართული სოფლისა და მისი მოსახლეობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მნარმოებლებს ფაქტიურად შეზღუდული აქვთ სარეაალიზაციო ბაზრებზე პირდაპირი წედომის შესაძლებლობები, რადგან მათი პროდუქციის შესყიდვა ძირითადად ხდება ერთის მხრივ – შუამავალი, გადამყიდველი პირებისა და კომპანიების, ხოლო მეორეს მხრივ – იმ გადამამუშავებელი საწარმოების მიერ, რომლებიც უპირატესად ორიენტირებული არიან გარეშე პირებიდან სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის

შესყიდვაზე. მათი სრულიად გასა-
გები, ბუნებრივი ინტერესებია – სა-
კუთარი მოგების გაზრდის მიზნით
შეისყიდონ პროდუქცია (წედლეული)
რაც შეიძლება დაბალი ფასით. სა-
სოფლო-სამეურნეო პროდუქციის
მწარმოებლები სუსტი და დაუცველი
პოზიციების გამო იძულებული არი-
ან დათანხმდნენ შესყიდვის დისკრი-
მინაციულ, ხშირ შემთხვევაში კარ-
ტელური შეთანხმებით დაწესებულ
ფასებს, რაც ავტომატურად იწვევს
სოფლის მეურნეობის პროდუქციის
წარმოების მოტივაციის დაკარგვას
და ადგილზე სოციალურ-ეკონომი-
კური განვითარების პერსპექტივის
მოშლას.

ინტერესთა აღნიშნული კონფლიქ-
ტი მნიშვნელოვანნილად გახდა სა-

სამეურნეო სისტემაში კოოპერატი-
ვის თითოეული წევრი შემოსავლების
გაზრდის მიზნით დაინტერესებულია
ანარმოოს უფრო მეტი რაოდენობი-
სა და მაღალი ხარისხის პროდუქცია
და ამავე დროს აქტიურად იყოს ჩარ-
თული გადამამუშავებელი საწარ-
მოო პროცესების ტექნიკურ-ტექნო-
ლოგიურ სრულყოფაში, საბოლოო
პროდუქციის რეალიზაციაში და გა-
ნახორციელოს ერთიანი საწარმოო
ციკლის მონიტორინგი სამენარმეო
საქმიანობის ყველა დონეზე. მეურ-
ნეობრიობის ეს ფორმა ერთის მხრივ
– საფუძველს უქმნის შემდგომ ეტაპ-
ზე სასოფლო-სამეურნეო წარმოე-
ბის კონცენტრაციის უფრო მაღალი
(მეორე, მესამე) დონის მქონე კოო-
პერაციული ფორმების შექმნას, ხო-

სად სწორედ კოოპერაციულ სისტე-
მებთან არის დაკავშირებული.

ინვესტიციების დაცულობის
კუთხით მართვის დემოკრატიული
პრინციპები და კოოპერატივის ფარ-
გლებში დამატებითი ღირებულების,
ანუ ერთიანი საწარმოო ციკლის შექ-
მნის პერსპექტივა აყალიბებს სამე-
ნარმეო რისკების მინიმუმადე დაყ-
ვანის რეალურ პირობებს და გზას
უსსნის კოოპერატივებს სხვადასხვა
სახელმწიფო თუ არასამთავრობო
პროგრამებში მონაწილეობისათვის.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერა-
ციის მიზნები

- კოოპერატივის თითოეული წევ-
რის შრომითი და მატერიალური რე-
სურსების კაპიტალიზაცია და მათი
გადაქცევა ქვეყნის შიდა ინვესტიცი-
ებად;

- კოოპერატივის თითოეული წევ-
რის სამენარმეო ინიციატივის გან-
ვითარებაზე და არა დაქირავებულ
შრომაზე ორიენტირებული სოცია-
ლურ-ეკონომიკური გარემოს ფორ-
მირება;

- მოსახლეობის რეალური შესაძ-
ლებლების გააქტიურება და ამ
ფონზე სახელმწიფო და არასახელმ-
წიფო ორგანიზაციების მიერ გასაწე-
ვი მხარდამჭერი ღონისძიებების ქმე-
დითუნარიანობის ამაღლება;

- კოოპერატივის წევრების მიერ
ეკონომიკური თვითმმართველობის
ყველა კომპონენტის (თვითანაზღაუ-
რება, თვითორეგულირება, თვითკონ-
ტროლი) განხორციელება;

- პროდუქციის წარმოების, გადა-
მუშავებისა და რეალიზაციის ინტეგ-
რირებული სისტემების (ერთიანი სა-
წარმოო ციკლის) შექმნა;

- მოსახლეობის შემოსავლების
მნიშვნელოვანი ზრდა და აქედან გა-
მომდინარე მათი საერთო სოციალუ-
რი პრობლემის მოგვარება;

- მოსახლეობის დასაქმება;

- საზოგადოებაში სოციალური პო-
ლარიზაციის დონის შემცირება;

- სოფლად შრომის ავტორიტეტის
ამაღლება;

- ადგილებზე მოსახლეობის დამაგ-
რების და განვითარების რეალური
პერსპექტივის შექმნა და მიგრაციის
შეჩერება;

- მოსახლეობის სამენარმეო კულ-
ტურისა და განათლების დონის ამაღ-



ფუძველი ერთის მხრივ – სოფლები-
დან მოსახლეობის გაძლიერებული
მიგრაციის და მეორეს მხრივ – აგ-
რარული წარმოების პარალიზების.
აქედან გამომდინარე ნათელია, რომ
საწარმოო ურთიერთობათა ასეთი
ფორმის ხელშეწყობა უმეტეს შემთხ-
ვევაში სოფლის მოსახლეობისათვის
მხოლოდ უკაშედების მომტანია.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერა-
ციის ფარგლებში კოოპერაციი-
სა და ვერტიკალური ინტეგრაციის
პრინციპებზე დამყარებული მოდე-
ლი გახდება საფუძველი პირველადი
პროდუქციის წარმოების, გადამუ-
შავებისა და რეალიზაციის ერთიანი
ციკლის შექმნისა, სადაც პროდუქცი-
ის ღირებულება ყოველ სამეურნეო
საფეხურზე იზრდება და სასოფლო-
სამეურნეო კოოპერაციაში ჩართული
მოსახლეობა მიიღებს მნიშვნელოვ-
ნად გაზრდილ შემოსავლებს საბო-
ლოო პროდუქციის რეალიზაციიდან
მიღებული ამონაგებით. ასეთი ტიპის

ლო მეორეს მხრივ – ქმნის აგრარულ
საწარმოთა დაფინანსებაში ახალი,
ეფექტური ელემენტების შეტანის
მოტივაციას.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერა-
ცივების ფარგლებში აგროსამრეწ-
ველო ინტეგრაციის მხარდაჭერა შე-
საძლებელია ინტენსიური პირველა-
დი წარმოების, მაღალი დონის საწარ-
მოო ინფრასტრუქტურისა და გადა-
მამუშავებელი საწარმოების შექმნის
სტიმულირების გზით. გარდა ამისა,
უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ამ
ტიპის სამეურნეო სისტემაში შესაძ-
ლებელი გახდება – ტიპიური საბან-
კო კომერციული კრედიტის სოფლის
მეურნეობისათვის არაეფექტური და
მოქნელი ფორმა ჩანაცვლდეს ისე-
თი ფინანსური ინსტრუმენტებით,
როგორიცაა თავდებობა, ლიზინგი,
შეღავთიანი კრედიტი. ფინანსური
ურთიერთობის ასეთი ფორმა გავრ-
ცელებულია წარმატებული ეკონომი-
კის მქონე ბევრ ქვეყანაში და უმეტე-

ლება. კერძო მეწარმის და თავისუფალი მოქალაქის შესაბამისი აზროვნებისა და ქცევის ლოგიკის დამკვიდრება;

- საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარება.

სასოფლო-სამურნეო

კონპერაციების

განეორიენტირებით მიზანული შესახები

კონკრეტული პროექტების სწორი დაგეგმვითა და წარმატებით განხორციელებით მიიღწევა სინერგიული ეფექტი შემდეგი ძირითადი კომპონენტების (ეფექტების) ერთობლიობის საფუძვლზე:

1. ეკონომიკური ეფექტი – მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, სასოფლო-სამეურნეო დარგების ინტენსიური და ბალანსირებული განვითარება;
 2. სოციალური ეფექტი – სოციალური სოლიდარობა და სამართლიანობა, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება;
 3. მოსახლეობის დასაქმება – სოფ-



ლად მოსახლეობის მასიური დასაქ-
მება, სადაც დაფინანსების მოცულო-
ბა ერთ დასაქმებულ პირზე გაანგა-
რიშებით გაცილებით ნაკლებია სხვა
ტიპის ბიზნეს-პროექტებში ერთ და-
საქმებულ პირზე გაანგარიშებით ინ-
ვესტირებული ფინანსური სახსრების
მოკლეობაზე;

4. სიცოცხლისუნარიანობა და
მდგრადი ეკონომიკური განვითა-
რება – კოოპერაციული პროექტე-
ბის სიცოცხლისუნარიანობის და
მდგრადის საფუძველს ეკონომი-
კურ თვითმმართველობასთან ერ-
თად წარმოების კონცენტრაციის მა-
თავა თონი წარმოადგინა. რაოდან

თანამედროვე პირობებში მხოლოდ
მასშტაბური წარმოებით არის შესაძ-
ლებელი კონკურენციუნარიანი პრო-
დუქციის წარმოება და მისი რეალი-
ზაციიდან მიღებული შემოსავლების
გარკვეული ნაწილის აკუმულირება
აღნარმოებაზე, რის გარეშეც სამე-
ურნეო სისტემის განვითარება და
თანმდევი ეფექტების მიღწევა შე-
უძლებელია. სწორედ ამიტომ კოო-
პერაციულ პროექტებს გააჩნია რეა-
ლური სიცოცხლისუნარიანობისა და
მდგრადი განვითარების ობიექტური
საფუძვლები.

პარტა პოლუაზოლი,
სსმმ ა არამის ა არამი კონი

= ജാത്യീയപരമായ നേതൃത്വം


**აზიურ ფაროსანასთან ბრძოლა საყოფაცხოვრებო პირობები -
მაღალაჭავიჩური ინსტიტიციი - ვანდონა**

საქართველოში მცვავედ დგას ფაროსანის მასიური გამრავლებით გა-
მოცველი პროფესია, რომელიც კომალექსურია და შეიძლება ორ დიდ
ჯგუფად გაიყოს.

1. სოფლის მეურნეობისთვის მიყენებული ზარალი და
 2. საყოფაცხოვრებო – კომუნალური პრობლემა.

სოფლის მეურნეობაში ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის შექმნილია სახელმწიფო პროგრამა, რომელშიც გაერთიანებულია მრავალი სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურა, დამტკიცებულია სტრატეგიული პროგრამა და შესაბამისი ბიჯუტი.

რაც შეეხება საყოფაცხოვრებო პრობლემას, აქ დღემდე არაა ჩამოყალიბებული პროგრამა და შესაბამისად არ ჩანს სტრატეგია. თავიდანვე უნდა განვაკხადო, რომ ამ საჭმლში ამ დროს იქმნება გაუსაძლისი საყოფაცხოვრებო პრობლემა – ფაროსანა სახლში, ფაროსანა საწოლში, ფაროსანა საკეპბში და ყველგან. მიმაჩნია, რომ ყველაზე ეფექტური „ბრძოლა“



ფაროსანას წინააღმდეგ უნდა წარმოებდეს სწორედ ამ პერიოდში – უკვე ბუნებრივ თავშეყრის ადგილებში. აქაც ბრძოლის კომბინირებული მეთოდი უნდა განვიხილოთ:

1. განადგურება ფიზიკურ-მექანიკური მეთოდებით (მაღალი ძაბვის ულტრაინისფერი ნათების გამანადგურებელი და ელექტრო-მაგნიტური ველის პრინციპზე მომუშავე დამაფრთხობლები);

2. ეკოლოგიურად ნაკლებად უსაფრთხო ქიმიური მეთოდები.

საქართველოში სადაცეისოდ დარეგისტრირებულია არაერთი მაღალეფექტიანი, ეკოლოგიურად უსაფრთხო ევროპული პრეპარატი, რომელიც წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნას ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლაში საყოფაცხოვრებო პირობებშიც. ერთ-ერთი ასეთი პრეპარატია გერმანული კომპანია „ბასფის“ მიერ წარმოებული ინსექტიციდი – „ფენდონა“.

ფენდონა არის უნიკალური ტექნილოგიით დამზადებული პრეპარატი, რომელმაც საერთაშორისო ბაზარზე დაიმკვიდრა ადგილი, როგორც ერთ-ერთმა საუკეთესო ინსექტიციდმა პროფესიონალური დეზინსექციის და საყოფაცხოვრებო სფეროში მაღალეფექტური გამოყენებისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მისი გამოყენება უსაფრთხოა დახურულ სივრცეებში მოხმარებისთვისაც. მას იყენებენ ისეთი ობიექტების დეზინსექციისთვის, როგორიცაა: საწარმოო და საყოფაცხოვრებო შენობა-ნაგებობები, კომუნალური დანიშნულების ობიექტები (სასტუმროები, სპორტული დაწესებები, კვების ობიექტები, სასწავლო დანერგებები და სხვა)

ფენდონა არის ინსექტიციდი, რომელიც წარმატებით გამოყენება ისეთი საყოფაცხოვრებო მავნე მწერების გასანადგურებლად, როგორიცაა: ბუზები, რწყილები, ტარაკანები, კოლოები, ჭიანჭველები და სხვა. განსაკუთრებით ეფექტურია სხვადასხვა სახის ტკიპების, მ.შ. ფაროსანას წინააღმდეგ.

ქართულ ბაზარზე გერმანული კომპანია „ბასფის“ წარმოებული ისექტი-

ციდი „ფენდონა“ იყიდება შპს „აგროვიტას“ სავაჭრო ქსელში და სხვა შესაბამის მაღაზიებში. იგი დაფასოებულია 1-ლიტრიან ტარაში და მას ახლავს მოხმარებისა და უსაფრთხოების სრული ინსტრუქცია. პრეპარატი დარეგისტრირებულია საქართვე-

სადაც მოსალოდნელია მავნე მწერების არსებობა და გადაადგილება. დამუშავებიდან 24 სთ-ის შემდეგ ფართი უნდა განიავდეს და სცელი წესით მოირეცხოს დამუშავებული ადგილი. დასუფთავებიდან 3 სთ-ს შემდეგ თავისუფლად შეიძლება გაგრძელდეს საქმიანობა. პრეპარატს არ აქვს ძლიერი დამასასიათებელი სუნი და არ ტოვებს ლაქებს დამუშავებულ ფართზე. ხასიათდება დაბალი ტოქსიკურობით ადამიანის და სხვა თბილისის ხლიანების მიმართ. გამომდინარე აღნიშნული დან, მისი მოხმარება წებადართულია ადამიანთა და თბილისის ხლიანების ცხოველთა საყოფაცხოვრებო შენობებში, თანდართული უსაფრთხოების ინსტრუქციის დაცვით.

მომხმარებლისთვის კომფორტის გაუმჯობესების მიზნით პრეპარატი იყიდება უკვე „გამზადებული მოხმარებისათვის“ შემაფრქველით.

იმის გამო, რომ ფენდონა არ შეიცავს ტოქსიკურ გამზანებებს და დანამატებს, იგი უსაფრთხოა ადამიანებისათვის, სხვა თბილისის ხლიანების და მთლიანად გარემოსათვის.

ფენდონას საუკეთესო მახასიათებლების გათვალისწინებით მისი გამოყენება თავისუფლად შეიძლება სახლებში, სამზარეულოებში, რესტორნებში, საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, მეურნეობა-მეცხოველების ფერმებში და იქ, სადაც ინახება კვების პროდუქტები.

მომზადების უფასო დაცვის სამიზადოება

ფენდონამ მომხმარებლებში მაღალი რეპუტაცია დაიმკვიდრა ისეთი მონაცემებით, როგორიცაა დაბალი ტოქსიკურობა, მავნებელი მწერების განადგურების სწრაფი და მაღალი ეფექტურობა და ხანგრძლივი დაცვითი თვისებია. პრეპარატის დამუშავებიდან რამდენიმე წუთში მავნებელი მწერები განიცდიან ტოქსიკურ ეფექტს და იღუპებიან 24 სთ-ს განვლობაში.

ფენდონას კონცენტრაციის სპეციალიზებული ფორმულაცია შესსურებისას უზრუნველყოფს დასამუშავე-

საბა - ლ. საყვარელის სახელმისამართის დამასახურებულისა და საზოგადოებრივი კანმრთელობის გრძელებული დაწესებულის 2017 წლის 30 მარტი # 06-ში მიმმართ

სადურისაფერი, სადურისაფერი და სადურისაფერი სამუშავათ სარგებისაცვლილი მოწმობა # 25

1. ფენდონა 15 ლ. (სამართლებულის სახელმისამართის დამასახურებულისა და საზოგადოებრივი კანმრთელობის გრძელებული დაწესებული)

2. BASE (სამართლებულის სახელმისამართის მიმმართ კანმრთელი კანმატებელი)

3. გამზადების დაცვითი დაწესებულის სამართლებულის მიმმართ კანმატებელი (სამართლებულის მიმმართ გაცემულია # 29)

4. დანიშნულება:

- 1. სადურისაფერი
- 2. სადურისაფერი
- 3. სადურისაცვლილი

სარგებისაცვლილი მოწმობა გაცემულია # 26 01 2018 წ.

შემართებული დაწესებულის მოაღვევა
შემართებული

შ.ა. სამართლებულის მიმმართ გაცემული

ლოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ (სარეგისტრაციო მოწმობა №85, 26.01.18) და სურსათის ეროვნულ სააგენტოში (სარეგისტრაციო მოწმობა №1136, 16.02.16).

გამოყენების და უსაფრთხოების ინსტრუქცია

სამუშაო სუსპენზიის მომზადება ხდება ოთახის ტემპერატურის მქონე ნეალში ფენდონას ქარსნული კონცენტრაციის გახსნით. პრეპარატის შესასურებლად გამოიყენება სპეციალური გამაფრენებელი აპარატები. ფართის განმეორებითი დამუშავება ხდება იმ შემთხვევაში, თუ ამის ენტომოლოგიური საჭიროება დგება (მავნებლების ახალი თაობის გამოჩეკვა) 10-12 დღის ინტერვალით. პრეპარატით მუშავდება ფართი,

ბელი ზედაპირის პრეპარატით თანაბარ დაფარვას, მათ შორის ძნელად დასამუშავებელი ობიექტების (აგური, ცემენტი და სხვა ფორმიანი ზედაპირი) შემთხვევაში. უკანასკნელი თვისება განაპირობებს პრეპარატის სანგრძლივი მოქმედების ეფექტს.

პრეპარატის დოზები

პრეპარატის დოზები შემუშავებულია მავნე მწერების სახეობებისა და დასამუშავებელი ობიექტის სანიტარული მდგომარეობის გათვალისწინებით

ისეთი მასიური მავნე მწერების გასანადგურებლად, როგორიცაა: კოლოები, ჭიანჭველები, ლოგინის ტკიპები – გამოიყენება პრეპარატის 1%-ანი წყალხსნარი (10 მლ/ლიტრ წყალში);

რწყილების და ოთახის ბუზების შემთხვევაში – 2%-ანი წყალხსნარი (20 მლ/ლიტრ წყალში);

ხოლო ტარაკანების და ფაროსანას ჯგუფის ტკიპების შემთხვევაში – 4%-ანი წყალხსნარი (40 მლ/ლიტრ წყალში);

პრეპარატით ფართის დამუშავება ხდება სპეციალური გამაფრქვეველი აპარატით. უზრუნველყოფილი უნდა იქნას ფართის სრული დანამდვა.

პრეპარატის მოხმარების წინ გაეცანით ინსტრუქციას. დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საკონტაქტო პირს: ტელ.: 597170709 ან ენვიეტ საიტს - WWW.agrovitafsc.com

მისამართი:
ბოლოვგის მეცნიერებათა დოქტორი, კომპანია „აგროვიტას“ ინვაციური პროექტების მენეჯერი

შეზარდება

ჩინ კლანის აღდგენა-რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამი „ქართული ჩინ“ მიმღინარეობის უძრავი

ჩინ კლანის აღდგენა-რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც უკვე რიგი ცალი მიმღინარეობს (2016-2017), პირველ ეტაპზე განვითარდა რეაბილიტაციური კონცენტრაცია თანადაცირებების 70-90%-ის ზარღლურობი, შემდგრავი იქანით ჩინ ნაკვეთების აღვენას, ხოლო შემდგრავი ეტაპზე კონცენტრაციური სახელმწიფო გადამამუშავებლივ ტერიტორიაზე გადაცემას.

აღნიშნული დადგენილებით სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს დაევალა სარეაბილიტაციო ჩინის პლანტაციების ფართობების დიაგნოსტირება, რაც გამოიხატება შემდეგში: ბენეფიციარის განაცხადის საფუძველზე სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სპეციალისტები ადგილებზე ამონებენ ჩინის პლანტაციების უველა იმ კრიტიკულუმებს, რაც განაპირობებს ჩინის პლანტაციების რეაბილიტაციას (დასარევლიანების დონეს, მეჩერიანობას, ბურქის სიცოცხლისუნარიანობას, დაავადების ხარისხს, მელიორაციულ ფონს). იმ შემთხვევაში, თუ პლანტაცია აკმაყოფილებს ძირითად კრიტერიუმებს, შესაბამის ნაკვეთებში ხდება ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლების შესწავლა ცენტრ „ანასეულის“ აკრედიტებულ ლაბორატორიაში. მიღებული მონაცემების საფუძველზე სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სპეციალისტები ბენეფიციარის თანამონაწილებით ადგენენ აგროტექნოლოგიურ გეგმას შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალით შესაბამის ვადებში. ამასთანავე ბენეფიციარს ეძლევა რეკომენდაცია

ჩინ პლანტაციების აღდგენა-რეაბილიტაციაზე.

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ვალდებულება შემდგომში ითვალისწინებს ჩინის სარეაბილიტაციო პლანტაციებში შესრულებული აგროტექნიკური სამუშაოების მონიტორინგს, რომლის საფუძველზე ბენეფიციარს გადაეცემა ცნობა სახელმწიფოსაგან თანადაფინანსებით განსაზღვრული თანხის მისაღებად.

2017 წლის ბოლოსათვის საქართველოს მეჩაიერების ძირითადი რეგიონებიდან რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულია 33-მდე სხვადასხვა ბენეფიციარი (კომპერატივი, შ.პ.ს და კერძო იურიული პირი)

გათ შორის გურის რეგიონი:

შპს „მზიანი“, შპს „მარსი“, შპს „ნატურა თი კომპანი“, შპს „გეოპლანტი“, შპს „ლუკა 2010“, კომპერატივი „ჩაი გალაქტიკა“, შპს „ეკო ჩაი“, შპს „შავის ტყე“.

სამეცნიერო რეგიონი:

კომპერატივი „თაია 2014“, კომპერატივი „კოლხური თაიგული“, შპს „ჯვარი 91“, კომპერატივი „ლესა“, შპს „მუხურელი“, შპს „როსტო 2016“, შპს „მუხურელი“, შპს „როსტო 2016“,

რეაბილიტაციის ქვემდებარე ჩინ ფართობები რეგიონების მიხედვით

რეგიონი	მუნიციპალიტეტი	სარეაბილიტაციო ფართობი (ჰა)
გურია 382 ჰა.	ოზურგეთი	319,7
	ლანჩხუთი	62,3
სამეცნიერო 402 ჰა.	ჩხოროწყუ	121,6
	წალენჯიხა	171,5
	მარტვილი	109,3
იმერეთი 312 ჰა.	ვანი	18,4
	ტყიბული	42,8
	ჭიათურა	54,7
	ხონი	175,1
	წყალტუბო	21,0
სულ ქვეყანაში		1096,0

შპს „ლაზი“, შპს „მეგრული ჩაი“, შპს „ნერა“, შპს „როიალ დადიანი“, სს „ზღვაია“.

იგერეთის რეგიონი:

შპს „ტყიბულის მთის ჩაი“, შპს „რენეგიით თითი“, შპს „ფერერა ჩაი“, შპს „გეო ფლაუერი“, კონპერატივი „ხავერდოვანი ჩაი“, კონპერატივი „თამარის ჩაი“, სს „პანთანგიუანის ჰოლდინგ ჯვაფი“, კონპერატივი „ქვაცის ჩაის თაიგული“, შპს „ოქროს ფოთოლი“, შპს „მარადი“, კონპერატივი „ზოდის ჩაი“, კონპერატივი „მთის ჩაი“, შპს „ბიო ჩაი ხონი“, კონპერატივი „იკამიგრანტი“.

ამრიგად, სამეცნიერო-კვლევით
თი ცენტრის მიერ გაცემული დო-
კუმენტაციის მიხედვით ამ ეტაპზე
რეაბილიტაციის სახელმწიფო
პროგრამით მუშავდება 1096
ჰა ჩაის პლანტაცია. თითოე-
ულ ძენეფიციარზე სარეაბი-
ლიტაციო ჩაის ფართობების
მოცულობა 5-100 ჰექტრის
ფარგლებში მერყეობს. 100
ჰა-ზე მეტი ფართობის რეაბი-
ლიტაციას ანარმობს გურიის
რეგიონში შ.პ.ს „გეოპლანტი“,
სამეცნიერო რეგიონში შ.პ.ს
„ჯვარი 91“ და შ.პ.ს „ლაზი“. 

საირაპილიტაციოდ შერჩეული ჩაის პლანტაციები არაერთგვაროვნებით ხასიათდებიან. ფართობების უმტკესობა მიეკუთვნება წლების მანძილზე მიტოვებულ, გატყევებულ, ძლიერ დასარევლიანებულ კატეგორიას. მიუხედავად ამისა, ჩაის ბუჩქები მაინც ინარჩუნებენ სიცოცხლისუნარიანობას და ექვემდებარებიან რეაპილიტაციას.

მეორე კატეგორიას მიეკუთვნება ისეთი პლანტაციები, რომლებიც მიუხედავად ყოველგვარი აგროტექნიკური ღონისძიების გატარებისა მანიკა იძლევიან მცირე მოსავალს.

მესამე კატეგორიის პლანტაციები ის ნაკვეთებია, რომლებიც წლების მანძილზე ფუნქციონირებენ და მესა-კუთრენი ამზადებენ სხვადასხვა სა-სის ნედლეულს (ძირითადად უხეშს). ამ ნაკვეთებზე ფინანსური სიმცირის გამო სრულყოფილად არ მიმდინა-რეობს აგროტექნიკური ღონისძიებე-ბი: გასხვლა, სარეველებისაგან გან-მენდა, გაფხვირება, განყირება და სხვა.

ყველა ზემოთაღნიშული კატეგორიის პლანტაციები სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაის“ ფარგლებში რეაბილიტაციას დაექვემდებარა, რაც დადებით მოვლენად მიგვწინა.

ბენეფიციარების ყურადღება გვინდა გავამახვილოთ სარეაბილიტაციო პლანტაციების განხყიერების საკითხებზე:

კერძოდ, სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაციების ნაკვეთებიდან აღებული ნიადაგის ნიმუშების ხარისხობრივი მაჩვენებლების შესწავლის შეფეხვად გამოვლინდა შემდეგი:

როგორც ცნობილია, ჩაის პლანტა-
ციების განვითარება 1992-1993 წლებიდან შეწყდა. მხოლოდ აზოტოვანი
სასუქებით ნოველდებოდა ფირმა



„მარტინ ბაუერის“ დაქვემდებარებაში მყოფი ჩაის პლანტაციების ნაკვეთები. ეს პროცესი დაახლოებით 15-20 წელი გაგრძელდა, რის შედეგად სარეაბილიტაციოდ გამოყოფილი იქნა.

ფული ჩაით აღადასტუციებით საკუთაეს-
ბიდან აღებული ნიადაგის შერეული
ნიმუშების გაანალიზების შედეგად
უმეტეს შემთხვევაში დარღვეული
იყო საკუთხები ელექტრონული ბალანსი,
კერძოდ, შესათვისებელი კალიუმის
და ჰიდროლიზური აზოტის შემცვე-
ლობა დაბალია თითქმის ყველა ნაკ-
ვეთზე. იშვიათად არის ნაკვეთები,
სადაც შესათვისებელი ფოსფორის
შემცველობა ოპტიმალურია. უმეტე-
სად შესათვისებელი ფოსფორის შემ-
ცველობა დაბალია. აქვე უნდა აღი-
ნიშნოს ის ფაქტი, რომ იმ პერიოდ-
ში, როცა ჩაის მოსავლიანობა პიკს
აღწევდა (1970-1985 წლებში) ჩაის

პლანტაციების ნაკვეთების 35-40% საკვები ელემენტებით მაინც ღარიბი იყო.

როგორც ცნობილია, ჩაის პლან-ტაციების ექსპლოატაცია ბოლო 20-25 წლის განმავლობაში ფაქტიურად არ მიმდინარეობდა, ამიტომ საკვები ელემენტების მოსავლით გამოტანა მინიმუმამდე იყო შემცირებული. აქედან გამომდინარე, სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაციების ნაკვეთებში მართალია დარღვეულია საკვები ელემენტების შემცველობის ბალანსი, კერძოდ საკვები ელემენტების შემცველობა დაბალია, მაგრამ შიმშილი არ შეიძჩნევა, რაც საშუალებას გვაძლევს აღდგენითი პროცესი უმოკლეს პერიოდში განხორციელდეს.

ნითელმიწა, ენერი, გაეწ-
რებული ნითელმიწები, რო-
მელზეც ძირითადად გაშე-
ნებულია ჩას პლანტაციები,
მძიმე თიხნარი მექანიკური
შემადგენლობისაა, ამიტო-
მაც სარეაბილიტაციო ჩას
პლანტაციების ნაკვეთებს
უმეტესად შენარჩუნებული
აქვთ მექანიკური შემადგენ-
ლობა. გამონაკლისია ის ფარ-
თობები, რომლებიც გაშენე-
ბულია 30 გრადუსის დახრი-
ლობის ზევით და განიცდის
ჩამორცხვის პროცესს.

აღნიშნული ნიადაგები მა-
ღალი მუკიანობით ხასიათ-
დებიან. სარეაბილიტაციო

ჩიას პლანტაციების უმეტეს ნაკვეთებში მჟავიანობა შენარჩუნებულია. იშვიათად გახვდება სუსტ-მჟავე არები გადასვლა, რაც ჩიასთვის მისაღებია.

სარეაბილიტაციო ჩაის პლანტა-
ციების უმეტეს ნაკვეთებში ჰქონდა შემცველობა საშუალოზე მაღალია.
მას შესამჩნევი კლება არ განუცდია.
ნაკლებობის ფაქტები აღინიშნება
ძლიერ დახრილ ნაკვეთებში გაშენე-
ბულ პლანტაციებში.

სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაციების ნაკვეთების განვიყიერებისას ყურადღება უნდა მიექცეს ნიადაგის ხარისხობრივ მაჩვენებლებს. იმ შემთხვევაში, თუ ნაკვეთი დარიბია სამივე საკვები ელემენტით (N, P, K), საჭიროა გამოყენებული იქნას როგორი კომპლექსური სასუქები. NPK, სუპერაგრო, ამინოაცის, დიამინოაცის და

სხვა. სხვა შემთხვევაში განოყიერება უნდა მოხდეს მარტივი სასუქების გამოყენებით. მარტივი სასუქების ფორმების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნას ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლები და შეივსოს ის საკვები ელემენტი, რომლის დეფორტით ნიადაგში, რომ არ დაირღვეს მინიმუმის კანონი.

სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაციების ნაკვეთებიდან პირველ წლებში სრულმოსავლიანი პლანტაციის მიღებამდე ბიო-ჩაის წარმოება მიგვაჩნია არასწორად. როგორც ცნობილია, ჩაი არის მარადმწვანე მცენარე. რეაბილიტაციის დროს ხდება მისი მძიმე ან ნახევრად მძიმე გასხვლა, ამ პერიოდში მას შორდება მწვანე საფარი. რეაბილიტაციის დროს უნდა მოახდინოს ბუჩქის ფორმირება და შეფოთვლა მწვანე მასით, რისთვისაც საჭიროა იმ საკვები ელემენტის გამოყენება, რომელიც მწვანე მასას ქმნის, ეს კი არის ელემენტი აზოტი. აზოტი შედის როგორც მიზერალურ, ისე ორგანულ სასუქებში, მხოლოდ მინერალურ სასუქში შემავალი აზოტი უფრო სწრაფად მოქმედია, ვიდრე ორგანულში. აქედან გამომდინარე, ბუჩქის ალდენა-ფორმირების დაჩქარების მიზნით უპირატესობა ენიჭება მინერალურ სასუქებს, კერძოდ რთულ კომპლექსურ სასუქებს, რომელთაც შემცირებული დოზით დაემატება ამონიუმის გვარჯილა. როცა მოხდება ბუჩქის ფორმირება, შემდეგ უკვე შესაძლებელია თანდათანობით ორგანულ-მინერალურ სასუქებზე გადასვლა. ეს არ შექება იმ ჩაის პლანტაციებს, რომლებიც რეაბილიტაციის დროს მოითხოვენ მხოლოდ შპალერულ გასხვლას. აქ უნდა გავითვალისწინოთ ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლები და რამდენად შესაძლებელია ორგანულ-მინერალური სასუქების გამოყენებით მივაღწიოთ საკვები ელემენტების იმ დონეს ნიადაგში, რომ შესაძლებელი გახდეს მოსავლის მიღება.

ბიო-ჩაის წარმოება უნდა დავიწყოთ ჰერბიციდების გამოყენების აკრძალვით, მინერალური სასუქების თანდათანობით შემცირებით და ორგანულ-მინერალური სასუქების დოზების ზრდით.

მიუხედავად განეული სერიოზული ღონისძიებებისა, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროცესში გამოვ-



ლინდა რიგი გაუთვალისწინებელი ნაკლოვანებები და ხარვეზები:

1. სათანადო ტექნიკური საშუალებების სიმცირე და ტექნიკური გაუმართაობა, რასაც მოჰყვა ტექნოლოგიური სქემით გათვალისწინებული სამუშაოების (ნაკვეთების განმეობა მრავალნიანი და ერთნილიანი სარეველებისაგან, ჩაის ბუჩქების მძიმე და ნახევრადმძიმე გასხვლა, ნასხლავი მასის დაქუცმაცება, რიგთაშორისებში ნიადაგის მექანიზებული სამუშალებებით დამუშავება და სხვა) შესრულების დაბალი ხარისხი.

2. სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაციები ადგილი ჰქონდა რეკომენდებული სასუქების შეტანის ფორმების, დოზების და ვადების ცვლას, ნაცვლად კომპლექსური მინერალური სასუქებისა დაფიქსირდა თხევადი ორგანულ-მინერალური სასუქების ბლექვეკის შეტანის ფაქტი (შ.პ.ს „ფერეთა ჩაი“) მაზინ, როცა აღნიშნული სასუქი საერთოდ არ არის გამოცდილი ჩაის კულტურის განოყიერების სისტემაში. ჩვენი აზრით, ასეთი სასუქების გამოყენება რეაბილიტაციის პირველ წელს დაბალეფეტურია.

3. სარეაბილიტაციო პლანტაციების უმეტესობა შემოუღობავია. მართალია სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაი“ შემოღობების დაფინანსებას არ ითვალისწინებს, თუმცა, ჩვენი აზრით, დაუცველ პლანტაციებში რეაბილიტაციაზე განეული ხარჯები არაეფექტური იქნება.

4. ჩაის სარეაბილიტაციო პროგრამა 3 წელზეა გათვლილი. აუცილებლად მიგვაჩნია მეორე და მესამე წელს ტექნოლოგიური სქემით

გათვალისწინებული სამუშაოების სახელმწიფო თანადაფინანსება. წინაღმდეგ შემთხვევაში ბენეფიციარები თავისი ბიუჯეტით ვერ შეძლებენ დაგეგმილი სამუშაოების ბოლომდე მიყვანას. შესაძლებელია მეორე და მესამე წელს სახელმწიფოს მიერ განეული ხარჯები ბენეფიციარის მიერ ანაზღაურებული იქნას პლანტაციის სრული მოსავლიანობის შემდეგ.

5. ბენეფიციარები განიცდიან მეჩაიე სპეციალისტების დეფიციტს, რაც დღის წესრიგში აყენებს სპეციალისტების მომზადება-გადამზადების საკითხის მოგვარებას, რომელიც ჩვენი აზრით ცენტრ „ანასულის“ ბაზაზე უნდა განხორციელდეს.

6. მოტანილი ხარვეზები და ნაკლოვანებები გამოსწორებადია, თუ იქნება სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა, რაც გამოიხატება ამ პროგრამის გაგრძელებაში, ბენეფიციარების მაღალ პასუხისმგებლობასა და მეცნიერების ჩართულობაში.

ზარ გაპრიზიძე,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი;

რამუაზ ტამაძე,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი;

იოზა გაბილიძე,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
დოქტორი;

**სოფლის მეურნეობის სამეცნიერო
კვლევითი ცენტრი ნიადაგისა და
სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი
„ანასული“.**

სამი საუკუნეა საქართველოში „ქვევრის ღვინოს“ კლას ვაჟებით



არ მოგვეპოვება უტყუარი წერი-ლობითი მასალა იმის შესახებ, თუ როდის დამკვიდრდა საქართველოში ფუტკრის სანთლით და სხვა სახიზა-ვი საშუალებებით ქვევრის კედლის გახიზვის მავნე ტრადიცია. მეღვინე-ობის ისტორიკოსის, ბატონ გიორგი სარაჯიშვილის ვარაუდით, ეს XVII საუკუნის ბოლოს უნდა მომხდარი-ყო, მიზეზი კი გაუგებარია, რადგან იმ დროს ჩვენს წინაპარს ქვევრიდან ღვინის გაუკონვის საწინააღმდეგო დიდად ეფექტური საშუალება ჰქონ-და, ქვევრის გარშემო შემოყრილი მი-ნის დანესტიანების მეთოდის სახით. სწორედ ქვევრის კედლის გახიზვის მავნე ტრადიციის დამკვიდრების შემდეგ შეწყდა საქართველოში ბუ-ნებრივი „ქვევრის ღვინის“ დაყენების უძველესი ტრადიცია და ქვეყანა ძი-რითადად „ქვევრში ღვინის დაყენე-ბის“ ტრადიციაზე გადავიდა, რომე-ლიც დღემდე გრძელდება.

„ქვევრის ღვინის“ დაყენება და „ქვევრში ღვინის“ დაყენება ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული მცნებებია. კედელგაუხიზავ ქვევრ-ში დაყენებული ღვინო ბუნებრივი „ქვევრის ღვინოა“, ხოლო კედელგა-სიზულ ქვევრში დაყენებული ღვინო „ქვევრში დაყენებული ღვინო“ -ა, რო-მელსაც ბევრი არაფერი აქვს საერთო „ქვევრის ღვინოსთან“. ის ისეთივე ღვინოა, რომელიც ბეტონის იმ ორ-მოში დადგებოდა, რომლის გვერდები სანთლით, ემალით, ჭიქურით, ან სხვა სახიზავი საშუალებებით იქნებოდა

გახიზული. აქედან შეიძლება გავაკე-
თოთ ასეთი დასკვნა: ყველა ის ღვინო,
რომელსაც დღეს კედელგასანთლულ
ქვევრში მეღვინე ფერმერები აყენე-
ბენ, უბრალოდ, ქვევრში დაყენებული
ღვინოა და ხარისხით ჩამორჩება იმ
„ქვევრის ღვინო“-ს, რომელსაც ჩევენი
შორეული წინაპარი კედელგაუხიზავ
ქვევრში აყენებდა.

მოდით, შეძლებისდაგვარად ავხსნათ რა სხვაობაა კედელგაუზიზავ და კედელგაზიზულ ქვევრში დაყენებულ ღვინოებს შორის: პრატიკოსი მეღვინეები და მეცნიერ-სპეციალისტები ჟურნალ-გაზეთებში და ინტერნეტში ხშირად აქვეყნებენ წერილებს, სადაც წერენ შემდეგს: „ქვევრის დასამზადებელი თიხა მდიდარია ოქროთი, სასარგებლო ფერადი ლითონებით, მინერალებით და კირით. კირი ბუნებრივი ანტისეპტიკია, რომელიც ღვინოს 400-ზე მეტი სხვადასხვა მავნე ბაქტერიისაგან იცავს“. და კიდევ, „ვეთანამდები ვინც ამბობს, რომ კირი ქვევრისათვის არის მუდმივმოქმედი ანტისეპტიკი“. როგორც ხედავთ, ორივე ავტორი ამტკიცებს, რომ ქვევრის კედელი, რომელიც კირით მდიდარი თიხითაა აშენებული, ღვინისათვის მუდმივი ანტისეპტიკია, მაგრამ თავაზით წერილებში ორივე მათ-

განი ქვევრის კედლის ფუტკრის სან-
თლით გახიზვის მომხრეა და ამას და-
დებით მოვლენად მიიჩნევენ, რითაც
საზი გადაუსვეს წინა მოსაზრებას,
რადგან ქვევრის გახიზვის შემდეგ მა-
თი ღვინო, ქვევრის კირით მდიდარი
კედლის ნაცვლად სანთლის სარკო-
ფაგშია ჩასხმული და კირით მდიდარი
კედლიდან სანთლითა იზოლირებუ-
ლი. ცხადია, ამ შემთხვევაში ქვევრის
კირიან კედლებს ღვინოზე არანაირი
გავლენის მოხდენა აღარ შეუძლია.

ინტერნეტში ასევე განთავსებულია
ახლად გამოცემული სამუკნიერო

ნაშრომი-ბროშურა „ქვევრის ღვინის იდენტობა“, რომელიც საქართველოს ქვევრის ღვინის კლასტერის პრაქტიკის მაგალითზე დაწერილი. ამონარიდი ნაშრომიდან: „ქვევრში ტყბილის დუღილისას და ღვინის დაყენების დროს ღვინონში მიმდინარეობს ქიმიური პროცესები, რომლებიც განაპირობებს ქვევრის ღვინისათვის დამახასიათებელ გემოს, არომატს და გარეგნობას. აღნიშნული პროცესები განპირობებულია ღვინის კავშირით ქვევრის თიხასთან“. როგორც ხედავთ, აგფორები სწორად აღნიშნავენ, რომ ქვევრში მიმდინარე ქიმიური პროცესების შედეგად ღვინის გაზრდილ ხარისხს ღვინის თიხასთან კავშირი (შეხება) განაპირობებს, მაგრამ ავტორებს ავინუყდებათ, რომ ღვინოს ისინი სანთლით გახიზულ ქვევრებში აყენებენ და მათი ღვინო ფიზიკურ შეხებაში არ არის ქვევრის თიხის კედელთან, ამ პირობებში კი თიხა ღვინოში მიმდინარე ქიმიურ პროცესებში არ მონაბლეობს და ღვინოზე არანაირი გავლენის მოხდენა არ შეუძლია.

ინჟინერ-მკვლევარი თელავის მუნიციპალიტეტიდან თავის წერილში სწორად აღნიშნავს, რომ „ქვევრი არ შეიძლება იყოს შეგნიდან შეღებილი არანაირი საღებავით, ემალით, ეპოლუქსით და სხვ. მაგრამ იქვე ამატებს: ქვევრის ყველაზე კარგი საშუალება არის ფუტკრის სანთელი“-ი. ბატონ მკვლევარს და ყველა მათ, ვინც ქვევრის კედლის გახიზვას დადებით მოვლენად შიიჩრევს ავიზუდებათ, რომ ყველა მათ მიერ აღნიშნული საპოხ-სახიზავი საშუალება, მათ შორის სანთელი, ქვევრის კედლიდან ღვინის იზოლირებას ახდენს, ანუ ღვინო ამ სახიზავი საშუალების მიზეზით შესებაში აღარაა ქვევრის თიხის კირიან კედელთან და (ცხადია მისგან არანაირ კეთილ გავლენას არ განიცდის.

ალბათ დროის სამი საუკუნის შემდეგ მაინც გავაცნობიეროთ, რომ ქვევრისათვის სანთელი იგივე საღებავია, ემალია, ჭიქური და ეპოლუქსია, ამიტომ ნებისმიერი მათგანით ქვევრის კედლის დაფარვის შემდეგ ღვინო თიხის კედლისგან იზოლირებული ხდება და ამიტომ თიხას არანაირი გავლენა აღარ შეიძლება ჰქონდეს ღვინოზე. ასეთ ქვევრში დაყენებული ღვინო, შეიძლება ითქვას ფალსიფიცირებული „ქვევრის ღვინო“-ა, რადგან ღვინის ფალსიფიცია მარტო ის კი არ არის, როცა ღვინოს წყალს და შაქარს დაამატებ, არამედ ისიც ფალსიფიცია, როცა გაუსანთლავ და დაუცემენტებელ ქვევრში დასაყენებელ ღვინოს გახიზულ და დაცემენტებულ ქვევრში აყენებ, ბოთლის ეტიკეტზე კი „ქვევრის ღვინო“ გინერია.

როგორც ხედავთ, ქვევრის კედლის სახიზავი საშუალებები ღვინოს საშუალებას არ აძლევს შეხებაში იყოს თიხის კედლთან, ასევე, ისინი ღვინოს იზოლირებას უკეთებენ გარე სამყაროს ენერგონიფორმაციული და ბიოველური სტრუქტურებისგან. მათ გამო ღვინო ვერ იღებს საჭირო აერაციას და ასევე, ქვევრის კედლის გავლით ღვინოს არ მიეწოდება და-ვარგებისთვის საჭირო უანგბადი.

დღეს ქვევრის გახიზვას ორი პრობლემის გადასაწყვეტად ახდენენ პირველი, აღკვეთონ ქვევრიდან ღვინის გაუმნვა და მეორე, გახიზული ქვევრი ადვილად ირეცხება. ჩვენი წინაპარი პირველ პრობლემას ორი საშუალებით აგვარებდა პირველი, ქვევრის სამშენებლო თიხის კაზმში ცხიმი-ან თიხას ამატებდა და მით ქვევრის კედლის ფორებს ავიროვებდა და მეორე, ქვევრის გარშემო შემოყრილი მინის დასანესტიანებლად მინაში ჩადგმული ქვევრის თავის გარშემო 2-4 მცირე ზომის ორმოს უტოვებდა წყლის ჩასასხმელად, რადგან თუ ქვევრის გარშემო მინა გამოშრა, ის ნებისმიერი ფორიანი კედლიდან გაიწოვს სითხეს. რაც შეეხება ქვევრის რეცხვას, ეს მართლაც შრომატევადი პროცესია, მაგრამ ეს ის მიზეზი არ არის, რისთვისაც „ქვევრის ღვინოს“ თიხასთან შეხებით მიღებული უნიკალური თვისებები დააკარგვინო. ხვალისათვის კი ქვევრის ჰიგიენის საკითხი წარმატებით გადაჭრა ქართველმა გამომგონებელმა ალექსან-დრე კვერნაძემ, რომელმაც „ქვევრის

ულტრაბგერით აპარატი“ შექმნა ამ აპარატს მარნების მფლობელთა მხრიდან დანახვა და გამოყენება უნდა.

ქვევრის ასევე უნდა მოვაშოროთ ბეტონის გარსი, რომელიც დღეს ქართველ მექვევრებს საკუთარი „ხალტურის“ გადასაფარად უფრო სჭირდებათ, ვიდრე, ქვევრის გასამაგრებლად. ცნობილია, რომ მუდმივ სველ მდგომარეობაში მყოფი ბეტონი 40-50 წლის შემდეგ იწყებს დაშლას, ქვევრი კი საუკუნეები უნდა იყოს ჩადგმული მინაში. ასევე ცემენტი მრავალ ტოქ-სიკურ ნივთიერებას შეიცავს. საერთოდ კი ქვევრი დაცემენტტების გარეშე უნდა იყოს საიმედო ჭურჭელი, ეს კი მაშინ მოხდება, როცა 2-3 ტონიან ქვევრს 3 სმ. სისქის კედლის ნაცვლად 5სმ. სისქის კედლით ააშენებენ.

ცნობილი გახდა, რომ ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორმა პოლაკმა თიხის ჭურჭლის ზედაპირზე



ნანოფორები ალმოაჩინა. ამტკიცებენ, რომ თიხის ნაკეთობათა ნანოფორებს ყურძნის წვენში არსებული წყლის სამკურნალო თვისებების მქონე 4-ეული ფაზის მქონე წყლად გარდაქმნა შეუძლიათ. ამ უნიკალური თვისების საბოლოოდ დამტკიცების შემდეგ მსოფლიო მეღვინეთა თვალში ქვევრი კიდევ უფრო უნიკალურ ჭურჭელი გახდება. ცხადია, თუ ქვევრის კედლის გახიზავთ და ამ ნანოფორებს სანთლით გადავაკრავთ, ქვევრის კედელი ყველა ამ და ბევრ სხვა კეთილ თვისებას დაკარგვას, ამიტომ ყველამ ხმა უნდა ავიმაღლოთ ამის წინააღმდეგ და უარი უნდა ვთქვათ ამ მავნე ჩვევაზე და ქვევრის შენების და გამოყენების ძველ, ანუ

გაუხიზავ ქვევრში ღვინის დაყენების ტრადიციას დაუუბრუნდეთ. ისეთი ქვევრის აშენება კი რომლის კედლიდან ღვინო არ გაუონავს, პრობლემას არ წარმოადგენს.

მიუხედავად ყველაფრისა, საქართველში დღემდე ქვევრში დაყენებულ ღვინოებს შენარჩუნებული აქვთ ბევრი ის უნიკალური თვისება, რომელიც ქვევრის ღვინისათვისაა დამახასიათებელი. ალბათ, საინტერესოა, რა განაპირობებს ამას? გარდა ზემოთ მოყვანილი ამონარიდებისა, არის ბევრი სამეცნიერო ნაშრომი, სადაც ქვევრის ღვინოზე მწერალი ყველა ავტორი ქვევრში დაყენებული ღვინის განსაკუთრებულ სუნს, გემოს და ბუკეტს ღვინის თიხასთან ურთიერთობას მიაწერს და არაფერს წერს ქვევრის უნიკალური ფორმის ღვინის სარისხზე გავლენის შესახებ. „ქვევრის ღვინო“-სა და „ქვევრში დაყენებულ ღვინო“-თა შორის სხვაობა

სწორედ ამაშია. „ქვევრის ღვინის“ უნიკალური მახასიათებლები ღვინის თიხასთან ურთიერთობით და ქვევრის უნიკალური ფორმითაა განპირობებული, ანუ „ქვევრის ღვინის“ ფორმირებაში ქვევრის უნიკალურ თვისებათა ორივე ეს „კომპონენტი“ მონაწილეობს, ხოლო „ქვევრში დაყენებული ღვინო“, მხოლოდ იმ სიკეთითაა მდიდარი რასაც ქვევრის უნიკალური ფორმა იძლევა.

ახლა ვნახოთ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ქვევრის ფორმას ღვინის სარისხზე ქვევრი შეიძლება ასე განისაზღვროს: ქვევრი, თიხისაგან აშენებულ-გამომწვარი სფეროს ფორმის ჭურჭელია, რომელსაც ერთ



მხარეზე ბეჭებით მიბმული პირ-ყელი აქვს, ხოლო მის მოპირდაპირე მხარეზე კონუსის ფორმის კალთით მიბმული ძირი. სწორედ ამ დამატებათა წყალობითაა მიღებული ქვერის კვერცხის ფორმა. ახლა ვნახოთ რითაა უნიკალური ორივე ეს ფორმა: „როცა თანამედროვე მათემატიკოსებმა გონიერი არსების ყველაზე ოპტიმალური ფორმის მოდელირება გააკეთეს, აღმოჩნდა, რომ „სუფთა აზროვნების“ ყველაზე იდეალური ფორმა სფეროა“. კვერცხის ფორმაზე კი შემდეგს წერენ: „ როცა ბუნებას სურს, სიცოცხლის ენერგია შეინახოს, ის ამისთვის კვერცხის ფორმას იყენებს“ -ო. აკადემიკოსი ი. ნეუმი-

ვაკინი კი კვერცხის ფორმის შესახებ წერს: „ადამიანის ენერგეტიკა რამდენიმე ნაკადისგან ყალიბდება. ერთ-ერთი მათგანი დედამინის ნიალიდან მოდის და უარყოფითი მუხტის მატარებელია. მეორე კოსმოსიდანაა, იგი დადებითი მუხტითაა. მესამეა ენერგია, რომელიც ადამიანის უჯრედების, ორგანოებისა და ორგანიზმის სისტემების მუშაობის შედეგად გამოიყოფა. ეს ნაკადები ერთმანეთში გადაედინება და ქმნიან ინდივიდუალურ განუმეორებელ ენერგონფორმაციულ სტრუქტურას. მას სხეულის გარშემო განსაზღვრული გარშემონერილობა აქვს, ასევე ფორმა (ქათმის კვერცხის მსგავსი). ეს ბიოვე-

ლური სისტემა მეცნიერების აზრით ადამიანის ორგანიზმს სასიცოცხლო ენერგიებით კვებავს. ღვინო, როგორც ცოცხალი ორგანიზმი ასევე განიცდის ამ ენერგიების გავლენას და მასში დასავარგებლად ჩასხმული უსახური ფერისა და გემოს მქონე მაჭარი, ამ ენერგიათა ზემოქმედების წყალობით, უნიკალური გემოს, ფერისა და სუნის მქონე სასმელად ყალიბდება. ასევე, საყოველთაოდ ცნობილია პირამიდებში მიმდინარე პროცესები (კურნებეა, ბლაგვი საგრძნის ლესვა და სხვ.), ქვევრი კი ორი პირამიდის – წაკვეთილის და წაუკვეთავის შეერთების შედეგად მიღებული ფორმაა. როგორც ხედავთ, ქვევრის ფორმის გავლენა ღვინოზე ამკარაა და ეს გავლენა, ანუ ქვევრის ღვინისათვის დამახასიათებელი ორგანოლებტიკა, გახიზულ ქვევრში თინისა და ღვინის ურთიერთქმედების გარეშე ხდება. სამწუხარიდ, ქვევრის ფორმის ფერისმენის გავლენა ღვინოზე დღემდე შეუსწავლელია (ისე, როგორც მთლიანად ქვევრი), რომლის შესწავლა მრავალი დარგის მეცნიერ-სპეციალისტების მიერ უნდა მოხდეს და რაც შეიძლება მალე.

**მუნიციპალიტეტი,
ქვევრის მოყვარული.**

ფარგლენი

რუპრიცას უძღვება „მომავლის ფერმერი“

„ივერის ვენახები“ - ახალგაზრდა ივერი ბერიძე სარჯახო ტრადიციას პიზნესშიც იცავს

მევნეობა-ეთნოგრაფიული მუზეუმის დარგის, რომელითაც საქართველო მსოფლიო გაიცემ. 8 000 – ლეიანი კულტურა სათავეს მოვალეობის კერიდან იღებს.

დღეს სწორედ ასეთ ფერმერს, ახალგაზრდა ივერი ბერიძეს გაგაცნობთ, რომელიც მამა-პაპის მრავალწლიან ტრადიციას აგრძელებს აჭარაში, ქვედის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარჯანისში: „მრავალი წლის განმავლობაში ჩვენმა ოჯახმა განვითარა მეღვინეობის ტრადიციები. ჩემმა ბაბუამ, ზურაბ ბერიძემ, გასული საუკუნის 60-იან წლებში მოაწყო მარანი და დაიწყო ღვინის ქვევრში

დაყენება. ჩვენს მიწის ნაკვეთში ნაპოვნია ძველი ქვევრები, რაც მიანიშნებს, რომ აქ ვაზის კულტურა უხსოვარი ღროიდან არსებობდა.“ – გვიყვება ივერი.

ამჟამად მაღალი ხარისხის საოჯახო ცოლიკოურის, ჩხავერის და სანურის ბიო ღვინოს ანარმოებს „ივერის ვენახების“ სახელწოდებით, ღვინის მცირე სანარმოში, ბოთლში ჩამოსხმით.



აჭარისწყლის ხეობაში, ვარჯანისში, როგორც ივერი ამბობს, ყურძნის წარმოებისთვის უნიკალური პირობებია – მზის მაღალი ინტენსივობა, რელიეფის, მიკროკლიმატისა და ნიადაგის ერთობლიობა.

მთავარი რესურსები – სურვილი და ნაყოფიერი მიწა უკვე იყო. საჭირო ტექნიკა – ინვენტარისა და აგროტექნოლოგიური აღჭურვილობისთვის ივერიმ სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებს მიმართა, მათ შორის „მდგრადი სოფლის მეურნეობა აჭარის ავტონომიურ რესაუბლივიაში -ENPARD აჭარა“ – შეიძინა ღვინის მცირე სანარმო ბოთლებში ჩამოსხმით და ამის პარალელურად, ჩამოაყალიბა სასოფლო-სამეურნეო კომპერატივი „ივერის ვენახების“ სახელწოდებით.

ერთ ჰექტრამდე მიწის ნაკვეთზე გააშენა ცოლიკოურის, ჩხავერისა და სანურის ვენახები, ასევე, მცირე რაოდენობით 10-ზე მეტი დასახელების ვაზის ენდემური ჯიში.

ასე ნაბიჯ – ნაბიჯ ყალიბდებოდა როგორც ივერი, ასევე ზრდიდა და ავითარებდა „ივერის ვენახებს“ და დღეს უკვე წარმატებულ კომპანიად აქცია, რომელიც არაერთი ჯილდოს მფლობელი გახდა, მათ შორის „ოჯახში დამზადებული ღვინის VII ფესტივალის“ გამარჯვებული ნომინაციაში – „საუკეთესო ზვრები“ 2014 წელს და „დამწყები მელვინე“ 2015 წელს. ასევე მონაწილეობა მიიღო ნიუ-იორქსა და ლოს-ანჯელესში გამართულ ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენებში (RAW WINE Fair 2017): „ნიუ-იორქსა და ლოს-ანჯელესში გამართულ ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენებში (RAW WINE Fair 2017) მონაწილეობამ დაგვარნენა, რომ ჩვენი საოჯახო მეღვინეობა სწორი გზით ვითარდება და ბევრი რამ კიდევ უნდა გავაუმჯობესო.“ – ამბობს ივერი ბერიძე.

თუ რომელი ჯიშების ხილვა შეიძლება „ივერის ვენახებში“, ახალგაზრდა მეღვინე შემდეგს მოგვახსენებს: „უნიკალური ღვინის წარმოება შეუძლებელია მაღალი ხარისხის ყურძნის გარეშე, ამიტომაც მევენახებისა და მეღვინეობის განვითარებისთვის ვიყენებ თანამდებროვე ტექნოლოგიებს. ძირითადად გავშენეთ ცოლიკოური და ჩხავერი, ასევე მცირე ფართობზე გავაშენე აჭარაში გავრცელებუ-

ლი ვაზი – საწური. ვაზის ფორმირება მოვახდინე „ომპრელას“ ფორმით, რომელიც ხელით სამუშაოს მნიშვნელოვნად ამცირებს.“

ივერის თქმით, ცოლიკოურის ყურძნისგან დამზადებული თეთრი მშრალი ღვინო მოთხოვნადია, მაგრამ მეტად პოპულარულია ჩხავერის ყურძნისგან დამზადებული თეთრი და ვარდიფერი, მშრალი ღვინო.

რაც შეეხება ღვინის დაყენების ტექნიკას, ძირითადად ევროპული ტექნოლოგიით აყენებს, ასევე, დურდოზე მცირე დრო-

ით ერთ კვირამდე დაყოვნებით. როგორც ივერი ბერიძე გვიხსნის, ამ დროს ღვინო ტანინებით ზომიერად გაჯერებული ხდება. აღნიშნული ტექნოლოგიით, ამჟამად, ცოლიკოურის თეთრ, მშრალ ღვინოსა და ჩხავერის ვარდისფერ, მშრალ ღვინოს აყენებს.

მინდა ყურადღება გავამახვილოთ, რომ „ივერის ვენახები“ ბიო ღვინოს აწარმოებს და სწორედ ამ უპირატესობით სურს საექსპორტო პოტენციალის გაზრდა. როგორც ზემოთ აღვინიშნეთ, კომპანიამ უკვე მიიღო მონაწილეობა ამერიკაში გამართულ ბუნებრივი ღვინოების გამოფენებში (RAW WINE Fair 2017): „ნიუ-იორქსა და ლოს-ანჯელესში გამართულ ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენებში (RAW WINE Fair 2017) მონაწილეობამ დაგვარნენა, რომ ჩვენი საოჯახო მეღვინეობა სწორი გზით ვითარდება და ბევრი რამ კიდევ უნდა გავაუმჯობესო.“ – ამბობს ივერი ბერიძე.

საქართველოში გაყიდვების გაზრდის მთავარ და მნიშვნელოვან ფაქტორად კი ღვინის ტურიზმის ჩამოყალიბებასა და განვითარებას ასახელებს. ივერის თქმით, ღვინით დაინტერესებული ტურისტების რიცხვის ზრდა თავისთავად ღვინოზე ზრდის მოთხოვნილებას, ამიტომ გეგმავს, 2018 წელსვე „ივერის ვენახები“ ბათუმის ბრენდირებულ, პოპულარულ სასტუმროებსა და ღვინის ბარებს მიაწოდოს.

როგორც ერთი შეხედვით ჩანს, ჩვენს ახალგაზრდა მეღვინეს დიდი შრომა აქვს განეული და სამომავლოდ კიდევ უფრო დიდი გეგმები დაუსახავს, წარმატებისკენ მიმავალი გზა კი მარტივი რომ არ არის, ეს კარგად ვიცით. დარგში არსებული ხარვეზების შესახებ ივერი შემდეგს ამბობს: „ძალიან საამაყოა, რომ ჩვენი ქვეყანა ღვინის სამშობლოდ იქნა აღიარებული. ეს დიდ პასუხისმგებლიბასაც გვაკისრებს. უდავოა, ღვინის ექსპორტი იზრდება, მაგრამ მცირე მარნებისა და ოჯახში დამზა-



დებული ღვინის რეალიზაციას ქვეყნის შიდა ბაზარზე უფრო მეტად უნდა შეეწყოს ხელი.

რაც შეეხება სახელმწიფო ჩართულობას, ივერი ხაზს უსამს სახელმწიფოს მიერ საექსპორტო ბაზარზე ხელშეწყობას და ასევე, რეკომენდაციის სახით მცირე მარნებზე აქცენტის გაკეთებას ასახელებს: „ღვინის ექსპორტის დროს საკუთარ თავზე გამოვცადე, რამდენად დაინტერესებულია და ხელს უწყობს სახელმწიფო ექსპორტთან დაკავშირებული ფორმალობების მოგვარებას. დიდი მადლობა მინდა გადავუხად „საქართველოს ღვინის ეროვნულ სააგენტოს“ მხარდაჭერისთვის. ვფიქრობ, უფრო მეტი უნდა გაკეთდეს მცირე მარნების განვითარებისთვის, ტექნიკური აღჭურვილობით დაწყებული, ღვინის რეალიზაციით დამთავრებული. მომხმარებლებისთვის უფრო პოპულარული უნდა გახდეს მცირე მარნების ხარისხიანი ღვინო.“

გარიაზ ტაძაშვილი

ლაზერის სეივი - თანამედროვე ტექნოლოგია გაფრინველებაში

ლაზერი მეცნიერების და ტექნიკის ერთ-ერთი შესანიშნავი და პირსპექტული აღმოჩენაა, იგი XX საუკუნის საოცრებად ითვლება.

ლაზერი – ოპტიკური კვანტური გენერატორების მოკლე სახელწოდებაა. სიტყვა ლაზერი წარმოქმნილია ინგლისური სიტყვის Light Amplification by Stimulated Emission of Radiation საწყისი ასოებისაგან, რაც ქართულად ნიშნავს: „სინათლის გაძლიერება იძულებითი გამოსხივებით“.

1952 წელს საბჭოთა მეცნიერების ნ.გ. ბასოვის, ა.მ. პროხოროვის და მათგან დამოუკიდებლად ამერიკელი ჩ. ტოუნისის მიერ შემოთავაზებული იქნა ინდუცირებული გამოსხივების გამოყენების პრინციპი, რომელიც საშუალებას იძლეოდა შექმნილიყო კვანტური გენერატორი – ლაზერი.

პირველად კონსტრუირებული იქნა გენერატორი, რომელსაც „მოლეკულური გენერატორი“ უწიდეს, ხოლო 1954 წელს – ლაზერი.

სიტყვა „ლაზერი“ წარმოიქმნა ტერმინისაგან „მაზერი“. როგორც „ლაზერის“, ასევე მაზერის მუშაობის პრინციპი ერთნაირია. მაზერის გამოჩენა ნიშნავდა, რომ დაიბადა ახალი მიმართულება – „კვანტური რადიოფიზიკა“, რომელსაც მოგვიანებით „კვანტური ელექტრონიკა“ უწოდეს.

ამ უმნიშვნელოვანესი სამუშაოსათვის კვანტური ელექტრონიკის

სფეროში ნ.გ. ბასოვს, ა.მ. პროხოროვს და ჩ. ტოუნის 1964 წელს ნობელის პრემია მიენიჭათ.

1960 წელს ამერიკელმა ფიზიკოსმა გ. მეიმანმა მიიღო გამოსხივების გენერაცია ინგლისურ დიაპაზონში ლაზერი, რომელიც შემდგომში გამოყენებული იქნა ბიოლოგიურ ობიექტებზე ზემოქმედებისათვის. ლალის ლაზერის ტალღის სიგრძეა 6943 Å, გამოსხივების სიძლიერე შეიძლება ვარიაციულად შეიცვალოს სხვადასხვა საზღვრებში.

იმავე წელს ამერიკელი ფიზიკოსების ა. ჯავანუს, ბ. ბენეტუს და დ. ერიოფტუს მიერ მიღებული იქნა ნეონისა და ჰელიუმის ნარევის ელექტრულ განმუხტვაში ინგლისური გამოსხივების გენერაცია. ასე დაიბადა პირველი აირის ლაზერი – ჰელიო-ნეონის ლაზერი.

ლაზერი შედგება შემდეგი ძირითადი ნაწილებისაგან.

1. აქტიური ნივთიერება;
2. ალგზნების წყარო;
3. რეზონანსული მოწყობილობა;
4. კვების ბლოკი.

ლაზერული გამოსხივების თვისებებია: კოპერენტულება, მონოქრო-

მატულობა და პოლარიზაცია [1]. მასში აქტიური ნივთიერების აღგზნება ხდება მაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ველით.

ჰელიო-ნეონის ლაზერის ძირითად ელემენტს წარმოადგენს განმუხტვის მილი, რომელშიც კათოდი და ანოდია მოთავსებული. თავად მილი სავსეა ჰელიუმისა და ნეონის ნარევით, რომელიც მათი ატომებისაგან აქტიურ არეს ქმნის. მაღალი ძაბვის ქვეშ მილში წარმოიქმნება მანათობელი განმუხტვა. ნივთიერებას, რომელიც ახდენს გამოსხივების გენერაციას, წარმოადგენს ნეონი, ხოლო ატომების აღგზნებული ხორციელდება ჰელიუმის ატომების სამუალებით. ჰელიუმის აღგზნებული ატომები, ეჯახებიან რა ნეონის ატომებს, გადასცემენ ენერგიას, რომელიც აუცილებელია მათ აღგზნებულ მდგომარეობაში გადასყვანად.

ლაზერული გამოსხივების მოქმედების მექანიზმის შესწავლას ბიოლოგიურ ობიექტებზე მიეღვინა J.H. Burkhalter, 1965; L. Goldman, R. Y. Rockwell; J.A. Mendelson, N.B. Ackerman, 1965; და სხვათა ნაშრომები [2, 3].

აღმოჩნდა, რომ ბიოლოგიურ ობიექტზე ლაზერული გამოსხივების მოქმედების მექანიზმის საფუძვლად უდევს პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს უჯრედულ და მოლეკულურ დონეზე.

ზოგიერთ პუბლიკაციაში ამტკიცებენ, რომ ლაზერული ზემოქმედების მექანიზმი განპირობებულია დარტყმითი ტალღის წარმოქმნით, რომელიც ჩრდება უჯრედის თხევადი ნაწილის ტემპერატურის ამაღლების შედეგად.

მკვლევარების მრავალრიცხოვან ნაშრომებში [4] ნაჩვენებია, რომ ბიოლოგიური ობიექტები შეიცავენ თავისუფალ რადიკალებს, რომლებიც თამაშობენ ფერმენტების აქტიური ცენტრების როლს, რომელთა მეშვეობითაც ქსოვილებში რეგულირდება ძირითადი ბიოლოგიური პროცესების ენერგია.



მედიცინაში ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ტიპის და სიძლიერის ლაზერი. მას იყენებენ თითქმის ყველა დარღვი – ქირურგიაში, ოჯთალმოლოგიაში, სტომატოლოგიაში, დერმატოლოგიაში, ონკოლოგიაში, ნეიროქირურგიაში, ასევე სხვადასხვა თერაპიული დაავადებების სამკურნალოდ.

განხორციელებულმა ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ შედარებით მცირე ინტენსივობის ლაზერის სხივი შეიძლება აღმოჩნდეს ძლიერი ფიზიოლოგიური სტიმულატორი.

ჰელიო-ნეონის ლაზერი სოფლის მეურნეობის დარღვებიდან ფართოდ გამოიყენება მემცნარეობაში. დაბალი ინტენსივობის გამოსხივება საკმაოდ ძლიერ ფიზიოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს მცნარის ზრდის სტიმულაციაზე.

ცალკეული მეცნიერების გამოკვლევებით დამტკიცებულია, რომ დათესვის წინ თესლის ლაზერის სხივით დამუშავება ამაღლებს მისი გაღივების უნარს და მცნარე უკეთ იყენებს ნიადაგის ტენის მარაგს. ასე მაგალითად, პომიდორისა და კიტრის თესლზე ლაზერით დასხივების შემდეგ 10-20%-ით იზრდება მათი გაღივების უნარი, მცნარე სწრაფად ვითარდება და იძლევა მეტ ნაყოფს. აღმოჩნდა, რომ ლაზერის სხივის დამარებით შესაძლებელია ახალი და ამასთანავე გამძლე ჯიშების შექმნა.

ლაზერი ასევე დადებითად მოქმედებს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე და მომზიფების დროის შემცირებაზე, სასიფლო-სამურნეო კულტურების მოსავლიანობის გაზრდაზე [5].

ჰელიო-ნეონის ლაზერის სხივების გამოყენების დიდი შესაძლებლობებია ვეტერინარიასა და მეცხოველეობაში.

მრავალრიცხოვანმა ექსპერიმენტებმა ცხადყვეს, რომ მცირე სიძლავრის ლაზერის სხივები საშიში არა ცხოველის ორგანიზმისათვის, პირიქით, გამოსხივება აღადგენს და აძლიერებს ორგანიზმის შესუსტებულ ფუნქციებს. ამიტომაც ვეტერინარი მეცნიერებისათვის მნიშვნელოვანია ლაზერის სხივების გამოყენება ცალკეული დაავადებების დროს [6].

მეფრინველეობაში ჰელიო-ნეონის ლაზერის სხივები მეცხოველეობის

სხვა დარგებთან შედარებით ფართოდ გამოიყენება ნინილების გამოსავლიანობის გასაზრდელად და ქათმის პროდუქტიულობის სტიმულირებისათვის [7].

ზოგიერთი ავტორის მონაცემებით საინკუბაციო კვერცხის დასხივება OKF-12 ლაზერით (დასხივების სიმძლავრით 0,3 მვტ/სმ²) იწვევს ჩანასახის უფრო აქტიურ განვითარებას ინკუბაციის პირველ დღეს. დადგენილია, რომ ინკუბაციის დაწყებიდან 20 საათის შემდეგ განვითარებაში ჩამორჩენილი ჩანასახების რაოდენობა საცდელ ჯგუფში 10%-ით მცირდება. დასხივებულ კვერცხში აღანგოისი

რდა 410 დღისათვის 14,4%-ით. ლGamma-75 ლაზერის 1-5 წუთი ექსპოზიციით დამუშავება 3 თვით ქათმებში სტიმულაციას უწევდა ენდოკრინული სისტემის მუშაობას და კვერცხმდებლობის პროცესს. ამას თან სდევდა საკვერცხების ზომის გადიდება და ფოლიკულების მომნითების დაჩქარება. კვერცხსავალში გაუმჯობესდა სისხლის მიმოქცევა და მოხდა ზოგიერთი კუნთის ჰიპერტროფია [9].

დ.ვ. იაკუბოვსკის და დ.დ. ხმიმიარის მონაცემებით, საცდელ ქათმებს კვერცხმდებლობა ეწყებოდათ 2-3 კვირით ადრე, ვიდრე საკონტროლოებს.



უფრო ადრე იკვრება და ჩამევდარი ემბრიონების პროცენტიც მცირდება [8].

ჰელიო-ნეონის ლაზერის სხივით დამუშავებისას იზრდება ქათმის კვერცხის სტერილურობის დონე და მაღლდება მასში ლიზოციმური აქტივობა. ინკუბაციის გამოსავლიანობა იზრდება 4-12%-ით, ხოლო ინკუბაციის ხანგრძლივობა 8-15 საათით მცირდება.

ანალიგიური შედეგები მიიღეს იხვის საინკუბაციო კვერცხის ლაზერის სხივებით დამუშავების დროსაც.

კვერცხის ინკუბაციამდელი დასხივება მასტიმულირებელ გავლენას ახდენს ნინილების პოსტრებრიონულ განვითარებაზე და შებუმბელის პროცესზე. ნინილების შენარჩუნება გამოზრდის პირველი შვიდი დღის განმავლობაში იზრდება 9,8%-ით, ხოლო 30 დღის განმავლობაში – 5%-ით [12].

გამოვლენილია ლაზერის სხივების დადებითი ზეგავლენა ფრინველის პროდუქტიულ მაჩვენებლებზე. ფ.პ. იაკუბოვსკის მიერ დადგენილია დედლების კვერცხმდებლობის გაზ-

ცნობილია, რომ დასხივების შემდეგ საცდელი ჯგუფის ქათმებს, საკონტროლოსთან შედარებით, მნიშვნელოვნად მაღალი აქვთ მქავავი ფოსფატაზის შემცველობა თირკმელზედა ჯირკვალში, თირკმელში და ნაწლავებში. გარდა ამისა, კეფის რეფლექსოგენურ ზონაზე ზემოქმედება მამლებში იწვევს მოძრაობითი აქტიურობის და აგრესიულობის ზრდას და აჩქარებს მეორადი სასქესო ნიშნების გამოვლინებას. ეს მონაცემები მეტყველებენ ჰიპოფიზზე ჰელიო-ნეონის ლაზერის დასხივების დადებით ზეგავლენას.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გამოკვლევები, რომლებშიც ნაჩვენებია, რომ დასხივებული კვერცხიდან მიღებული ქათმის ნინილი სისხლში უფრო მეტ ცილას, ჰემოგლობინს, ერითროციტებს შეიცავს, გამოირჩევა ზრდის და შებუმბელის პროცესს გააქტიურებით, ხორცის გამოსავლიანობის გაზრდით და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებით.

ა.ნ. მასლაბოვსკის დასხივების მიერ დადგენილია, რომ ფრინველის



ცალკეულ ასაკობრივ პერიოდებში პროტეინის დანახარჯები ბუმბულის ზრდაზე მნიშვნელოვნად აღემატება დანახარჯებს ორგანიზმში ცილების მატებაზე, ამიტომაც აუცილებელი გახდა ფრთების ამჰუტაცია [10].

შემუშავებულია ფრთების ამჰუტაციის მეთოდი ლაზერული დანადგარის მეშვეობით „სკალპელ-“ და „რამაჟა-“.

ამ მეთოდით ფრთების ამჰუტაცია არის სტერილური, უმტკივნეულო და მიმდინარეობს გართულებების გარეშე.

მეფრინველეობაში ფართოდ გამოიყენება ლაზერული დანადგარები. სულ უფრო ხშირად მიმართავენ ლაზერის სხივით საინკუბაციო კვერცხის და ერთდღლიანი ნინილის დამუშავებას. უკვე სერიულად ინარმოება ლაზერის დანადგარები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ერთდღრულად დიდი რაოდენობით საინკუბაციო კვერცხის, ერთდღლიანი ნინილის, სარემონტო მოზარდისა და ზრდასრული ფრინველის დამუშავება. პირველად წარმოებაში ლაზერის აპარატი გამოყენებული იქნა 1996 წელს ვოლოგდაში სააქციო საზოგადოება „ჩერეპოვეცის ბროილერში“, როდესაც იქ დაფიქსირდა ფრინველის თითქმის 100%-იანი დაცემა. ლაზერით პირველმა დამუშავებამ შესაძლებელი გახადა ბროილერის 80%-ის შენარჩუნება. ხუთი თვის მანძილზე ლაზერით დამუშავებული იქნა 260000 კვერცხი. ფრინველის შენარჩუნებისა და საშუალო სადღე-

დამისო წონამატის ზრდის ხარჯზე დამატებით მიღებული იქნა 26 ტონა ხორცი. ლაზერის აპარატები დღეისათვის ფართოდ გამოიყენება რუსეთის ათობით მეფრინველების ფაბრიკაში. ლაზერის სხივით დამუშავების შედეგად ზრდასრული ფრინველის დაცემა შემცირდა 2-ჯერ, ხოლო მოზარდეულის – თითქმის 3-ჯერ. შენარჩუნებამ შესაბამისად შეადგინა 96,5-98,5%. საინკუბაციო კვერცხის ლაზერის სხივით დამუშავებამ გამოსავლიანობა გაზარდა 5,5%-ით. ფაბრიკებში, სადაც ლაზერის სხივით დამუშავების გამოყენებამ მნიშვნელოვნად გაზარდა პროდუქტიულობა, შეამცირა ფრინველის დაცემა დაცემაში 2-ჯერ, ხოლო მოზარდეულის – თითქმის 3-ჯერ. შენარჩუნებამ შესაბამისად შეადგინა 96,5-98,5%. საინკუბაციო კვერცხის ლაზერის სხივით დამუშავებამ გამოსავლიანობა გაზარდა 5,5%-ით. ფაბრიკებში, სადაც ლაზერის სხივით დამუშავების გამოყენებამ მნიშვნელოვნად გაზარდა პროდუქტიულობა, შეამცირა ფრინველის დაცემა დაცემაში 2-ჯერ, ხოლო მოზარდეულის – თითქმის 3-ჯერ. შენარჩუნებამ შესაბამისი მოდერნიზაცია შესაძლებელს გახდის ერთდღრულად დამუშავდეს 50000 კვერცხი და ამდენად მან გამოყენება პპოვოს საშუალო და მსხვილ მეფრინველების ფაბრიკებში.

უკარისი უნივერსიტეტის ავტომატიზირებული ელექტრომექანიკური სისტემების კათედრაზე შემუშავებული იქნა პროექტი „ნანოტექნოლოგიების რეალიზაციის პრინციპი მეფრინველებისაში“. შეიქმნა ლაზერის დანადგარი, რომლითაც დამუშავდა საინკუბაციო კვერცხი. მიღებული იქნა მნიშვნელოვანი შედეგები. კერძოდ, ფრინველის მოზარდეულის სიცოცლისუნარაობა გაიზარდა 25%-ით, ამაღლდა იმუნიტეტი, გაუმჯობესდა პროდუქტიულობა, ხოლო ენერგოდანახარჯები შემცირდა 15%-ით.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ფრინველის კვერცხისა და ხორცის წარმოების ტექნოლოგიის განყოფილებაში პირველად იქნა შესწავლილი ქათმის საინკუბაციო კვერცხის, სხვადასხვა ასაკის ემპრიონის, ერთდღლიანი ნინილის, სარემონტო მოზარდის, კვერ-

სტადიაზე და პოსტემბრიონულ პერიოდშიც გრძელდება. ლაზერით დამუშავება საიმედო დამცველია ვირუსული დაავადებისაგან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ფრინველის გრიპის პროფილაქტიკისათვის.

ლაზერის სხივების გამოყენების ფართო პრაქტიკა გააჩნიათ უკრაინელ მეფრინველებებს. ხარკვის კორპორაცია „ლაზერი და ჯანმრთელობა“ მომხმარებელს სთავაზობს მოწყობილობას ფრინველის კვერცხის ინკუბაციისნინა დამუშავებისათვის. ჩანასახზე ლაზერის სხივის ზემოქმედებით სტიმულირდება მისი პროდუქტიული თვისებები, ანუ ხდება იმ გენეტიკური პოტენციალის გამოვლენა, რომელიც ფრინველის ორგანიზმის ბიოენერგეტიკული მაჩვენებლების სარწმუნო ამაღლება, რომელიც ხელს უწყობს ცოცხალი მასის ინტენსიურ ზრდას და აძლიერებს რეზისტრობას სხვადასხვა ინფექციური დაავადებების აღმძერელების მიმართ. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა შემცირდეს აცრების რიცხვი და იმუნოპრეპარატების დოზები. აღნიშვნული მოწყობილობის შესაბამისი მოდერნიზაცია შესაძლებელს გახდის ერთდღრულად დამუშავდეს 50000 კვერცხი და ამდენად მან გამოყენება პპოვოს საშუალო და მსხვილ მეფრინველების ფაბრიკებში.

უკარისი უნივერსიტეტის ავტომატიზირებული ელექტრომექანიკური სისტემების კათედრაზე შემუშავებული იქნა პროექტი „ნანოტექნოლოგიების რეალიზაციის პრინციპი მეფრინველებისაში“. შეიქმნა ლაზერის დანადგარი, რომლითაც დამუშავდა საინკუბაციო კვერცხი. მიღებული იქნა მნიშვნელოვანი შედეგები. კერძოდ, ფრინველის მოზარდეულის სიცოცლისუნარაობა გაიზარდა 25%-ით, ამაღლდა იმუნიტეტი, გაუმჯობესდა პროდუქტიულობა, ხოლო ენერგოდანახარჯები შემცირდა 15%-ით.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ფრინველის კვერცხისა და ხორცის წარმოების ტექნოლოგიის განყოფილებაში პირველად იქნა შესწავლილი ქათმის საინკუბაციო კვერცხის, სხვადასხვა ასაკის ემპრიონის, ერთდღლიანი ნინილის, სარემონტო მოზარდის, კვერ-

ცხმდებლების და მამლების ჰელიონეონის ლაზერით დამუშავების მეთოდი. პირველად იქნა ჩატარებული ჰელიონეონის ლაზერის გავლენის კომპლექსური შესწავლა სამრეწველო მეფრინველებაში [7, 12].

ღ. ჯიქიას მონაცემებით ქათმის კვერცხის (მეკვერცხულ-მეხორცული) ინკუბაციისწინა დამუშავება ჰელიონეონის ლაზერის სხივის ოპტიმალური დოზით 8,9%-ით ზრდის გამოჩეკას, 12 საათით ამცირებს ინკუბაციის ხანგრძლივობას, 5-8%-ით ამაღლებს კონდიციური წინილის გამოსავალს. დადგინდა, რომ მამლების დამუშავება ინკვეს ეკულატის მოცულობის, სპერმატოზოდების კონცენტრაციის და მოძრაობის შესამჩნევ ამაღლებას, რის შედეგადაც 5%-ით მატულობს კვერცხის განაყოფიერების მაჩვენებელი. დამტკიცდა დამუშავების დადგებითი გავლენა ისეთ პროდუქტიულ მაჩვენებლებზე, რომელიცაა კვერცხდება, კვერცხის მასა, შენარჩუნება. ასევე გამოიკვეთა ლაზერის სხივების დამთრგუნველი უნარი პულოროზისა და კოლიბაქტერიოზის აღმძვრელების მიმართ [11].

ი. მამულაშვილის მონაცემებით ჰელიონეონის ლაზერის სხივების დადგებითი მოქმედება აისახა ბროილერის ხორცის ხარისხის მაჩვენებლებზეც [12].

ამჟამად გამოკვლევათა შედეგების საფუძველზე რეგისტრირებულია შემდეგი გამოვლენებები: „საინკუბაციო კვერცხის პულოროზისაგან სტერილიზაციის მეთოდი“; „სასოფლო-სამეურნეო ფრინველის აღნარმოების ხარისხის მასტიმულირებელი საშუალება“; „სასოფლო-სამეურნეო ფრინველის ბიოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობის სტიმულატორი“.

ვ. ღვინიაშვილის მონაცემებით მუშავიანი იხვის საინკუბაციო კვერცხის ჰელიონეონის ლაზერით დამუშავების ოპტიმალური ექსპოზიციის ხანგრძლივობა 2 და 5 წუთია. იგი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ინკუბაციის შედეგებს [13].

ა. ნასუაშვილის მონაცემებით მწყრის მოზარდის და მწყრის კვერ-

ცხის ინკუბაციის წინ ჰელიონეონის ლაზერის სხივით დამუშავება აუმჯობესებს ზოოტექნიკურ და ჰელიოლოგიურ მაჩვენებლებს [14].

ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის დროს დამუშავების წყაროდ გამოყენებულ იქნა ლაზერის მოდიფიცირებული დანადგარი ჰელიონეონის სისტემით ლგ-111, უწყვეტი რეჟიმის მონოქრომატული, კოჰერენციული წითელი ფერის სხივით - ტალღის სიგრძე - 0,63მმ. მწყრის ხორცისა და კვერცხის წარმოებაში ჰელიონეონის ლაზერის სხივით გამოსავალს. დადგინდა, რომ მამლების დამუშავება ინკვეს ეკულატის მოცულობის, სპერმატოზოდების კონცენტრაციის და მოძრაობის შესამჩნევ ამაღლებას, რის შედეგადაც 5%-ით მატულობს კვერცხის განაყოფიერების მაჩვენებელი. დამტკიცდა დამუშავების დადგებითი გავლენა ისეთ პროდუქტიულ მაჩვენებლებზე, რომელიცაა კვერცხდება, კვერცხის მასა, შენარჩუნება. ასევე გამოიკვეთა ლაზერის სხივების დამთრგუნველი უნარი პულოროზისა და კოლიბაქტერიოზის აღმძვრელების მიმართ [11].

კ. მამულაშვილის მონაცემებით ჰელიონეონის ლაზერის სხივების დადგებითი მოქმედება აისახა ბროილერის ხორცის მასტიმულირებელ-ზეც [12].



სხვადასხვა ხანგრძლივობით დამუშავებისას ოპტიმალურად დაფიქსირდა 2 და 3 წუთი. დადგენილი იქნა, რომ დამუშავების ექსპოზიციის გაზრდა აუმჯობესებს პროდუქტიულობას საკონტროლოსთან შედარებით, მაგრამ ჩამორჩება 2 და 3 წუთიანი ექსპოზიციის დროს დაფიქსირებულ მაჩვენებლებს. მიღებული შედეგებიდან შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები: მწყრის კვერცხის ინკუბაციისწინა ოპტიმალური ექსპოზიციით დამუშავება ამცირებს ინკუბაციის ანარჩენების რაოდენობას, აუმჯობესებს ჩანასახის ზრდა-განვითარებას; მცირდება ინკუბაციის ხანგრძლივობა 6 საათით; მაღალია გამოჩეკა 7-10%-ით () და კონდიციური წინილების გამოსავალი 3-5%-ით; აღმოჩნდა, რომ ჰელიონეონის ლაზერის სხივის ოპტიმალური ექსპოზიციით მოზარდის დამუშავებამ ერთი

დღის ასაკში დადებითად იმოქმედა ზრდა-განვითარებაზე. ცოცხალი მასა 5 კვირის ასაკში 6,82-8,64%-ით მეტია საკონტროლოზე (). გამოზრდის მთელ პერიოდში მაღალია საშუალო სადღედამისო წონამატიც და, შესაბამისად, აბსოლუტური წონამატი; ერთი დღის ასაკში ლაზერით დამუშავების დადებითი გავლენა აისახა ფრინველის შემდგომ პროდუქტიულობაზე. ოპტიმალურ ჯგუფებში პირველი და 50% კვერცხდება მიღწეული იქნა შესაბამისად 2-3 და 4-7 დღით ადრე საკონტროლოსთან შედარებით; 1 ფრთა კვერცხმდებელზე 5,7 ცალით ანუ 4,28%-ით გაიზარდა მიღწეული კვერცხის რაოდენობა, მაღალია კვერცხის მასაც; ლაზერით დამუშავებამ 6-6,67%-ით გაზარდა ფრინველის შენარჩუნების მაჩვენებელი; ლაზერის ზემოქმედების ეფექტი სახორცედ გამოზრდილი დამუშავებული მწყრის ხორცის ხარისხის მარტივი მაჩვენებელიც გამოვლინდა. ხორცის ქიმიური შედგენილობაში მშრალი ნივთიერების რაოდენობა 2,24%-ით, ხოლო ნ/პროტეინის - 1,13%-ით აღემატება საკონტროლოს. ტან-ხორცის გამოსავლიანობა მაღალია 1,8-2,9%-ით, ხოლო ჭამადი ნანილებიდან კუნთოვანი ქსოვილის გამოსავალი 2-3%-ით; დადგინდა, რომ დამუშავებამ ფრინველის ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლა უფრო ინტენსიური გახდა. სისხლში ჰემოგლობინის რაოდენობამ 1,86%-ით მოიმატა, მაღალია ერითროციტების რაოდენობა; დამტკიცდა, რომ სარემონტო მოზარდის 4 კვირის ასაკში დამუშავება ოპტიმალური ექსპოზიციით დადებითი გავლენას ახდენს პროდუქტიულ მაჩვენებლებზე. პირველი და 50% კვერცხდების მიღწევის ასაკი შესაბამისად შემცირდა 3-6 და 6-12 დღით; საცდელ ჯგუფებში კვერცხმდებლობა ერთ ფრთაზე 10-18 ცალით ანუ 7-13%-ით მეტია; კვერცხდების მაღალი ინტენსივობა გახანგრძლივდა ერთი თვეთ; 1 ფრთა კვერცხმდებელზე მიღებული კონდიციური წინილა 20-21 ფრთათ ანუ 27-29%-ით აღემატება საკონტროლოს; დადგინდა სარემონტო მოზარდის დამუშავების დადებითი გავლენა საინკუბაციო კვერცხის ხარისხზე.



გამოჩენა გაიზარდა 7,9-8,14%-ით (); მაღალია ლაზერით ზემოქმედების ეფექტი, როგორც 1 დღის, ასევე 4 კვირის ასაკში დამუშავებული მამლების სქესობრივ აქტიურობაზე. შეწყვილების ეფექტურობა შესაბამისად 6% და 7-12%-ით მეტია დამუშავებელთან შედარებით; ჰელიო-ნეონის ლაზერის სხივით დამუშავებისას გამოიკვეთა ნარმოებულ

ერთეულ პროდუქციაზე საკვების დანახარჯის შემცირება: 10 ცალი კვერცხის ნარმოებაზე დაიხარჯა 10-13%-ით ნაკლები საკვები, 1 კგ ნონამატზე კი – 12,11%-ით ნაკლები;

კვერცხის დამუშავების შედეგად მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა 1000 ცალ კვერცხზე გაანგარიშებით შეადგინა 25,12 ლარი, 1 დღიანი წილის დამუშავებით – 292,3 ლარი და

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Июшин В. М. — Гистоизиологическое изучение действия многохроматического красного света оптического квантового генератора — ОКГ и других светоустановок на организм животных: Автореф. дис. док. биол. наук — Львов-1972. — с. 39.
2. Burkhalter J. H. — Material Effects of lazer radiation and basic interaction phenomena. Fed. Proc, 1965, 241, Supp I, p. 31-34.
3. Goldman L., Rockwell P. Y. — Laser action at the cellular level. — JANA, 1966. 198. 6. p. 173-176.
4. Commoner B., Townsend J., Packe G. E. — Free radicals biological materials. — Nature, 1954, 174, 4432, p. 689-691.
5. Майстренко А. С. и др. — Индустриальный метод предпосевной обработки зерна лазерным излучением. — Всесоюзное научно-производственное совещание по применению оптического излучения в сельскохозяйственном производстве. — Львов. — 1984. — с. 52.
6. Нетрус Ю. Ю., Вайды П. В., Шевера М. В. — Из кн.: Применение лазеров в ветеринарии. — «Урожай», Киев. — 1987. — с. 15.
7. Мამულაშვილი ი., ჯიქია ლ. — სასოფლო-სამეურნეო ფრინველის ბიოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობის სტიმულატორი. გამოგონება-პატენტი №2429, ბიულეტენი №3, გვ. 11. 20.10.2001 6.
8. Попов А. А., Разумнюк В. Т., Матусевич А. М. — Влияние лазера на инкубационные качества яиц. — Птицеводство. — 1984. — №5. — с. 22-23.
9. Якубовский Д. Ф., Хмимяр Д. Д. — Влияние монохроматического лазерного опроминования на организм курей. — Вестн. с.-г. науки. — 1989. — №2. — с. 37-39.
10. Маслабоев А. Н. и др. — Из. кн.: Применение лазеров в ветеринарии. — «Урожай», Киев. — 1987. — с. 78.
11. ჯიქია ლ. — ინკუბაციის ხანგრძლივობა და გამოჩენების ინტენსივობა საინკუბაციო კვერცხის ჰელიო-ნე-

სარემონტო მოზარდის დამუშავებით 1000 ფრთა მწყერზე გაანგარიშებით – 685,16 ლარი.

ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე მწყრის სანარმოებში დასანერგად გთავაზობთ შემდეგ წინადადებებს: საინკუბაციო კვერცხი ჩატყობის წინ, ან ერთდღიანი წინილა დამუშავდეს ჰელიო-ნეონის ლაზერის სხივით 2-3 წუთანი ხანგრძლივობის ექსპოზიციით; მეკვერცხული პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით განსაკუთრებით ეფექტურია იგივე ხანგრძლივობის ექსპოზიციით 4-5 კვირის ასაკის სარემონტო მოზარდის დამუშავება.

ლიტერატურული მასალების მიმოხილვიდან და ჩვენი გამომკვლევებიდან გამომდინარე ნათელია, რომ ჰელიო-ნეონის ლაზერის სხივების გამოყენებას მეფინინველეობაში საკმაოდ ფართო პერსპექტივები გააჩნია.

ანალიზი გირჩვები,
სოფლის მეურნეობის დოქტორი,
საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე

ონის ლაზერის სხვადასხვა ექსპოზიციით დამუშავებისას – შრომათა კრებული საქ.ზოოვეტ.სასწ.სამეცნ. ინსტიტუტი. – 1992.

12. მამულაშვილი ი. — ჰელიო-ნეონის ლაზერის სხივის გავლენა ბრინილერის ხორცის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. ავტორეფერატი ს.მ.მ. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. 2001.

13. ღვინიაშვილი ვ., ჯიქია ლ. — ჰელიო-ნეონის ლაზერის სხივით დამუშავების გავლენა მუშკიანი იხვის კვერცხის შედეგებზე, ინტენსივობასა და ხანგრძლივობაზე. საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო უნივერსიტეტი. შრომათა კრებული, ტ. XII. თბილისი. 2003 გვ. 94-101.

14. ნასუაშვილი ა. — ჰელიო-ნეონის ლაზერის სხივის გავლენა მწყრის მეხორცულ პროდუქტიულობაზე, სისხლის მორფოლოგიურ და ბიოქიმიურ მაჩვენებლებზე. ავტორეფერატი დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2008 გვ. 26

დედა ფუტკრის განაყოფილება, მამლების თავშეყრის ადგილი (DCA-მთა)

დედა ფუტკრის განაყოფილება ხდება ჰარში დაახლოებით 15-25 მამლები ფუტკრის მიერ პოლიანდრიული ზაჟვარებით (რაც ინშავს მდედრის შეფარილებას რამდენიმე მამრთან). ეს ამონ-რებას ახლონათესაურ კავშირს და ზრდის ოჯახში მუშა ფუტკრის გენეტიკურ მრავალფორმულებას.

**საინტერესოა თუ როგორ ხდება ჰა-
ერში შეწყვილება ან სად იყრის თავს
ათასობით მამალი ფუტკარი?**

მამლების თავშეყრის ადგილი (მთა) არის ადგილი, სადაც მამლები და დედა ფუტკარი ჰაერში წყვილდებიან. სკის დატოვების შემდეგ მამლები დღეში რამდენიმეჯერ მოინახულებენ მთას.

მამალი ფუტკარის სქესობრივად მომწიფებას დაბადებიდან 14 დღე სჭირდება. ამ დრომდე ის მხოლოდ კუჭის გასასუფთავებლად ფრენს გარეთ, ხოლო მომწიფების შემდეგ უკვე მზად არის თავშეყრის ადგილზე გასაფრენად.

მამლები კარგად განვითარებულნი უნდა იყვნენ, რათა დედა ფუტკართან შეჯვარდნენ. მათ უნდა ჰქონდეთ ძალა ფრენისათვის და საქმარისი სპერმატოზოიდები, რაც შეჯვარების შემდეგ დედის სპერმატეკაში გადაინაცვლება. ვაროა დესტრუქტორი დიდ გავლენას ახდენს მამალი ფუტკრის ჩამოყალიბების პროცესზე. მისი პარაზიტობის შედეგად შესაძლოა მამალი შეჯვარებისათვის უვარებისი გახდეს. მამლების სრულფასოვან ჩამოყალიბებაზე ასევე დიდ გავლენას ახდენს ცილოვანი შიმშილი (ცილების გარეშე მამალი სრულფასოვნად ვერ ჩამოყალიბდება).

მთას დიამეტრი 30-200 მეტრია, ხოლო მიწის ზედაპირიდან 15-40 მეტრ სიმაღლეს აღწევს.

მამლებს სიცოცხლის განმავლობაში რამდენიმე თავშეყრის ადგილი შეუძლიათ აირჩიონ და სხვადასხვა მთას ენვიონ. შესაძლოა მათ ყოველ წელიწადს ერთიდაიგივე ადგილი შეარჩიონ თავშეყრისათვის, მაგრამ ამას რატომ აკეთებენ, ჯერჯერობით მეცნიერებისთვის დაუდგენელია. არის ვარაუდი, რომ ამ ფაქტორს დე-

დამინის მაგნიტური ველები განაპირობებს. მთა უმეტესად გაშლილ ადგილებშია. მამლები დედის მოახლოებას მის მიერ გამომუშავებული ფერომონებით გრძნობენ, რაშიც მათ სენსორულ ანტენებს დიდი დანიშნულება აქვს, რადგან თუ დედა ფუტკარი აცდება თავშეყრის ადგილს, ის შეუმტკრიცელი დარჩება მამლებისთვის.

მთას ფორმირებაზე გავლენას მამლების მიერ გამომუშავებული ფერომონები და ხმოვანი სიგნალები ახდენს. ამ ფერომონების სამუალებით გასანაყოფირებლად გამოფრენილ დედა ფუტკარი ხვდება, რა მიმართუ-



ლებით გაფრინდეს.

**მამლები ამჯობინებენ მთა სკასთა
ახლოს აირჩიონ, მაგრამ საინტერე-
სო, რატომ?**

სანამ დედა ფუტკარი გასანაყოფირებლად გამოფრენიდება მას ძირა ფუტკარი საკვებს მიაწვდიან, რათა შორ მანძილზე საფრენად ენერგია მოემატოს და მას ეს საკვები ერთ გამოფრენაზე ყოფინის, ხოლო მამლებს საკვები არ ყოფინით და საკვები მარაგის შესავსებად ოჯახში დაბრუნება უწევთ. ამიტომაც არჩევენ სკასთან ახლოს ყოფნას.

შეჯვარების შემდეგ ყველა მამალი კვდება.

1. მამლებს უყვართ სითბო. 18°C-ზე დაბალ ტემპერატურაზე ისინი თავშეყრის ადგილზე არ მიფრინავენ.

2. მამალი ფუტკარი კარგად გრძნობენ და ითვლიან დროს. ამინდის შესაბამისად 14:00-დან -



18:00-სთ-მდე შუალედში მიფრინავენ თავშეყრის ადგილზე.

3. თავშეყრის ადგილს აცდენილი დედა ფუტკარით არ ინტერესდებიან.

4. მამლებს შეუძლიათ რამდენიმეჯერ მიფრინდნენ თავშეყრის ადგილზე. სკაში დაბრუნებისას ისინი შეივსებენ საკვების მარაგს და დაუბრუნდებიან მთას.

5. თავშეყრის ადგილზე შესაძლოა ათასობით მამალი ფუტკარი შეგროვდეს.

6. დედასთან დაახლოებით 7-11 მამალი შეწყვილდება. 90 მილიონი

სპერმის უჯრედი მოხვდება დედის კვერცხსავალ მილში, ხოლო აქედან 7 მილიონი სპერმის ნარევი გადავა სპერმათეკაში.

7. შეჯვარების შემდეგ მამლები იხოცებიან. დედა ფუტკარი სკაში ბრუნდება „შეჯვარების ნიშნით“, მამალი ფუტკრის ენდოფალოსით, რაც ბოლო მამლისგან მოყება, რათა სპერმა გზაში არ გადმოელვაროს.



ოჯახში დაბრუნებულ დედას ამ ნიშანს ძიები მოაშორებენ.

შემდგენელი:
მარიამ კილაბე

გილეათ, იცოდეთ მატი ფუტკარსა და მავატკრაზე?

კითხვა-პასუხისმგებელი ციფრულ რომელსაც ვაძვებენ, ვჰქმდოთ, ახალგადა მაფუტყრები და ამ დარღვეულ აღმოჩენას შესრულებული მკითხველი გვერ საინტერესო და საჭირო იცვლობადის მიღებას.



IV. ଫେରା ଓ ଉତ୍ତରାଳୀ.

47. როგორ გამოსცემს ფუტკარი
ხმას ფრენისას?

სკის ვენტილაციისას და ფრენისას
ფუტკარი გამოსცემს ხმას ფრთების
მეშვეობით.

48. შეუძლიათ არა ფუტკარს გადაიტანოს კვერცხები და მატლები ს ის ურთი ნაწილობრივ მოორიში?

აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გა-
საცემად საფრანგეთში ჩაატარებს
ცდები და მეცნიერები მივიღენ იმ
დასკვნამდე, რომ ფუტკრებს შეუძ-
ლიათ გადაიტანონ კვერცხები და
მატლები სკის ერთი ნაწილიდან მე-
ორებში მათგან დედა ფუტკრის გამო-
საყვანად.

49. რატომ აქვთ მკვდარ ფუტკერებს
ენა გარეთ გამოყოფილი? რითი იღუ-
პიბიან ისინი ასეთ მოვომარიობაში?

ყველა ფუტკარი, რომელიც კვდება, გარეთ გამოყოფს ენას.

50. გასულ ნელს სექტემბრის თვის ბოლომდე ყველა ასაკის მატლი მიმუშებოდა კვერცხებში, ხოლო მიმდინარე ნელს ჟკვე აგვისტოში არ იყო ღია კვერცხები. ეს ფაქტი ხომ არ მეტყველებს იმაზე, რომ ფუტკრები ნინასნარმეტყველებენ ზამთრის მოახლოებას?

თან, ამინდთან და თვითონ ოჯახის მდგომარეობასთან (საკვების არსებობა, ოჯახის სიძლიერე და ა.შ.).

თაფლის გვიანი შეგროვება და
თბილი ამინდი (სკაში საკმარისი რაო-
დენობის თაფლის არსებობის პირო-
ბებში) ასტიმულირებს დედა ფუტკ-
რის მიერ კვერცხების გვიან დადებას,
ხოლო პირიქით – ცივი, ცვალებადი
ამინდი და სკაში ნეგტრის მიტანის
არარსებობა ამცირებს კვერცხის დე-
ბას.

51. ფუტკერებისათვის ფიქაზე უჯრედების როგორი განლაგებაა საუკეთესო: კუთხეებით მიმართული ზემოთ, ქვემოთ თუ გვირდიდგზე?

ဖုန်းများကို ပေါ်လဲခဲ့ပါတယ်။ ဒုတိယအကြိမ် မြန်မာရှိသူများ မြန်မာစွဲများ ပေါ်လဲခဲ့ပါတယ်။ ဒုတိယအကြိမ် မြန်မာရှိသူများ မြန်မာစွဲများ ပေါ်လဲခဲ့ပါတယ်။

52. როგორ განვასტვავოთ დედა ფუტკარი სხვა მუშა ფუტკრებისაგან გარე ნიშნებით?

დედა ფუტკარი უფრო დიდია, ვიდრე მუშა ფუტკარი. მისი სხეულის სიგრძე შეადგენს 20-25 მმ, მუშა ფუტკარის - 12-14 მმ. დედა ფუტკარს აქვს გვერდებიდან დიდი მომრგვალებული და ბოლოსკენ თანდათანობით შევიწროებული მუცელი, თანაბრად განაწილებული ფერები, დიდი გულ-მკერდი. ფრთები ფარავს დედა ფუტკარის მუცელის მხოლოდ ნახევარს, ხოლო მუშა ფუტკარის შემთხვევაში მთლიანად. დედა ფუტკარს ფეხებზე არ აქვს გამონაზარდები, რომლის მეტვეობითაც მუშა ფუტკარი აგროვებს ყვავილის მტვერს.

53. რამდენ ხანს ცოცხლობს დედა
ფუტკარი?

ფუტკრის ოჯახში დედა ფუტკრის სი-ცოცხლის ხანგრძლივობა აღწევს 6-8 წელს, მაგრამ დიდი ინტენსივობით ისინი კვერცხებს დებენ პირველი 2 წლის განმავლობაში. სიცოცხლის მე-სამე წელს მისი ნაყოფიერება მცირდება, ამიტომ მეფეზე კრეობაში მიღებულია, რომ სრული 2 წლის მუშაობის შემდეგ მოხდეს დედა ფუტკრის შეცვლა ახალგაზრდით, ცუდ დედა ფუტკრის კი უკრო ადრე (კლიან).

54. ახდენს თუ არა ზეგაღლენას დე-
და ფუტკრის სხეულის მასა მის ნაყო-
ფიერებაზე და ოჯახის პროდუქტიუ-
ლობაზე?

დედა ფუტკრის ნაყოფიერება და-
მოკიდებულია მის წარმომავლობაზე
და გენეტიკაზე. თანაბარი პირობების
შემთხვევაში დიდი დედა ფუტკარი
უფრო ნაყოფიერია, ვიდრე პატარა.
აღმოჩენილია პირდაპირი კავშირი
დედა ფუტკრის მასას, საკვერცხებები
ში საკვერცხე მიღების რაოდენობას,
დადებული კვერცხების რაოდენო-
ბასა და ოჯახის პროდუქტიულობას
შორის. დედა ფუტკრები, რომლებ-
საც აქვთ კარგად განვითარებული
საკვერცხები, დიდი ზომის არიან.
კორელაციის კოეფიციენტი დედა
ფუტკრის სხეულის მასასა და ნაყო-
ფიერებას შორის ცენტრალური რუ-
სეტის სახეობისათვის შეადგენს 0,62,
კავკასიის მთის რუხი - 0,53, იტალი-
ური - 0,35.

55. უცვლელია ფუტკრის ნონა მისი
სიკარგახოს ანგავოობაში?

დედა ფუტკრის წონა ცვალებადია და დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე (კვერცხის დების ინტენსიურობაზე, კვების პირობებზე და სხვა). გამრავლების პერიოდში, აგრეთვე ოჯახის გაყოფის დროს დედა ფუტკრის წონის დაკლება ბიოლოგიურ აუცილებლობას წარმოადგენს. განსაკუთრებით შესამჩნევია დედა ფუტკრის სხეულის მასის შემცირება 6 დღე-დამის გასვლის შემდეგ, რაც აირჩიეს იგი და გამოვიდა დედა ფუტკრისათვის განკუთვნილი ფიჭის უჯრადიდან. ამ პერიოდში ნაყოფია-

რი დედა ფუტკარი კარგავს 20 მგ-ზე მეტი წონას, ხოლო უნაყოფო – 15 მგ.

56. რატომ ანადგურებს დედა ფუტკრისათვის განკუთვნილი ფიჭის უჯრედიდან პირველად გამოსული დედა ფუტკარი სხვა ანადგურის უჯრედებს?

დედა ფუტკრისათვის განკუთვნილი ფიჭის უჯრედიდან პირველად გამოსული დედა ფუტკარი იმყოფება აღგზნებულ მდგომარეობაში, რამდენადაც ესმის თავისებური სხმები თავისი დების, რომლებიც იმყოფებიან სადედე უჯრედში. ეს სხმები არის ნიშანი ამ უკანასკნელთა გარეთ მაღებამოსულისა, ანუ შესაბამისად მაღებამათ ბრძოლა მოუწევთ ერთმანეთთან. თვითგადარჩენის ინსტიქტის მიხედვით ახალგაზრდა დედა ფუტკარი მიისწრაფის თავისი კონკურენტების განადგურებისაკენ. იგი ღრღნის უჯრას გვერდიდან და ხვრელიდან კბენს სხვა მოწინააღმდეგებს, რის გამოც ეს უკანასკნელი კვდება. თუ ეს ინსტიქტი ნელდება, მაშინ მუშა ფუტკრები ეხმარებიან დედა ფუტკარს მისი კონკურენტების განადგურებაში.

57. როგორი სადედე ფიჭის უჯრედიდან იჩეკება ყველაზე დიდი დედა ფუტკარი?

2,2 სმ სიმაღლის სადედე ფიჭის უჯრედიდან იჩეკება ყველაზე დიდი დედა ფუტკარი 200 მგ მეტი წონით. ასეთი სადედე ფიჭის უჯრედებში არის მშვიდი შეცვლისას და ოჯახის გაყოფისას. 2 სმ სიმაღლის სადედე უჯრედიდან გამოიყანება დამატებაყოლებელი ხარისხის დედა ფუტკარი წონით 180-200 მგ, 1,6 სმ სიმაღლის სადედე უჯრედში კი ვითარდება პატარა ზომის დედა ფუტკრები.

58. არის თუ არა იმ რძის შემადგენლობას შერის სხვაობა, რომლითაც ფუტკრები კვებავენ დედა, მუშა და მამრი ფუტკრების მატლებს?

ფუტკრები დედა, მუშა და მამრი მატლებს კვებავენ სხვადასხვა ქიმიური შემადგენლობის რძით, თუმცა, რძე განკუთვნილი ერთიდაიგივე მატლისათვის შემადგენლობით ერთნაირი არ არის. 1-2 დღის მუშა ფუტკრების მატლებისათვის განკუთვნილი რძე შეიცავს ბევრ ცილას (მშრალი მასის 70%) და შესაბამისად მცირე ნახშირნელებს, ცხიმებს; ხოლო 3-5 დღის მატლების რძეში ცილის რაოდენობა 2-ჯერ მცირდება, მაგრამ მნიშვნელოვნად იზრდება შაქრის რაოდენობა. დედა ფუტკრის

ახალგაზრდა მატლების რძეში ცოტა ცილაა (45-55%), მაგრამ ეს რაოდენობა თითქმის ნარჩუნდება მატლის მთელი სიცოცხლის მანძილზე. მამრი მატლების რძე შეიცავს 60%-მდე ცილას. ასაკთან ერთად მისი რაოდენობა მცირდება 35 %-მდე. აგრეთვე არსებობს განსხვავება ცხიმების, მინერალური მარილების, ვიტამინებისა და სხვა ნივთიერებების რაოდენობას შორის.

59. მიირთმევს თუ არა ახალგაზრდა დედა ფუტკარი სადედე ფიჭის უჯრედში დარჩენილ თავის საკვებას?

უნგრელი მეცნიერის ოროშის ცნობით, დედა ფუტკრები უჯრედიდან გამოსვლის შემდეგ არ ჭამებ უჯრედში დარჩენილ საკვებას. ისანი გასვლიდან საკვების გარეშე დაახლოებით 17 საათი ძლებენ. პრაქტიკამ აჩვენა, რომ დედა ფუტკრები, გამოსული იმ სადედე უჯრედიდან, რომელშიც არ არის დარჩენილი საკვები, კეთილთვისებიანი, მაგრამ პატარა ზომის არიან.

60. რატომ იჩეკება ერთნაირი კვერცხებიდან სხვადასხვა ეგზემპლარები?

დედა და მუშა ფუტკრები იჩეკება განაყოფიერებული კვერცხებიდან, მაგრამ მუშა ფუტკარის მატლებისგან განხსვავებით დედა ფუტკრის მატლი იღებს რძეს მთელი მატლობის განმავლობაში, ხოლო რძე მნიშვნელოვან როლს ასრულებს დედა ფუტკრის ანატომიურ ფორმირებასა და ფიზიოლოგიურ ფუნქციონირებაში.

61. რატომ დებს დედა ფუტკარი სხვადასხვა ზომის კვერცხებს?

ცნობილია, რომ რაც უფრო დიდი რაოდენობის კვერცხებს დებს დედა ფუტკარი მით უფრო პატარა ზომისაა ეს კვერცხები. მაგალითად, სეზო-

ნის დროს (ივნისში) კვერცხის მასაა 0,133 მგ, ივლისში – 0,141 მგ, აგვისტოში – 0,163 მგ. ახალგაზრდა დედა ფუტკარი ხნიერთან შედარებით უფრო დიდი ზომის კვერცხებს დებს

62. რამდენ კვერცხს დებს დედა ფუტკარი დაღე-ლამის განმავლობაში?

ერთი და იგივე დედა ფუტკარის მიერ დადებული კვერცხების რაოდენობა ცვალებადია: გაზაფხულის დასაწყისში დედა ფუტკარი დებს 100 კვერცხამდე დღე-ლამებში, გაზაფხულის გამასულთავებელი ფრენებისა და სკაში მტვერის შესვლის შემდეგ – 1000-მდე, აქტიური სეზონის დროს – 2000-მდე; თავილის შეგროვების მთავარი პერიოდის დადგომის დროს კვერცხის დების აქტიურობა მცირდება, ხოლო შემოდგომისათვის კი საერთოდ წყდება.

მაღალი ხარისხის დედა ფუტკარი დღე-ლამებში დებს 2000-ზე შეტკილი კვერცხს. 24 საათის განმავლობაში დადებული კვერცხების მასამ შეიძლება გადააჭარბოს დედა ფუტკარის წონას. წლის განმავლობაში დედა ფუტკარი სამუალოდ დებს 150-160 ათას კვერცხს.

63. რაში მდგომარეობს დედა ფუტკრის მიერ განმაყოფიერებული და გაუზაყოფიერებული კვერცხების დადება?

განაყოფიერებული და გაუნაყოფიერებელი კვერცხების დადების პროცესს არეგულირებს დედა ფუტკარის სათესლე ტუმბოს ფუნქცია. ნერვული იმპულსის გავლენით, რომელიც წარმოიშვება მუცლის მგრძნობარებრების შესუსებში მისი ვინრო უჯრედში ჩაშვებისას, სათესლე ტუმბოს იკუმშება და სპერმის წვეთი ეცემა კვერცხს. მამრი მატლებისათვის განკუთვნილ უფრო უფრო უჯრედში კვერცხის დადებისას მგრძნობიარე ბუსუსები



არ გრძნობენ შეკუმშვას და არ წარმოიქნება იმპულსი, რის გამოც სპერმის წვეთი არ ეცემა კვერცხს და იგი რჩება გაუნაყოფიერებელი. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ფუტკრები თავიდან (კვერცხების დადების პერიოდში) აშენებენ ვინწრო უჯრედებს, ხოლო შემდეგ (მატლების გამოსვლის შემდეგ) მნიშვნელოვნად აფართოებენ მათ.

64. რაში მდგომარეობს არჩევითი განაყოფიერების არსი?

ერთ კვერცხზე ეცემა სპერმის წვეთი, რომელიც შეიცავს 3-დან 12-მდე სპერმატოზოიდს, განაყოფიერებისთვის კი ერთიც საკმარისია. სპერმის კვერცხში მოხვედრის მექანიზმი ძალიან რთულია. შეტლერის (1960) ცნობით, კვერცხუჯრედს აქეს მეცნიერთათვის დროებით უცნობი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც მას შეუძლია აღიქვას უფრო აქტიური სპერმატოზოიდი, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს განაყოფიერების არჩევითობას.

65. რა განაპირობებს კვერცხის დადების მაღალ ტემპს?

კვერცხის დადებისათვის საჭირო საკმარისი რაოდენობის უჯრედების მომზადება განაპირობებს მის მაღალ ტემპს. ასეთ შემთხვევაში დედა ფუტკარი კვერცხებს, დებს მიყოლებით. საშუალოდ დღე-ლამის განმავლობაში დებს რა დედა ფუტკარი 540 ცალ კვერცხს იგი გადის 86 მმ-მდე მანძილს. იმ პერიოდში, როდესაც უჯრედების უმრავლესობა დაკავებულია ახალი თაობით, თაფლით და ფუტკრის პურით, ე.წ. „პერგუთი“, დედა ფუტკარს უწევს დღე-ლამის განმავლობაში დაფაროს 200-250 მმ-მდე მანძილი, რათა მოძებნოს თავისუფალი უჯრედები. ასეთი მოძრაობის დროს დედა ფუტკარი საშუალოდ კარგავს 600 კვერცხამდე 24 საათის განმავლობაში, რომლებიც დადებული იქნა უჯრედის გარეთ.

66. რა დრო სჭირდება ახალგაზრდა დედა ფუტკარს, რომელმაც დაინტერესობა გამორჩება, გაზარდოს კვერცხის დადების ინტენსიურობა?

ძლიერ ოჯახში კვერცხის დადების დაწყებიდან 10-14 დღე, საშუალო და სუსტ ოჯახებში კი – უფრო გვიან.

67. რა პირობები ახდენენ გავლენას დედა ფუტკრის კვერცხის დადების ინტენსიურობაზე?

დედა ფუტკრის კვერცხის დების ინტენსიურობამ რომ მიაღწიოს თავის მაქსიმუმს, აუცილებელია: გაზაფხულზე სკაში იყოს არანაკლებ 8-10 კგ თაფლი და 2-3 კგ ფუტკრის პური, ე.წ. „პერგუთი“, საკმარისი რაოდენობის თავისუფალი უჯრედები, სკაში ახალი მტვერისა და ნექტარის შემოდინება, დიდი რაოდენობის ფუტკარი კვერცხების დასადებად, უჯრედების მომზადება, სკაში ოპტიმალური ტემპერატურა.

68. უნგობს თუ არა ხელს დედა ფუტკრის სკაში ყოფნა თაფლის შეკროვებას?

მრავალწლიანი კვლევების შედეგად დადგინდა, რომ თაფლის შეგროვების მთავარ პერიოდში ნაყოფიერი



დედა ფუტკრის არარსებობა ამცირებს ოჯახის პროდუქტების საყლაპი 41,5%-ით. ნაყოფიერი დედა ფუტკრის შეცვლა მონიცული სადედე უჯრედით აჩქარებს ოჯახის მუშაობის პროცესის ნორმალურ მდგომარეობაში დაპრუნებას. დედა ფუტკრის გარეშე ოჯახი მუშაობს შემცირებული ინტენსივობით 27 დღე, ხოლო მონიცული სადედე უჯრედით – 18 დღე. თაფლის მოპოვების პროდუქტების ზეგავლენას ახდენს დედა ფუტკრის ასაკი და ხარისხი. ოჯახი ერთნობიანი დედა ფუტკრით მოიპოვებდა 42,9%-ით, ხოლო 2-წლიანით – 20%-ით მეტ თაფლს, ვიდრე სამწლიანის შემთხვევაში.

69. სჭიდება თუ არა დედა ფუტკარს „მხლებლები“?

კვერცხის დების პერიოდში დედა ფუტკარს გარს ახვევია 8-12 მუშა ფუტკარი, რომელებსაც, როგორც მიღებულია, უნდებენ „მხლებლებს“. ისინი კვებავენ დედა ფუტკარს რძით, რომელსაც გამოიმუშავებს საყლაპავი ჯირკვლები. 20-30 კვერცხის დადების შემდეგ დედა ფუტკარი ჩერდება და იღებს საკვებს. სხვა ფიჭაზე გადასვლისას ძველი „მხლებლები“ იშლებიან და იქმნება ახალი,

რომელებიც სხვა ფიჭაზე ზიან. მუშა ფუტკრები უვლიან მას, წმენდენ და მის კვალდაკვალ ასუფთავებენ ყველაფერს.

70. ჰყავს დედა ფუტკარს „მხლებლები“ ზამთარში?

ძევლევართა უმრავლესობა თვლის, რომ კვერცხების დადების პროცესის დასრულების შემდეგ ფუტკრები წყვეტილი მის კვებას და „მხლებლები“ იშლებიან. თუმცა, ნ. ფოტი (1957) დაკვირვებისას აღმოაჩინა, რომ დაზამთრებისას, როდესაც დედა ფუტკარი იმყოფებოდა ოჯახს გარეთ, ადგილი ჰქონდა კვების კონტაქტებს მასა და ფუტკრებს შორის. კერძოდ: 27 წუთის განმავლობაში დაფიქსირდა 7 კვების კონტაქტი, რომელთა დროსაც დედა ფუტკარმა მიიღო 16,9 მგ საკვები, საშუალოდ 2,4 მგ თითოეული კონტაქტისას.

71. რომელი კორმით კვებავენ მუშა ფუტკრები დედა ფუტკარს ზამთარში?

ჩატარებული იქნა ლაბორატორიული კვლევები, რათა დაედგინათ, თუ რომელი კორმით კვებავენ მუშა ფუტკრები დედა ფუტკარს – თავის ამონთხეულს სათაფლე ჩიჩანვიდან ან რძით გამოყოფილს საყლაპავი ჯირკვლიდან. იმ ფუტკრებს, რომლებიც იმყოფებოდებს იჯახის გარეთ დედა ფუტკართან ერთად, ჰქონდათ მეოთხე ანუ განვითარების ბოლო ეტაპზე მყოფი საყლაპავი ჯირკვლები, ანუ მათ შეეძლოთ გამოეყოთ რძე.

საინტერესოა აგრეთვე რ. შენფელდი მიერ გაეთებული განცხადება ამის თაობაზე: „ყველასათვის ცნობილია, რომ დედა ფუტკარი არასამდეს არ მიიღოთ მეოთხეს მტვერს, რომელიც ანვდის ფუტკრის ორგანიზმს საკმარისო რაოდენობის ცილას. ამ ფაქტში ერთი წამითაც კი არ უნდა შეგვეპაროს ეჭვი, რამდენადაც მათ არ გააჩნიათ ქვედა სანერწყვე ჯირკვალი, რომელიც უნდა ასველებდეს მტვერს, რათა ეს უკანასკნელი გარდაიქმნას ფუტკრის პურად“ და შესაძლებელი იყოს მისი შეჭმა. შესაბამისად, რა დროსაც არ უნდა გამოვიკვლიოთ დედა ფუტკარი, ვერას ვიბოვით მტვერს“. შესაბამისად, ჩნდება კითხვა: თუ „მხლებლები“ იშლებიან ზამთარში, ხოლო თვითონ დედა ფუტკარი კი არ მიიღოთ მეოთხეს ფუტკრის პურად, მაშინ საიდან იღებს საკვებს მტვერს“. შესაბამისად, ჩნდება კითხვა: თუ „მხლებლები“ იშლებიან ზამთარში, ხოლო თვითონ დედა ფუტკარი კი არ მიიღოთ მეოთხეს ფუტკრის პურად, მაშინ საიდან იღებს საკვებს მტვერს, რომლის გარეშეც რ. შენ-

ფელდი აღნიშნავს, მამრი ფუტკრები იღვუპებიან მესამე-მეოთხე დღეს?

72. როდის გამოფრინდება სკოდან დედა ფუტკარი შენყვილებისათვის?

დედა ფუტკარი შენყვილებისათვის პირველად გამოფრინდება სადედა უჯრედიდან გამოსვლიდან მე-10 – მე-12 დღეს, ხოლო კვერცხების და-დების პროცესის დაწყებამდე გადის საშუალოდ 14 დღე.

დედა ფუტკრების მასიური ფრენა შენყვილებისათვის აღინიშნება, რო-დესაც ჰაერის ტემპერატურა არის 25°C-ზე ქვემოთ და ტენიანობა 60-80%. 19°C-ზე ქვემოთ, ასევე ძლიე-რი ქარისას, შენყვილება არ ხდება. ყველაზე ხშირად დედა ფუტკრები წყვილდებან 14 სთ-სა და 16:30 საათს შორის. დედა ფუტკრები, მიფრინავენ რა სკიდან, 1,502 კმ მანძილზე წყვილ-დებიან ერთიდაიგივე ადგილზე.

73. რამდენჯერ მიფრინავს დედა ფუტკარი შენყვილებისათვის?

ადრე ითვლებოდა, რომ დედა ფუტ-კარი შენყვილებისათვის მიფრინავს ერთხელ და წყვილდება ერთ მამრ-თან, მოგვიანებით კი იქნა დადგენი-ლი, რომ დედა ფუტკრების 50% შენყ-ვილებისათვის მიფრინავს 2-3-ჯერ. თითოეული ფრენისას იგი წყვილდე-ბა 6-10 მამრთან. შენყვილებულ დედა ფუტკარს, რომელიც უკან მიფრინავს სკაში, მუცლის ბოლოში უჩანს თეთ-რი საფარველი – ე.წ. „შლეიფი“. იგი ფარავს დედა ფუტკრის ნესტრის გა-მოსასვლელს.

74. რატომ წყვილდება დედა ფუტ-კარი რამდენიმე მამრთან?

დედა ფუტკრების პოლიანდრიული თვისება – შენყვილდეს რამდენიმე მამრთან, თითქოსდა მნიშვნელოვა-ნია მისი სპერმის მარავის გასაზრდე-ლად, მაგრამ ზრდა თითქმის არ არის. 7-10 მამრთან შენყვილების შემდეგ დედა ფუტკარს აქვს 6-8 მლნ სპერმა-ტოზოიდი, ამისთვის კი ერთი მამრიც საკმარისია, რომელიც იძლევა 11 მლნ სპერმატოზოიდს. ფაქტია, რომ პოლიანდრიულ თვისებას სხვა მნიშ-ვნელობა აქვს.

დ.ვ. შასკოლევი (1978) კვერცხე-ბის სიკვდილიანობის შესწავლისას დაადგინა ურთერთდამოკიდებუ-ლება შენყვილებაში მონანილე მამ-რთა რაოდენობასა და ოჯახში კვერ-ცხების სიკვდილიანობის რიცხვს შორის. მაგალითად: მხოლოდ ერთ მამრთან შენყვილების შემთხვევაში ოჯახში კვერცხების სიკვდილიანო-



ბა შეადგენს 50%-ს, ხოლო 8 მამრის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი ტო-ლია 6-12%-ის და ფუტკრის ოჯახის სიცოცხლისუნარიანობა იზრდება. შედეგად დედა ფუტკრების პოლიან-დრია არა შემთხვევითი მოვლენაა, არამედ ბუნებრივი აუცილებლობა. აგრეთვე დადგენილია, რომ დედა ფუტკრის სპერმის მიმღები ხდება სპერმის არევა და კვერცხების განა-ყოფიერებაზე ერთდროულად მონა-ნილეობს სხვადასხვა მამრის სპერმა-ტოზოიდები.

75. შეუძლია თუ არა დედა ფუტ-კარს შენყვილდეს სექტემბრის შუა რიცხვებში და დაზამთრდეს ისე, რომ მან კერძად დადოს კვერცხები?

შენყვილებისათვის აუცილებელია მზიანი ამინდი 23°C სითბოთი. თუ სექ-ტემბერის თვეში რამდენიმე დღის გან-მავლობაში იყო ასეთი ამინდი, მაშინ დედა ფუტკარს შეეძლო შენყვილება, ხოლო კვერცხების დადების დაწყება – მხოლოდ გაზაფხულზე. ასეთი შემ-თხვევები დაფიქსირებულია.

76. დედა ფუტკარმა კვერცხების დადება დაიწყო სადედა უჯრედიდან გამოსვლიდან 35 დღის შემდეგ. რა-ტომ ნერია ნიგნებში, რომ თუ დედა ფუტკარი არ შენყვილდა თვის გან-მავლობაში, იგი უნდა იქნას შეცვლი-ლი?

ყველაზე ხშირად დედა ფუტკრები შენყვილებას იწყებენ სადედა უჯრე-დიდან გამოსვლიდან მე-12-18 დღეს. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში ად-რე გაზაფხულზე ან გვიან შემოდგო-მაზე გამოჩევისას, დედა ფუტკრის შენყვილება იწელება თვემდე ან უც-რო მეტ ხანს. ამის ძირითადი მიზე-ზი შეიძლება იყოს არახელსაყრელი ამინდი ან უშუალოდ დედა ფუტკრის არასაკმარისი განვითარება.

როგორც ნერი, გვიან შენყვილებუ-ლი დედა ფუტკარი კარგი ხარისხით მამრთან შენყვილების შემთხვევაში ოჯახში კვერცხების სიკვდილიანო-

არ გამოირჩევა, ამიტომაც რეკომენ-დებულია ასეთი დედა ფუტკრების შეცვლა.

77. სექტემბრის დასაწყისში დედა ფუტკარი ჯერ კიდევ დებდა კვერ-ცხებს, ზრდასრულ ასაკს მიუღწეველ ფუტკართა რიცხვი დიდი იყო, კვერ-ცხის დასადებად ადგილი კი – ცო-ტა. სექტემბრის ბოლოსათვის სკაში არც ახალი თაობა იყო და არც დედა ფუტკარი. შეუძლია თუ არა დედა ფუტკარს დატოვოს სკა, თუ კერძოდ მო-ძებნის კვერცხის დასადებად საჭირო ადგილს?

არა, არ შეუძლია. დედა ფუტკარმა ან შენყვიტა კვერცხის დება, ან მოკ-ვდა.

78. როგორ მოვიქცეთ, რათა ფუტ-კარმა კვერცხი არ დადოს თაფლის შესანახად განკუთვნილ ფიჭის უჯ-რედში?

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვი-ქონიოთ სკელი ფიჭა 32-34მმ. ღრმა უჯრედში ფუტკრები უფრო ინახავენ თაფლს, ხოლო დედა ფუტკარი, ვერ წევდება რა ფსკერს, ასეთ უჯრედ-ში არ დებს კვერცხს. ასეთი სისქის ფიჭის მისაღებად 12 ჩარჩიობან სკა-ში თავიდან დებენ 12 ჩარჩის, ხოლო მას შემდეგ, რაც ფუტკრები ააშენე-ბენ ფიჭას, ამოიღებენ ორ ჩარჩის და ტოვებენ 10-ს. ამ უკანასკნელი ერთ-მანეთისგან თანაბრად აშორებენ. ფი-ჭის უჯრედების თაფლით შევსების პარალელურად ფუტკრები დააგრძე-ლებენ უჯრედების კედლებს.

79. შეუძლია თუ არა უნაყოფო დე-და ფუტკარმა დადოს კვერცხები და შემდევ განაყოფიერდეს?

უნაყოფო დედა ფუტკარი იწყებს მამრი ფუტკრების კვერცხების და-დებას შენყვილების უნარის დაკარგ-ვის შემდეგ. ეს ხდება სამი-ოთხი კვი-რის ასაკში.

**80. დედა ფუტკარი, რომელიც გა-
ზაფხულზე დებდა განაყოფირებულ
კვერცხებს, რატომ გადაიქცა მამრ
ფუტკრად?**

დედა ფუტკარი შეიძლება გადაიქ-
ცეს მამრად დაავადების, ტრავმის
ან სპერმის მიმღები სპერმის ამო-
ნურვის გამო. ასეთი დედა ფუტკარი
აუცილებლად უნდა იქნას შეცვლილი
ახალგაზრდა დედა ფუტკრით ან მო-
ნიფული სადედე უჯრედით.

**81. სკაში ცარიელი ფიჭების ჩად-
გმისას გაფრინდა დედა ფუტკარი.
დაბრუნდება თუ არა იგი უკა?**

ნაყოფიერი დედა ფუტკრები იშ-
ვიათად მიფრინავენ სკის დამლისას,
განსაკუთრებით კვერცხების დების
პერიოდში, როდესაც მათი სხეული
დამძიმებულია. ჩვეულებრივ მი-
ფრინავს უნაყოფო დედა ფუტკარი
ან ახალგაზრდა, რომელმაც რაღაც
მიზეზით შეწყვიტა კვერცხის დება.

სკიდან ფუტკრების გარეშე გაფ-
რენილი დედა ფუტკარი, როგორც
წესი, ბრუნდება უკან. მეფუტკრე თუ
შეიტყობს დედა ფუტკრის გაფრენას,
უნდა გაჩერდეს ერთ ადგილზე რა-
ღაც დროის განმავლობაში და არ და-
ფაროს სკა. დედა ფუტკარი განახორ-
ციელებს რა საორიენტაციო ფრენას,
დაიმახსოვრებს მეფუტკრის ფიგურას
როგორც ორიენტირს და მას გამოიყე-
ნებს თავის სკაში დასაბრუნებლად.

**82. რას ნიშნავს დედა ფუტკრის
თვითშეცვლა? როგორ სადედე უკ-
რედებს ამზადებენ ამ დროს ფუტკ-
რები?**

თვითშეცვლა ანუ „დედა ფუტკ-
რის ჩუმი შეცვლა“ – მისი არსი იმაში
მდგომარეობს, რომ ფუტკრები სკაში
ნაყოფიერი დედა ფუტკრის არსებო-
ბის პარალელურად ზრდიან ახალგაზ-
რდა დედა ფუტკარს. შეწყვილების
შემდეგ ახალგაზრდა დედა ფუტკა-
რი რჩება სკაში, ხოლო ხნიერი ქრება.
ასეთი შეცვლა დამახასიათებელია
კავკასიის მთის რუხი ფუტკრისათვის.
თვით შეცვლა ხდება დედა ფუტკრის
რაიმე სახის ნაკლოვანების გამო.

**83. როდის კვდება ძველი დედა
ფუტკარი ჩუმი შეცვლის დროს?**

ძველი დედა ფუტკარი ქრება სკი-
დან მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა
შეწყვილდება და დაიწყებს კვერცხე-
ბის დადებას.

**84. რამდენ ხანს და რა პირობებში
შეიძლება გავაჩეროთ სპეციალურ**

გადასაყვან გალიაში გამოგზავნილი
დედა ფუტკარი, მისი დაღუპვის ან
ხარისხის დააკარგვის რისკის გარე-
შე?

დედა ფუტკრების სპეციალურ გა-
დასაყვან გალიაში გაჩერების აუცი-
ლებლობის შემთხვევაში მათვის იქმნება საუკეთესო პირობები: ბნელი
ადგილები 16-20°C ტემპერატურით.
მისი მდგომარეობა ყოველდღე უნდა
შემონმდეს და დაემატოს თხევადი
თაფლი. თუ გალიაში ყველა ფუტკა-
რი ცოცხალია, მაშინ დედა ფუტკარი
შეიძლება გავაჩეროთ 8-10 დღემდე,



თუ ფუტკრების ნაწილი დაღუპულია
– დედა ფუტკარი უნდა იქნას გადაყ-
ვანილი ოჯახში.

**85. ფოსტით დედა ფუტკრის გა-
დაგზავნისას იგი სპეციალურ გადა-
საყვან გალიაში იმყოფება 5-7 დღე.
მოახდენს თუ არა ეს ზეგავლენას
დედა ფუტკრის კვერცხის დადების
პროცესიულობაზე?**

მევლევართა მიერ დადგენილია,
რომ ოჯახიდან ამოყვანილი კვერ-
ცხის მდებელი დედა ფუტკარი თავი-
სუფლდება ყველა მზა კვერცხისაგან
საკვერცხების მილიდან 12 საათის
განმავლობაში. 34-35°C ტემპერატუ-
რაზე დედა ფუტკარი 12 საათში კარ-
გას 100 კვერცხამდე. დედა ფუტკ-
რის საკვერცხები თავისუფლდება
ნარმქმნის სანცის მდგომარეობაში
მყოფი კვერცხებისაგან უფრო ნელა
(7 დღემდე). ეს პროცესი დამოკიდე-
ბულია კებაზე და ტემპერატურაზე.

ფოსტით გადაყვანის დროს დე-
და ფუტკარი კარგავს ყველა მზა
კვერცხს, მაგრამ სკაში მისი საკვერ-
ცხები თავის ფუნქციას სწრაფად
აღიდგენენ, თუ სპეციალურ გადა-
საყვან გალიაში ყოფნის დრო არ აღე-
მატებოდა 8 დღე-ლამეს. ამავე დროს
განსაკუთრებით ახალგაზრდა დედა

ფუტკრის კვერცხის დადების პრო-
ცესიულობა არ განსხვავდება ისე-
თი დედა ფუტკრისაგან, რომელსაც
არ უმგზავრია.

ნაყოფიერი დედა ფუტკრების გაჩე-
რება სპეციალურ გადასაყვან გალია-
ში 10-15 დღეზე მეტ ხანს უარყოფით
ზეგავლენას ახდენს მის მომავალ მუ-
შაობაზე.

**86. რომელი საკვები ითვლება სა-
უკეთესოდ დედა ფუტკრის სპეცია-
ლურ გადასაყვან გაღიაში ყოფნისას?**

ლ.კ.უკეს და ვ. ბუროვას (1960)
ცნობით დედა ფუტკრებმა, რომლე-
ბიც იმყოფებოდნენ სპეციალურ გა-
დასაყვან გალიაში ორ ათეულ ფუტ-
კართან ერთად და იკვებებოდნენ
თაფლით, იცოცხლეს 33 დღე, ხოლო
თაფლ-შაქარ ხსნარით კვებისას – 26
დღე.

**87. მეფუტკრების ლიტერატუ-
რიდან ცნობილია რამოდენიმე ნეს-
ტატარმკევეთილი დედა ფუტკრის თა-
ნაცხოვერება. მათ არ შეეძლოთ ერთ-
მანეთის კებენა. ხომ არ ჩატარებულა
სამეცნიერო-კვლევით დანესებულე-
ბებმი ცდები ნესტატარმოკვეთილი დე-
და ფუტკრების თანაცხოვერებაზე?**

ბაშიკირეთის მეფუტკრების კვლე-
ვით სადგურში ჩატარდა ცდები ნეს-
ტარამცუტირებულ უნაყოფო დედა
ფუტკრებზე. დადგინდა, რომ ასეთი
ფუტკრები წყვილდებიან და ინყებენ
კვერცხის დებას იგივე ვადაში, რო-
გორც ჩვეულებრივები. რამდენიმე
ნესტარ ამცუტირებული დედა ფუტ-
კრის თანაცხოვერებაზე ერთ ოჯახში
ცდა ჩვენს სამეცნიერო-კვლევით და-
წესებულებაში არ ჩატარებულა.

**88. ოჯახში ორი ნაყოფიერი დედა
ფუტკარი ერთ ფიჭაზე დებდა კვერ-
ცხებს ისე, რომ ერთმანეთს არ აქ-
ცევდნენ ყურადღებას. რითი შეიძლე-
ბა აისხნას ეს შემთხვევა?**

ორი ნაყოფიერი დედა ფუტკრის
თანაცხოვერება ერთ ოჯახში ძალიან
იშვიათი მოვლენა. ყველაზე ხშირად
ეს გვხვდება კავკასიის მთის რუხი
ფუტკრის ოჯახებში. პირობები, რომ-
ლებიც განაპირობებენ ორი ნაყოფი-
ერი დედა ფუტკრის თანაცხოვერებას
ერთ ოჯახში, არ არის საკმარისად
შესწავლილი. გაზაფხულზე მათ უძ-
ლიერდებათ მტრობის ინსტიქტი და
ერთ-ერთი მათგანი, ხანდახან კი
ორივე იღუპება. შესაბამისად, აუცი-
ლებელია შემიღებომაზე ზედმეტი
დედა ფუტკარი ამოიყვანოთ სკიდან.

რუპრიკას უძლვება „მომავლის ფარმარი“

როცა გარეთ თოვლის სათბურუ კი სითხო, გაზაფხული და სამური სურნელის - ირა ხელობება

კახეთში ვიყავით ზეთისხილის ნერგის სანახავად. ჩვენი ექსპრ-
ესი მაღლი (დავარჩვათ ასე) კახელი გახლდათ, ხელისგულივით ვიც-
ნობ მთელ კახეთს და ჩვენც დაკარგვის არ გვეშინდა. თანილისიდან
კახეთამაზე დიდი გზა გვედო, ჰელი საუგრისას აღმოვაჩინე, რომ კახეთ-
ში, ჩვენს გილტან სტუმრობისას, ოჯახის წევრის მოაირკათებულ გაღს,
ზვავილების სათბურს და ლაგაზ ეზოს ვნახავდი, თან ამ გველაზრის მთა-
ვარ შემოქმედს – მხატვარ ირა ხელობებას გავიცემდე, რომელვაც თავი-
სი პროფესია აგრძოლიასთან დააკავშირა და გებალი – დეპორატორის
საჭმიანობას შეუდგა.

ირამ თოიძის სამხატვრო სასწავ-
ლებელი დაამთავრა და ნასწავლის
გამოცდილებაში ასახვას მიჰყო ხე-
ლი – გახსნა სახელოსნო, რომელშიც
სხვადასხვა ესკიზებს ამზადებდა და
შემდეგ აპარებდა. რამდენიმე წლის
წინ კი გადაწყვიტა თავისი ძალები
აგრძონომიანი გამოეცადა და ლანდ-
შატის დიზაინით დაინტერესდა.

თავიდან თელავის კულტურისა და
დასვენების პარკის დეკორატორად
დაინყო მუშაობა, სადაც ყვავილების
დარგვა, ლანდშატების გაფორმება და
მოვლა მისი მთავარი საქმიანობა იყო.
ყვავილები თბილისიდან ჩაჭქონდათ,
რომლებიც ზამთარს ვერ უძლებდ-
ნენ. ირას თქმით, ქიმიური დანამა-
ტებითაც იყვნენ გაზრდილი, რაც
ნაკლებად ეკოლოგიური იყო: „უკვე
4 წელია ნადიკვრის – თელავის კულ-
ტურისა და დასვენების პარკის დეკო-
რატორი ვარ და ჩემი იდეებით შევქ-
მენი პარკის დიზაინი. გამოყვანილი
ყვავილები ძირითადად თბილისიდან
შემოგვქონდა და ეს ყვავილები მალე
ფუჭდებოდა. დავინტერესდი, რომ ეს
ყვავილები ჩემით გამომეყვანა ჩითი-
ლით სათბურში. ზოგი ყვავილი გამო-
ვაზამთრე კიდეც, უცბად შექმნილ –
გაეთებულ სათბურში შესანიშნავად
გავატარეთ ზამთარი მე და ჩემმა ყვა-
ვილებმა. გაზაფხულზე ბევრი სახეო-
ბა დავთესე, გამოვიყუანე ჩითილი და
შემდეგ უკვე თელავის დეკორატო-
რად მიმინვიე.“

გარდა თელავის დეკორატორობი-
სა, ირა პირად შეკვეთებსაც ხშირად
ასრულებს – ღვინის სახლების ეზო-
ებს, ასევე კერძო პირების ეზოებს
დაკფუსფუსებს.

ირას ეზოში შესვლისთანავე იგრძ-
ნობა, რომ ყველაფერს დიდი შრომა

და მოვლა – პატრონობა სჭირდება.
მის სახლში, როგორც ზემოთ ვთქვი,
ნაუცპათევად გაკეთებული (რო-
გორც თავად უნდებს) სათბურიც
აღმოვაჩინე, რომელიც, როგორც
ჩანს, ერთგულად ემსახურება ირას
და თელავის ლანდშატს. რაც შე-
ეხება სათბურის გაშენების გამოც-
დილებასა და ცოდნას, როგორც ირა
გვიყვება, თავდაპირველად ინტერ-
ნეტში გადაავლო თვალი სხვადასხვა
ინფორმაციას, თუმცა, იქ მოცემუ-
ლი კონსტრუქციები ძვირი ჯდებო-
და. ამიტომ ნარმოსახვას მიმართა,
ე.წ. სანტექნიკის მილებსა და რკინის
ლითონის მილებს – პირველად რკი-
ნის მილებია მინაში ჩაწყობილი, მათ
აყოლებაზე კი სანტექნიკის მოხრილი
მილები, რომლებიც უკვე საშუალე-
ბას იძლევა ცელოფანი დამაგრდეს:
„პირველ წელს ჩევეულებრივ ცელო-
ფანში ტემპერატურას ვერ ვინარ-
ჩუნებდი, ძალიან ვწვალობდი, ნვიმა

ჩამოდიოდა და ყვავილები მიფუჭდე-
ბოდა, გაზაფხულის პირას, ყინვების
გადასვლის შემდეგ კი ეს ცელოფა-
ნი მთლიანად დაიშალა. ინფორმაცია
მოვიძიება და თბილისიდან ჩამოვიტანე
სასათბურე ფირი (პოლიკარბონა-
ტის მასალა), რომელიც სუნთქავს და
სხვადასხვა კლიმატურ პირობებში 4
წელი ძლებს. სათბურში ამ კუთხით
4-წლიანი ხარჯი, ვიმედოვნებ, აღარ
მექნიზა – ყვება ირა.

ამბის მოყოლისას ცხელი თათა-
რა შემომაწოდა. სანამ გასული იყო,
მე ოთახის ფშავ-ხევსურული დიზა-
ინით მოქარგული ხალიჩების, ჩიხი-
სა და ბალიშების დათვალიერებით
ვიყავი გართული. ირას ვკითხე, ამ
ყველაფერს – თელავის ლანდშაფ-
ტის დიზაინს, სათბურს და ახლა უკ-
ვე ორნამენტების ქარგვას როგორ
ასწრებ – თქო, ირამ კი მიპასუხა, ამ
ყველაფერთან ერთად სამხატვრო
სახელოსნო მაქვს, სადაც ესკიზებს
ისევ ვქმნი და ამის შესახებ პროექ-
ტიც დავწერე, რომელმაც, როგორც
„ელეკანას“ მიერ ორგანიზებულ, ასე-
ვე „აწარმოე საქართველოს“ პროექ-
ტში გაიმარჯვეო.

აქვე აღვნიშნავ, „აწარმოე საქართ-
ველოს“ პროექტის ფარგლებში თე-
ლავში მას და სხვა დაინტერესებულ
პირებს ზოგადი ბიზნესის შესახებ





ტრენინგი უტარდებათ. ამ ტრენინგს ირა დადებითად აფასებს და მიიჩნევს, რომ მსგავსი პროექტების არსებობა მნიშვნელოვანია, რათა უფრო მეტმა ადამიანმა აიმაღლოს ცოდნა, იყოს აქტიური და განავითაროს თავისი საქმიანობა.

„დილით ადრე ვდგები, მივდივარ სამსახურში, ვუვლი ყვავილებსა და ბუჩქებს პარკში. სახლში მოსული საოჯახო საქმეებთან ერთად სამხატვრო ესკიზებს ვქმნი და სხვადასხვა ხელსაქმით ვკავდები. ტელევიზორის ყურებისასაც ვქსოვ ან ვქარგავ. ჩემს სათბურშიც სწორედ ასე ვფუსტუსებ – შესანიშნავია, როცა გარეთ თოვლია და ჩემს სათბურში სითბო, გაზაფხული და საამური სურნელია.“

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ირა ავროტურიზმის პერსპექტივაზე საუბრობს და სწორედ ამ მიმართულებით აპირებს განვითარებას – „სანერგე და ბალი აუცილებლად მექნება. მინდა პატარა, დეკორატიული, ჩემებური ბალი გავაკეთო, მესტუმრნონ ადამიანე-

ბი სხვადასხვა მხრიდან და ქვეყნიდან, დაათვალიერონ და ისიამოვნონ. სახელოსნოში კი, გარდა შესრულებული ნამუშევრების ხილვისა, ჩავუტარებ მასტერეკლასებს, ასევე, ვფიქრობ, სათბურიც საინტერესო იქნება“. როგორც უხედავთ, ირა აპირებს თავისი შემოქმედება, ეზო, სახელოსნო, სათბური მთლიანად აგროტურიზმს მოარგოს – დადებითი ემოციები სტუმრებს გაუნაწილოს და შთაბეჭდილებით საესე გაუშვას. ჩემი, როგორც გაუთვალისწინებელი სტუმრის და სულთამსუთავი უურნალისტის გაძედნიერება, გაოცება და სითბოთი ავსება ნამდვილად შეძლო. გზად კონახურით დასუნდლული ტოტებიც გამომატანა.

მარიამ ტაცხავაძე

საპოვრის ბალახნარის მოვლის ტექნიკი

საპოვრის ბალახნარის მოვლის ტექნიკი ური შედგენილობა, გაღალი კვებითი ლირებულების მიღწევა და ცლების მარატები მისი შენარჩუნების შესაძლებლივი მხრიდან საპოვრის მოვლის ტექნიკის მიმდინარეობის შესახებ.

იქნეს მოყვანილი და გასუფთავდეს დასაწყურვებელი ადგილები, დეზინფექცია ჩაუტარდეს სადგომებს, საძოვრის ნაკვეთებზე უნდა გამოვთიბოთ სარეველები.

საძოვარზე, როგორც წესი, ყოველი გაძოვების შემდეგ რჩება გაუძოვარი ბალახი, ძირითადად ის სახეობები, რომლებსაც ცხოველი არ ჭამს ანდა გადაბერებული ბალახი, შეამიანი და მავნე მცენარეები. თესლის მომწიფების შემდეგ ისინი კიდევ უფრო ასარევლიანებენ საძოვარს და ჩაგრავენ საკეპებად ძეორფას მცენარეებს. პირუტყვი არ ეკარება აგრეთვე ნაკელით დაბინძურებულ ადგილებზე მძლავრად განვითარებულ ბალახს. ამიტომ გაუძოვარი ბალახის სისტემატური ნათება ხელით ან სათბის მანქანით 5-6 სმ სიმაღლეზე გაძოვების დამთავრებისთანავე მეტად ეფექტური ხერხია, რომელიც მნიშვ-

ფაქტორების თავიდან აცილების ან შემცირების მიზნით აუცილებელია მოვლის ზემოთალნიშნული ღონისძიებების გარდა ჩატარდეს ა) დაბალმოსავლიანი და არასაურველი ბალახნარის მქონე ნაკვეთების გადახვნა და ხელახალი გამდელოება; ბ) ნიადაგში ტენის დაგროვება თოვლის შეკავებით და ხერელოვანი დრენაჟით, სარწყავ ფართობებზე მორწყვის სისტემის შემუშავება; გ) ძოვების და გათიბვის მორიგეობა; დ) ღობისა და გზების შეკეთება.

ძოვების დაწყების წინ საძოვარი უნდა გაიწმინდოს ნაგვისაგან, შეკეთდეს ღობები, გზები, წესრიგში და გათიბვის მორიგეობა; დ) ღობისა და გზების შეკეთება.

ძოვების დაწყების წინ საძოვარი უნდა გაიწმინდოს ნაგვისაგან, შეკეთდეს ღობები, გზები, წესრიგში და გათიბვის მორიგეობა; დ) ღობისა და გზების შეკეთება.

რაციონალური ძოვების პირობებში ბალახნარი ხანგრძლივად ინარჩუნებს მაღალ პროდუქტიულობას, რომელიც ჩვეულებრივ პირველ ათ წელწადას მატულობს. ამასთან ერთად, ძოვებას თან ახლავს რიგი უარყოფითი მოვლენებისა. ბალახნარის მოსავლიანობასა და გამოყენების ხანგრძლივობაზე მოქმედებს სხვა ფაქტორებიც. ძოვების უარყოფითი



ნელოვნად ზღუდავს სარეველებისა და დაბალი კვებითი ღირებულების მცენარეების ნაყოფმსხმოიარობას და გავრცელებას, ამასთან ხელს უწყობს აქვიტის თანაბარ განვითარებას, სტიმულს აძლევს დაბუჩქვას, ახალი ფესვების და ფოთლების ნარმოქმნას, ბალახნარის ძოვნადობის გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებას.

ორგანიზებული ძოვების დროს გაუძოვარი ბალახის რაოდენობა არ აღემატება გაძოვებამდე არსებული ბალახის 15-20%-ს. ამასთან, მისი ნაწილი იქმევა ძოვების მომდევნო ციკლის დროს. არარეგულირებული ძოვების დროს დარჩენილი ბალახის რაოდენობა რამდენჯერმე მეტია და შეირჩევა 30-35%-ს აღემატება. ნათებული მასა ადგილზევე რჩება, ხოლო თუ მისი რაოდენობა ბევრია, ის უნდა მოიფოცხოს, შეგროვდეს და გამოყენებული იქნეს ქვეშსაფენად, ან ვარგისიანობის შემთხვევაში თივად, სენაჟად და ა.შ.

რეგულირებული ძოვების დროს ნათიბული მასის მოფოცხვა არ არის საჭირო: ჯერ ერთი, ეს ეკონომიურად მიზანშეუწონელია, მეორე რიგში კი ნათიბული ბალახი შემდგომში იქმევა ცხოველის მიერ. მოფოცხვა საჭიროა დაგვიანებული ძოვების დროს, როცა გაუძოვარი მასის რაოდენობა მნიშვნელოვანია და აღემატება 10 ც/ჰა მწვანე მასას.

გაუძოვარი ბალახების ნათიბვა ბალახნარის ორგანიზებული გამოყენების შემთხვევაში უმჯობესია ჩატარდეს ერთხელ, ძოვების მეორე ციკლის შემდეგ, მაგრამ გაზაფხულზე ძოვების დაწყების დაგვიანების შემთხვევაში საჭირო ხდება ნათიბვის ჩატარება უკვე პირველი ძოვების შემდეგ. გაუძოვარი ბალახის ნათიბვა ჩვეულებრივ ხდება 5-9 სმ სიმაღლეზე.

ნარჩენი ბალახების ნათიბვის ვადები დამოკიდებულია აგრეთვე საძოვარზე გავრცელებული სარეველების სახეობებზე. ბაბუანვერას ფართო გავრცელების შემთხვევაში ნათიბვა ხდება პირველი გაძოვების შემდეგ, მასრინბელას სიჭარბის დროს კი მეორე გაძოვების შემდეგ, მრავალძარღვას, ფარსმანდუკას და სხვა გვიან მოყვავილე მცენარეების სიხშირის შემთხვევაში – მეორე და მესამე გაძოვების შემდეგ.

ცნობილია, რომ დღე-დამეში საძოვარზე 11 საათის განმავლობაში ყოფნისას თითოეული ფური საშუალოდ

გამოყოფს 30-40 კგ ნაკელს და 20-30 კგ თხევად ექსკრემენტებს. ნაკელის მოხვედრის ადგილზე უფრო ხშირად ვითარდება მძლავრი და ხშირი ბალახი, მაგრამ არასასიამოვნო სუნის გამო პირუტყვი მას არ ძოვს. ზოგჯერ ასეთ ადგილებში ბალახი მთლიანად ისპობა ხოლმე და საძოვარზე მოტივლებული ლაქები რჩება. აღნიშნულის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა ნაკელის მოფოცხვა და გადანაწილება საძოვარზე, რაც ხელს შეუწყობს ნიადაგის განვიყირებასაც. ნაკელის გადანაწილება შეიძლება ჩატარდეს სპეციალური შლეიფე-

გა-ჯოული გაცვლითი ენერგია, 717 ლ. რძე და 86 კგ ხორცი).

გაუძოველი ნორჩი ბალახების ნათიბვა და ნაკელის გაფანტვა მწვანე მასის მოსავალს ზრდის 13%-ით, ბალახნარის გამოყენება – 28%-ით, რის შედეგადაც ფურების მიერ 36%-ით მეტი ბალახი იქმევა, ვიდრე საკონტროლო ნაკვეთზე. მარტო ნაკელის გაფანტვა-მოსწორებამ ბალახნარის ჭამადი მასის რაოდენობა გაზარდა 3%-ით. ეს დამაჯერებლად მოწმობს ნარჩენების ნათიბვის ეფექტურობას სუბალურ მარცვლოვან-ნაირბალახოვან მდელოებზე კავკასიური მარ-



ბით, გადმობრუნებული ფარცხებით და ფიჩისაგან დამზადებული ცხენის სათრეველებითაც კი. ეს ღონისძიება უნდა ჩატარდეს შემოდგომით, ძოვების დამთავრების შემდეგ, ვინაიდან გადასწორებული ნაკელი ძლიერ აბინძურებს ნორჩ ბალახს და აქვეითებს მის ჭამადობას. ამავდროულად ხდება კოლბოხების მოსწორებაც. იმ შემთხვევაში, როდესაც კოლბოხების რაოდენობა 20-25%-ს აღემატება, აუცილებელია მათი მოსწორება ჩატარდეს გაზაფხულზეც.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების გამოყენებით დადგინდა, რომ ნარჩენი ბალახების ნათიბვით გაძოვებიდან 1-2 დღის განმავლობაში მიიღება ჰექტრიდან 1380 საკვები ერთეული (ანუ 14490 მეგა-ჯოული გაცვლითი ენერგია, 1150 ლ. რძე და 138 კგ ხორცი); გაძოვებიდან 3-4 დღის შემდეგ ნათიბვისას 1290 საკვები ერთეული (ანუ 13545 მეგა-ჯოული გაცვლითი ენერგია, 1075 ლ. რძე და 129 კგ ხორცი); 6-7 დღის შემდეგ 1180 საკვები ერთეული (ანუ 12390 მეგა-ჯოული გაცვლითი ენერგია, 983 ლ. რძე და 98 კგ ხორცი); ხოლო 13-14 დღის დაგვიანებით ნათიბვისას კი მხოლოდ 860 საკვები ერთეული (ანუ 9030 მე-

მუჭის ჭარბობით – ყოველწლიურად N60P60 შეტანით და ნარჩენების ნათიბვით. ბალახნარის ჭამადი მასის მოსავალი 3,5-6,2 ც/ჰა მეტი იყო, ვიდრე ნათიბვის გარეშე. ამასთან, ბალახნარში მკვეთრად შემცირდა მაღლახნარში ნაირბალახები: მსხვილფეხა ნარი, ლობელის შხამა, აღმოსავლური ტილჭირი, ღოლო და სხვ.

უნდა გვახსოვდეს, რომ საძოვრული სეზონის დამთავრებისას არ უნდა ნაითიბობს გაუძოვარი ბალახნარის ნარჩენები, რომელიც გაზაფხულზე ხმელი სახით კარგად იქმევა პირუტყვის მიერ და აცილებს მათ ტიმპანით დაავადება. იგივე დანიშნულება აქვს მარცვლოვან-პარკისანი ბალახნარების გაძოვებისას ნათიბული ანარჩენების ადგილზე დატოვებას, ვინაიდან ოდნავ შემჭკნარ მოთიბულ ბალახს პირუტყვი მეორე დღეს ხალისით მიირთმევს, რაც მკვეთრად ამცირებს ტიმპანით დაავადების შემთხვევებს.

ნათიბვა სტიმულს აძლევს ბალახების უფრო მძლავრ დაბუჩქვას და ახალი ყლორტებისა და ფესვების ნარმოქმნას, აგრეთვე უკეთესი ხდება ბალახის გემოვნებითი თვისებები. ასეთ საძოვარზე ყოველთვის მაღ-



ლია ბალახნარის გამოყენების პროცენტი.

დადგენილია, რომ სისტემატური წათიბვა განაპირობებს მაღლარი ბალახის ამოვარდნას და დაბლარი ბალახების მძლავრ განვითარებას. ამასთან, წათიბვის გარეშე მხოხავი (თეთრი) სამყურა მესამე წელს თითქმის ქრება ბალახნარიდან მაშინ, როდესაც ყოველწლიური წათიბვის შედეგად მისი რაოდენობა 18%-ს აღწევს. ველის ზონის საძოვარზე გაუძოვარი ბალახების წათიბვით მოსავალი იზრდება 16-57%-ით, ბალახნარის გამოყენების პროცენტი – 17-60%-ით.

გვალვიან რეგიონებში (სადაც წაკელი სწრაფად ხმება) საძოვრის დატვირთვა უმნიშვნელოა, ხოლო ფართობის ერთეულზე წაკელის ფორმა რაოდენობა რჩება, აგრეთვე სარწყავ საძოვრებზე, სადაც წაკელი მაღლე იშლება, მისი გაშლა-მოსწორება, მეტად მცირე ეფექტიანობის გამო, მიზანშეწონილი არ არის.

რეგულირებული წესით გამოყენებულ კულტურულ, აგრეთვე წაკელებად დასარევლიანებულ როგორც ბუნებრივ, ასევე წათეს საძოვარზე სარეველების წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაშია აუცილებელი. ჩვეულებრივ ამ მიზნით სავსეით საკმარისი გაუძოვარი ბალახის წათიბვა, რაც ამავე დროს აფერხებს სარეველების გავრცელებას. ყველა შემთხვევაში რეგულირებული ძოვება და საძოვრის მოვლის რეკომენდებული ღონისძიებების სისტემატური განხორციელება ბუნებრივი საძოვრების უმრავლესი ტიპის ბალახნარზე სარეველების მოსპობის ან მნიშვნელოვანი შემცირების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

ძლიერ დასარევლიანებულ ბუნებრივ საძოვრებზე, სარეველა, მავნე და შხამიანი მცენარეების წინააღმდეგ და ბალახნარში მათი მონაცილეობის მკვეთრი შემცირების მიზნით საჭიროა ბრძოლის ღონისძიებების ჩატარება. მაგალითად, კულტურულ საძოვრებზე, თითქმის ყველგან და მათ

შორის საქართველოშიც ფართოდ არის გავრცელებული ჩვეულებრივი (სამკურნალო) ბაბუანვერა (ბურბუშელა). საძოვარზე ბაბუანვერას მცირე გავრცელება არ ქმნის პრობლემებს, მაგრამ თუ ბალახნარში მისი რაოდენობა 8%-ზე მეტია, საჭირო ხდება მის წინააღმდეგ ბრძოლა. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვეულებრივი ბაბუანვერა, გარდა თაფლვანი და სამკურნალო თვისებისა, ნორჩი ფოთლები სალათის სახით გამოიყენება, ხოლო ფესვებიდან ამზადებენ ყავის სუროგატს.

არასასურველ სარეველას წარმოადგენს მახრიბელა, რომელიც ფართოდ ვრცელდება ჭარბტენიან ადგილებში. მისი ცალკეული კოლბობების მოსპობა შესაძლებელია ამონიუმის გვარჯილას კონცენტრირებული წყლის ხსნარის (1 კგ ამონიუმის გვარჯილა 1 ლ წყალზე, 20 კოლბობზე) შესურებით. დასაშვებია ერთ კოლბობზე 50-100 გ ამონიუმის გვარჯილას მოყრა, რაც სპობს მახრიბელას და ხელს უწყობს ირგვლივ მზარდი სხვა მარცვლოვანების განვითარებას.

ყველა კონკრეტულ შემთხვევაში საძოვრების დასარევლიანების ხასიათის, სარეველათა სახეობრივი შემადგენლობის, გავრცელების ხარისხის და რამდენიმე სხვა გარემოების მიხედვით უნდა შემუშავდეს მათი მოსპობის კომპლექსური ღონისძიებები.

იმსახურებულის სამეცნიერო კოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კულტურული ცენტრი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი.

ვათერინარის გვარდი

რუბრიკას უძღვება „ომავლის ფარმაციი“

მარტინ კითხვეს რეტირენტის მიზანი?

მოგვიხატ ან დარჩეთ, ტელ.: 595 80 80 81; ელ. ფოსტა: info@agro.ge
ასუხს მიზანით შურალ „ახალი აგრარული საქართველოს“ საშალებით.

1. მყავს ქროხა, რომელიც გოლო მოგების შემდეგ გადაიტანა გასტიტი. მუშაობები შედეგი გამოიღო, გარჩა და არჩეოდ აროგლება: რე დუღლება, თუმცა, შეის გავრცის შედედება; ან დედლება საკამაო თხელი კონსისტენციის. რომორ გადავზრდა ს პროგლება?

სავარაუდოდ, გადატანილმა დაავადებებმა გამოიწვიეს რძის შემადგენლობაში ცვლილებები. აუცილე-

ბელია მინერალების დეფიციტის შევსებაც. შეურიეთ ცხოველის მშრალ საკვებში პრეპარატი „განასუბერვიტი“ საკვებში 2 კვირის განმავლობაში. გააკეთეთ აგრეთვე „კალისმინის“ ან „კალფოსეტის“ ორჯერადი ინექციაცი: 1მლ 5კგ. ცოცხალ წონაზე, 24 საათიანი შუალედით. მუშაობის შემდეგ რძე შეამოწმეთ ლაბორატორიაში.

2. მშავს ცხვრები. ჰატკენი უკვე ერთი თვის და მომი ასაკის არიან. ვვარაუღობთ, რომ მათ დალის ცხალი დაპირის ული რჩეორვუარიდან. ინფიციური ფალარათვისგან მიმდინარეობს მათი ხშირი სიკვდილი. რა ღონისძიებები ჩავათაროთ ამ პროგლემის გადასაზრეულიდ?

აუცილებელია თავიდან ავიცილოთ ფალარათებით გამოწვეული ცხოველის დეპილრატუა, რომ არ მოხდეს სწრაფი სიკვდილი და მოვასწროთ ანტიბიოტიკოთერაპია. ამიტომ ვაკეთებთ „კალიმინის“ ან „კალფონსეტის“ ორჯერად ინექციას და პარალელურად ვახდენ პრეპარატ „ტილოზინა 200“-ით მეურნალობას.

3. რა გავაკეთო, როდე პხედავ, რომ ჩვას ხელს ხშირად ახველებს, ცხვირიდანაც გამონალენი აქვს, უმაღლდაც არის...

ამ პერიოდში ცხოველი ხშირად ცივდება. უნდა ვეცადოთ, რომ დიდხანს არ გაჩერდეს სიცივეში. მივცეთ კარგი ხარისხის საკვები და აუცილებლად ჩავუტაროთ ანტიბიოტიკოთერაპია. ამ შემთხვევაში კარგი იქნება ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკების გამოყენება: „პრიმავილინი“, „ოქსიტეტრაციკლინი 200“, „პრიმაფული“. გართულებულ შემთხვევებში: „გენტაპრიმი“, „პენბექსი“.

4. ჩვას ხელებს პჰონდათ გამონალენი თვალებიდან. გამოვიყენე როგორც თვალის ცვალი, ასევე გალა

მოც, მაგრამ – უშეღებოდ. რას მირჩავთ, რა არის ამ დროს უფრო ეფექტური?

ეფექტური სწორი მეურნალობაა. თქვენ მეურნალობით მხოლოდ სიმპტომს და არა – მიზეზს. მიზეზი კი ამ შემთხვევაში თვალის პარაზიტი თელაზიოზია. აუცილებელია ორჯერადად ცხოველის დამუშავება („პრომექტინი“, „ბიომექტინი“, „ვილმექტინი“), ხოლო შემდგომ თელაზიოზით გამოწვეული კონიუქტივიტის მეურნალობაც ეფექტურია წვეთებითა და „ტეტრაციკლინის“ მალამოთი.

5. როგორ მოვიძეო, თუ მოგებისას ჩვას ძროხას მოგოლის გამოსვლა დაუგვიანდა?

თუ მოგებიდან 12 საათზე მეტი დრო არ არის გასული, ხდება „ოქსიტოცინის“ გაკეთება 6-12 საათიანი შუალედით 4-6 მლ ცხოველის წონის მიხედვით კუნთში. ამ დროს სასურველია მოხდეს საშვილოსნოს ტაბლეტის ჩადებაც, რაც ხელს შეუწყობს მომყოლის გამოსვლასაც და საშვილოსნოს გამორეცხვასაც. თუ 24 საათზე მეტია გასული და ვინაიდან უკვე დახურულია საშვილოსნოს ყელი, მასში დარჩენილი მომყოლი განიცდის მაცერაციას და იქმნება ორგანიზმის მონამვლის საშიშროება; ამ დროს ხდება ანტიბიოტიკოთერაპიის ჩატარება „პენბექსით“ ან „ცეფტიკოლით“. თუ სახეზე ცხოველის შესამჩნევი გახდომა და სისუსტეცაა, ახდენენ „კალფონსეტის“ ან „კალიმინის“ და ვიტამინების ინექციისაც.

1 გროვენოს გვერდი

რუპრიპას უძღვება „მოგავლის ფერმერი“

ჩატოთ პითეჭა ეგრძომოთან?

მოგვითხოვთ ან დარჩეთ, ტელ.: 595 80 80 81; ელ. ფოსტა: info@agro.ge
ახალი მიმდინარეობის შესახებ „ახალი აგრარული საქართველოს“ საშუალებით.

1. როგორია პატისონის მოყვანის წესი?

პატისონის მოსაყვანად ნიადაგს ამუშავებენ შემოდგომაზე 22-25 სმ-ის სიღრმეზე. გაზაფხულზე გადახნავენ 18 სმ-ზე. თესავენ აპრილ-მაისში. 1 ჰა-ზე საჭიროა დაახლოებით 3-5 კგ. კვების არე – 70 X 70 სმ. ერთ ბუდნაში მხოლოდ ერთი მცენარე უნდა იყოს. ვეგეტაციის განმავლობაში საჭიროა ნიადაგის დამუშავება ორჯერადაც. ასევე, აუცილებელია მავნებელ დაავადებებთან ბრძოლა. პატისონი იკრიფება გამონასკვიდან ერთ კვირაში. მოსავლის ადება ხდება რამდენჯერმე, ტექნიკურ ან ფიზიოლოგიურ სიმწიფეში. იკრიფება მცირე ზომის უთესლო ნაყოფები.

2. როდის ითხოვა შვავილვანი კომპოსტი?

საქართველოს ბარსა და სუბტროპიკულ ზონაში მაისი-ივნისში ითხება. მუდმივ ადგილზე ივლისში გადაირგვება. მოსავალი აიღება შემოდგომაზე.

კახეთსა და ქვემო ქართლში ითხება მარტსა და აპრილში. მოსავლის ადება – ივნის-ივლისში.

იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში ითხება მარტში, გადაირგვება აპრილში. მოსავლის ადება ხდება ივნისსა და ივლისში.

3. როგორ უნდა გავამრავლოთ დაფარა?

დაფარ შეიძლება გავამრავლოთ გენერაციულად (თელოით), ასევე – ვეგეტატიურად.

ვეგეტატიური გამრავლებიდან ღეროს, ფოთლის ან კალმების დაფესვიანებით; ტოტის გადაწვენით. ახალგაზრდა ხეებიდან დამზადებული კალმები უფრო კარგად ფესვიანდებიან.

ერთნლიანი კალმების დამზადებისა და დარგვის საუკეთესო პერიოდია აპრილ-მაისი. ერთნლიანი კალმები 10-12 სმ-ის უნდა იყოს. უნდა ჰქონდეს 4 კვირტი 2 შეკვეცილი ფოთლით. უნდა დავრგოთ დახრილად ისე, რომ კვირტი სუბსტრატში მოხვდეს. დარგვის შემდეგ მოვრწყათ.

4. Ի՞նչո՞ւ են պահանջված գալու մասին?

ძირითადად ცენტრალურ-ლიდერული ფორმით ახდენენ ფორმირებას.

გასხვლის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქლიავს, თუ როგორი დატოტვა ახასიათებს. პირველად ახ-დენენ ლიდერის გამოყოფას, აცილებებს კონკურენტებს და ახდენენ ჩახშირებული ტოტების ამოჭრას, დატოტვის ნაკ-ლებუნარიანს კი ამოკლებენ 1/4-ით. ეფექტურია ძლიერი გა-მოხშირვა სიბერის პერიოდში და დედა ტოტების დამოკლება.

5. Ի՞նչո՞ւ մովագործ են կալիք և սուլածած?

მოსავლის აღების შემდეგ ბალი ამონიტურება. ნიადაგი უნდა მოიხსნას 20-30 სმ-ის სიღრმეზე. სამი წლის განმავლობაში უნდა მოვახდინოთ მრავალწლიანი ბალახით დაკორდება. საჭიროა ხშირი თიბგა. ნათები ადგილზე უნდა დავტოვოთ. მეოთხე წელს PK-ს 4-5 წლის დოზა ერთჯარადად უნდა შევიტანოთ. გაზაფხულზე უნდა ჩავატაროთ პლანტაჟი და გავაძენოთ ბალი.

၃၃၁၆၇၀

დიდი ხასიათი და კაგლარი პეტაგონი



პროფესიონალური მირიან გვრიტიშვილის
პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღ-
ვანეობა მჭიდროდ იყო დაკავშირე-
ბული ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტთან, საქართველოს აგრარულ
უნივერსიტეტთან, ლ. ყანჩაველის
სახელობის საქართველოს მცენარე-
თა დაცვის ინსტიტუტთან და საქარ-
თველოს მეცნიერებათა აკადემიის
თბილისის ბოტანიკურ ბაღთან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი
მოღვაწეობა საქართველოს აგრარულ
უნივერსიტეტში, როგორც პროფესი-
ულობისა სამეცნიერო მუშაობის დარგ-
ში და მცენარეთა დაცვის სამეცნიერო
კვლევით ინსტიტუტში დირექტორის
თანამდებობაზე. მისი ხელმძღვანე-
ლობით ინსტიტუტი გადაიქცა ამი-
ერკავებასის მასშტაბით ერთ-ერთ
ძლიერ სამეცნიერო დაწესებულებად.
ამ პერიოდს უკავშირდება მრავალი
სახის, როგორც თეორიოული, ასევე
პრაქტიკული სახის სამუშაოები, რომ-
ლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა
სოფლის მეურნეობაში. პროფესორ
მირიან გვრიტიშვილის ხელმძღვანე-
ლობით მომზადდა და დაიბეჭდა რე-
კომენდაციები ძირითადი სასოფლო-
სამეურნეო კულტურების: ვაზის, ხე-
ხილის, ციტრუსების, კარტოფილის,

სახელმოვაჲილ, საყოველთაოდ კლირაგულ პედაგოგის, გენერალს და
მოცემულ მოწვევის მოგზაურის, გილოზის მოცემულ გათა ღოძტორის,
პროფესიულ მირიან გვირიშვილს დაბალი გვირიშვილს და სამაცნელო მოლ-
ვაცეობიდან 50 ცელი შეუსრულდებოდა.

ბოსტნეულ-ბალჩეული და მარცვლეული კულტურების მავნე ორგანიზმებისგან დასაცავად, რაც იმ დროისათვის დარგის სპეციალისტებისთვის ძირითადი სახელმძღვანელო იყო.

მისი ხელმძღვანელობის პერიოდში
მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი გა-
დაიქცა მაღალპროფესიონალი კად-
რების სამჭედლოდ. ბევრი მათგანი
დღესაც წარმატებით ემსახურება
დარგსა და ქვეყანას.

გასული საუკუნის 70-იან წლებში
ინტიტუტში მოქმედებდა სპეცია-
ლიზებული სამეცნიერო საბჭო, სა-
დაც საკანდიდატო და სადოქტორო
დისერტაციების დასაცავად ჩამოდი-
ოდნენ მეცნიერები და მკვლევარები
ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადას-
ხვა რესპუბლიკურიდან.

მაშინ მთელ კავშირში ასეთი სპეცი-
ალიზებული მხოლოდ სამი საბჭო მოქ-
მედებდა და მათგან ერთი თბილისში.

აღსანიშნავია ბატონი მირიანის
ძალისხმევა ახალგაზრდა კადრე-
ბის მომზადების საქმეში. მას მხედ-
ველობის თუ ყურადღების არედან
არ გამორჩენია თითქმის არცერთი
წარჩინებული კურსდამთავრებული
სტუდენტი და პერსპექტივული სპეცი-
ალისტი და მათ იწვევდა ინსტიტუტ-
ში სამიანისართ კოსკოვი მიწოდებელი

ის ადამიერების კულტურა, უსახლისათ
ჩასაბმელად ბევრ მათგანს აგზავნი-
და მოწინავე სამეცნიერო ცენტრებში
კვალიფიკაციის ასამაღლებლად თუ
მიზნობრივ ასპირანტურაში. მრავ-
ლად შეხვდებოდით ასეთ ახალგაზ-
რდებს მოსკოვის, სანკტ-პეტერბურ-
გის, კიევის, კრისტიანის და სხვა სა-

მეცნიერო ცენტრებში. ბევრი მათგანი დღესაც წარმატებით ემსახურება სოფლის მეურნეობას.

პროფესორ მირიან გვრიტიშვილის
კალამს ეკუთვნის 200-მდე სამეც-
ნიერო შრომა, სტატია, მეთოდური
მითითება და სხვა., რომელიც იძეჭ-
დებოდა როგორც ყოფილი საბჭოთა
კავშირის, ასევე საზღვარგარეთის
ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებუ-
ლებში. როგორც დარგის ალიარებულ
მეცნიერს, ხშირად იწვევდნენ საზღ-
ვარგარეთ სამეცნიერო კონფერენ-
ციებსა და სიმპოზიუმებში, კერძოდ
ავსტრიაში, ესპანეთში, პორტუგალი-
აში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთ-
სა და სხვა ქვეყნებში.

მისი ხელმძღვანელობით მომზადდა 40-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია, ხოლო სამეცნიერო მონოგრაფია „Rog Cytospora“ ეკოლოგებისთვის (მყველე – სოკო...ლოგია – მეცნიერება სოკოების შესახებ) დოკუმენტისა და სამაკიატო წიგნია.

სამწუხაროა, რომ მას არ დასცალ-
და კიდევ ერთი მონოგრაფიის გამოქ-
ვეყნება, რომელიც ეხებოდა მსხლის
კულტურის და მისი ბუნებრივი ფორ-
მების ნარმოშობას, ბიოლოგიასა და
ეკოლოგიას, რაც მის სამუშაო მაგი-
ოზურისა და მის სამუშაო მაგი-
ოზურისა და მის სამუშაო მაგი-

ლვანლომისილი, სახელოვანი მეცნი-
ერის და პედაგოგის ნათელი ხსოვნა
მუდამ დარჩება მისი მოსწავლეების,
პედაგოგების, კოლეგების და მეგობ-
რების გაულში.

უურნალ „ახალი აგრარული
საქართველოს“ რედაქცია

თხევადი ორგანიკული სასურველი ორგანიკული



ცხელების ცხელების
მოხარულობის კანტინენტი

ბიოაგრო
BioAGRO
მცენარეთა გადამზადების დაცვისა და გამოკვების
ცენტრი

599 160510
599 582420


მცენარეთა დაცვისა და გამოკვების
ბიოფონიური საშუალებები

www.bioagro.ge



AGROTEKС®

გსურთ მიიღოთ აღრეული, საღი და უცვი მოსავალი?



გთავაზობთ უნიკალურ, ჰაერგამტარი მულჩის და დამცავი პალეოპის ფართო ყაორტიმენტს, რომელიც დაიცავს მცენარეს სარევალებისაგან, გადახურების, დამცვრობების და წაყინვისაგან, შეძლებს სასურველ კლიმატს მცენარის უკეთესი აღმოცვენებისა და განვითარებისათვის, გაგიზრდით მოსავლიანობას, დაგიზოგავთ დროს და თანხას.

პროდუქციის დეტალური გაცნობა შესაძლებელია კომპანიის შოუ რუმში, მისამართზე თბილისი, დიდუბე პლაზა პირველი სართული.

[WWW.AGROTEKS.RU.](http://WWW.AGROTEKS.RU)

დაგვიკავშირდით:
599 529 529 / 599 761321;
E-mail: tmikadze@yahoo.com